

† თენგიზ თოდროია

**გარეკახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები\***  
(საგარეჯოს რაიონის მდ. ივრის მარცხენა მხარე)

ივრის ხეობა ფიზიკურ-გეოგრაფიულად სამ მკაფიოდ განსხვავებულ ნაწილად იყოფა; ზემო წელი – მდ. ივრის სათავიდან უჯარმამდე (ერწო-თიანეთი), შუა წელი – უჯარმიდან ქიზიყამდე (გარე კახეთი) და ქვემო წელი (ქიზიყის უკან მხარი, ელდარის ველით და ივრის მარჯვენა ნაპირის საძოვრებით).

ამიტომ იყო, რომ მეურნეობის თვალსაზრისით, ივრის ხეობა სამ ზონად იყოფოდა; ზემო წელზე მთის ტიპის მეურნეობა იყო გაბატონებული (მესაქონლეობა და მემინდვრეობა პირველის უპირატესობით), შუა წელზე ბარის ტიპის მეურნეობა იყო გავრცელებული (მინათმოქმედება მემინდვრეობით და მევენახეობით, აგრეთვე მესაქონლეობა, პირველის უპირატესობით), ქვემო წელი უძველესი დროიდანვე ცნობილი იყო საზამთრო საძოვრებით, რომელიც შირაქის ველთან ერთად, მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ძირითად ბაზას წარმოადგენდა ცხვრის ფარების ზამთარში გამოსაკვებად.

ამჟამად, ჩვენ შუა წელი გვანტერესებს. ესაა დღევანდელი საგარეჯოს რაიონი, სადაც მემინდვრეობასა და მევენახეობას დღესაც წამყვანი ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობაში, თუმცა არც მე მესაქონლეობა უკანა პლანზე.

არქეოლოგიური მონაპოვრები მოწმობენ, რომ მევენახეობა აქ უძველესი დროიდან ყოფილა განვითარებული, ყოველშემთხვევაში, ადრეანტიკური დროიდან მაინც (პატარძული, ანთოკი, გიორგინმინდა). საზამთრო და საზაფხულო საძოვრებს შორის მდებარეობა კი, რამაც განაპირობა გარე კახეთზე ცხვრის გზების გაყვანა, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა მესაქონლეობის განვითარებასაც.

---

\* ნაშრომი შესრულებულია 1982 წ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებაში. რედაქცია გამოკვლევას ბეჭდავს დედანის შესაბამისად. უცვლელად.

ივრის ხეობის შუა წელზე ერთმანეთს ჰკვეთდა ორი მნიშვნელოვანი მიმართულების გზა; ერთი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და პირიქით, რომელიც კახეთის მთიანეთს ივრის ხეობის ან გომბორის ქედის გაყოლებით ივრისა და მტკვრის შუამდინარეთს საძოვრებთან აკავშირებდა, მეორე კი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და პირიქით, რომელიც ქართლს აკავშირებდა ალაზნის ველთან.

როგორც გარკვეულია, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ადრე შუასაუკუნეში ქვეყნის ცენტრად დანიშნურდა უჯარმა, რომელიც მალე ციხე-ქალაქად იქცა და სამეფო რეზიდენციადაც (იხ. დ. მუსხელიშვილის „უჯარმა“). უჯარმა ჯერ მხოლოდ ძველი კახეთის ცენტრი იყო, შემდეგ კი უფრო დიდი ქვეყნისა, რომელშიაც შედიოდა დღევანდელი გარე-კახეთიც.

თუ უჯარმა ქვეყნის პოლიტიკური ცენტრია, უკვე V საუკუნეშიდან რელიგიური ცენტრია ნინოწმინდა. ჯუანშერის მიერ ჩამო-თვლილ თორმეტ საეპისკოპოსოს შორის, რომელიც თურმე ვახტანგ გორგასალს ჩამოუყალიბებია, მოხსენებულია ნინოწმინდის კათედრაც. ნინოწმინდის საეპისკოპოსოს ემეზობლებიან: დასავლეთიდან – რუსთავის (კუხეთი), ჩრდილოეთიდან – კანარეთის (კახეთის), ჩრდილო – აღმოსავლეთიდან – ქერემის (პერეთი), აღმოსავლეთიდან – ხორნაბუჯის ხოლო სამხრეთიდან – აგარაკის (გარდაბანი) საეპისკოპოსოები.

ამ ქვეყნის უძველესი სახელია სუჯეთი: „სუჯეთის ლიკალიზაცია ხერხდება ივრის მარცხენა სანაპიროზე, დაახლოებით დღევანდელი სოფელ ხაშიდან ბოდბემდე (სიღნაღთან). იგი „მოქცევაჲ ქართლისაჲ-ის მატიანეშია მოხსენებული, IV საუკუნის მეორე ნახევრისათვის, როგორც ქართლის ერთ-ერთი საერისთაო, რომელიც, თავის მხრივ, კახეთ-კუხეთის საუფლისწულოში შედიოდა“<sup>1</sup>.

გასარკვევია ამ ქვეყნის ორი საეკლესიო ცენტრის ნინოწმინდისა და კანარეთის ურთიერთობა. ორივე ეს საეპისკოპოსო მოხსენებულით 506 წლის ქართლის 24 ეპისკოპოსს შორის „ეპისტოლეთა წიგნმა“ რომ შემოგვინახა. როგორც ვიცით, კანარეთიდან წმ. ნინო ნათლავს „ლხოელთა და სოჯთა“ ერის ე.ი. კუხელთ და სოჯელთ. უნდა ვიფიქროთ, აქ ისეთივე შემთხვევაა, როგორც შიდა ქართლში რუისისა და ურბინის ახლო მეზობლობისას, სადაც მათ განაწილებული აქვთ ქვეყანა – მტკვრის

<sup>1</sup> დ. მუსხელიშვილი, კახეთ-პერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII-XIII სს. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, III, 1966, გვ. 60 და 112.

სამხრეთით და ჩრდილოეთით. დ. მუსხელიშვილის დაკვირვებით, კანარეთისა და ნინონმინდის შემთხვევაშიც ჩელებთისა და ხარჭაშნის ანალოგიური ვითარება და „ეს ტერიტორია უფრო გვიან ორ საეპისკოპოსოს კანარეთსა და ნინონმინდას შორის არის განაწილებული“, სადაც იმონმებს ვახუშტის „ნინონმინდელი მწყემსი ამ ქვეყნისა ქიზიყამდე“, ხოლო „კანარელი მწყემსი ამას ზითის ქუეყნისა ერწომდე.“<sup>2</sup>

თანდათან სუჯეთი კუხეთმა ჩაყლაპა, ისევე როგორც შემდეგ კუხეთში კახეთმა (VIII საუკ. ბოლოს). მაშასადამე, ჰერული ქვეყანა სუჯეთი ჯერ კუხეთის ნაწილად იქცა (VII საუკ.), ხოლო შემდეგ მასთან ერთად კახეთისა.

ჩვენთვის საინტერესო ქვეყანას ვახუშტი ჩვეულებრივი სიზუსტით რატომღაც ვერ აღწერს. ამისი მიზეზი გამოსარკვევია, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ ერთ-ერთი მიზეზი მისი გაპარტახებულობა უნდა იყოს XVIII საუკ. დასაწყისში:

„ხოლო მდინარის იორის კიდე იმიერი და ამიერი არს ფრიად ნაყოფიერი, ვინადგან აღმოვლენენ რუნი და ირწყვიან ველნი, და სცენდებიან ყოველნი მარცვალნი. და დასდევს იორს მცირე ჭალაცა და ლერწმოვან-ჩალიანი, და არიან ნადირნი და ფრინველნი მრავალნი და უმეტეს პოპობნი. გარნა იყო ალაზნის შესართავადმდე და ვიდრე სამგორამდე შენობანი დიდ ფრიად, არამედ მოოფრდა გამსლვასა ბერქასსა და შემდგომად ლანგ თემურისაგან, რომელნი ჩანან დღესაც, შემდგომად დასხნეს ელნი ამათ ადგილთა აწინდელთა მეპატრონეთა, ვითარცა ბატონმან თეიმურაზ და ხანებმან, და სთესდნენ ესენი ყოველსავე; და ესენიცა წარიყვანა შანადირ და დასხნა ხორასანს.

ხოლო იორს არარაჲ ვითარი მდინარე ერთვის ანუ ფევი საგარეჯომდე, და არს მუნამდე ალაზნიდამ ველი. და არს ადგილი ესე ზამთარ თბილი, ბალახიანი, მცირეთოვლიანი, ნადირფრინველიანი, ჰავითა მშვენი, ხოლო ზაფხულის ცხელი, ხაშმიანი, გაუძლისი. იორის პირს ყოფილა სასახლე, დამპალას, აწინდელთა კახთა მეპატრონეთა, საზამთროთ ნადირობისათვის, არჩილ ა მეფისამდე, კეთილს ადგილს, შვენიერს, წყაროიანსა.

ხოლო დამპალას აღმოსავლით-ჩდილოთ არის, ჰერეთის მთის ძირს, მანავი, სადაცა ალაშენა სასახლე იმანყულიხან. მთის ძირად არს ძველადი ციხე და აწ შემუსვრილი. არამედ ღვინო მანავისა კეთილი. მანავს ქვეით ქიზიყამდე, ცივ-გონბორის მთის კალთათა არიან შენობადაბნეები ვენახ-ხილიანნი. უსეს იორისკენ სახვნელნი

<sup>2</sup> ვახუშტი, აღწერა..., გვ. 90

ველნი და უკან მთა ტყიანი, უწყლო. მოსახლენი არიან მთავარნი, აზნაურნი, გლეხნი. ადგილი ნაყოფიერებითა აღმკული, გარნა წყლისათვის შემეჭირნეობს, თუნიერ წყაროთა, დაბნებთა შინა უსაკმარობით, ვინათგან არა აქუს მთას მდინარე, ვერარით რწყვენ ველთა. არამედ არის აქა პირუტყვეთა სიმრავლე: ცხოვარნი, ცხენი, ძროჰა, კანბეჩი, ვირი.

ხოლო მანავის დასავლით არს ჰევი გიორგი-წმინდისა; გამოსდის შუამთას და დის ჩდილოდამ სამფრით. ამან მოიგო სახელი, ოდეს შესწირეს გარეჯის უდაბნოს დაბანები ესე, უწოდეს საგარეჯო. ამის დასავლით ერთვის იორს ნინო-წმინდის ჰევი, გამოსდის მასვე მთას და მოდის ეგრეთვე. ამ ჰევეზედ არს ნინო-წმინდა, ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი, რომელი ალაშენა გორგასალ და დასვა ეპისკოპოზი, და ზის ანამდე, მწყემსი ამ ქვეყნისა ქისიყამდე.<sup>3</sup>

სოფლების სია, რომელიც ვახუშტის „აღწერას“ ბოლოში ერთვის ასევე არასრულია: „გარეთ-კახეთი: ...ალაკანი, კაკაბეთი, ჩაილური, მანავი, თოღლიაური, ათოკი, გიორგიწმინდა, თვალი გ., მარიაშვიკარი...“<sup>4</sup> ჯერ ერთი, რომელია ეს ალკანი, ჯერჯერობით, ჩვენთვის უცნობია. იგი სიაში ზის ჩიბლიანსა (შიბლიანსა, თ.თ.) და კაკაბეთს შორის. ასეთი სოფლები კი დღეს არის ბადიაური და ზემო და ქვემო ყანდაურა. ბადიაური სიძველე გამორიცხულია, რადგან იგი შეიქმნა XX საუკუნის დასაწყისში, კახეთის რკინიგზის გაყვანის შემდეგ, როდესაც აქ იორ-მულანლოს თათრული სოფლებისა და ყანდაურებისათვის რკინიგზის სადგური ბადიაური დააარსეს. ბადიაურის დღევანდელი მოსახლეობა ძირითადად ზემო ყანდაურიდანაა ჩამოსახლებული. შესაძლოა ალკანი ერქვა რომელიმე ყანდაურას, უფრო ქვემო ყანდაურას, რადგან აქაური მოსახლეობაც მიუთითებს, რომ ადრე ჩვენ ერთი სოფელი ვიყავით (ზემო და ქვემო ყანდაურა), ქვემო ყანდაურელებს მკვდარი ზემოში მიგვქონდაო. მაშ, ქვემო ყანდაურაც ზემოდან ჩამოსულა და შესაძლოა ალკანის ნასოფლარზე დამკვიდრდა.

ამას გარდა, სიაში მოხსენებული არაა სოფელი ვერხვიანი, რომელიც ადრე ცალკე სოფელი ყოფილა, დღეს კი კაკაბეთსაა მიერთებული, არც სოფელი ბურდიანი, რომელსაც ცალკე ნასოფლარიც კი აქვს და დღეს მანაგსაა მიერთებული, არც შავქედი და არც თარაქი, რომლებიც მანავის პატარა ხევიში მდებარეობენ და დღეს ნასოფლარებადაა ქცეული. ყველა ამ სოფელში და

<sup>3</sup> ვახუშტი, აღწერა..., გვ. 90.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 205.

ნასოფლარში ჩვენმა ექსპედიციამ მოიკვლია გვიანშუასაუკუნეების ეკლესიები, რომლებიც ადასტურებენ მათ არსებობას ვახუშტის დრომდე (ამაზე ქვევით). ამასთან ეს სოფლები მოხსენიებულია „კახეთის ხალხის აღწერის XVIII საუკ. პირველი მეოთხედის დავთარში, რომელიც ი. ჯავახიშვილმა შეისწავლა და გამოაქვეყნა. ეს სოფლები მოხსენიებულია ისტორიულ დოკუმენტებშიც. ასე რომ ვახუშტის არც აღწერა და რც სოფლების სია სრული არ არის.

ახლა ვნახოთ გიულდენშტედის აღწერა, რომელიც ქრონოლოგიურად ვახუშტისაზე გვიანია.

„(ნინონმინდა) საგარეჯომდე არის კარგი 1/2 საათის სავალი, ანუ 3 ვერსი. ეს დაბა მდებარეობს მდინარე თვალთანყარიზე, რომლის კალაპოტიც არის 150 ნაბიჯის სიგანისა და მოფენილია მთლიანად ქვიშაქვისა და კირქვის კენჭებით. ახლა ის უწყლოა, რადგანაც წყალი გადაგდებულია ზოგიერთი წისქვილისათვის. ის არის იორის მარცხენა შენაკადი. საგარეჯო გარშემორტყმულია გალავნით, ხოლო მისი სახლების უმეტესობა გალავანს გარეთაა. აქ არის დაახლოებით 500 მკვიდრი ოჯახი.

გზა აქედან მიდიოდა აღმოსავლეთის მიმართულებით, ბორცვიან მიდამოზე, პირველი მთისწინეთის ძირის პარალელურად. საგარეჯოსთან ეს ადგილი ძალიანაა გამოყენებული: ირგვლივ გაშენებულია ვენახები, დარგულია დიდი რაოდენობით ხეხილი (ჩამოთვლილია, თ. თ.)

23 თებერვალს დილით გავედით საგარეჯოდან და 5/4 საათში გავიარეთ 5 საყენის სიგანის მდინარე, რომელიც მიედინება სოფ. მანავის I ვერსით ზემოთ. ეს სოფელი თითქმის მთლიანად განადგურებულია; გადარჩენილ მოსახლეთაგან მცირე ნაწილმა შეაფარა თავი ოდნავ ჩრდილოეთით ვიწრო გალავანს ციცაბო მაღლობზე.

ეს არის ყველაზე განაპირა ადგილი თვალსაგარეჯოს მხარისა, რომელიც გადაჭიმულია პირველი მთისწინეთის სამხრეთ კალთების გასწვრივ, თბილისიდან ამ ადგილამდე.

მანავიდან და უკვე საგარეჯოდანაც ჩვენი გზა, ოდნავი გადახრებით, მიემართებოდა ჯერ აღმოსავლეთისაკენ. 1 1/2 საათში გავიარეთ მდ. გრუვე (ალბათ მდ. მღვრიე. ამ ადგილებში ჩაილურის წყლის მეტი ხევი აღარაა, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ გიულდენშტედის მდ. გრუვე არის ჩაილურის ხევი, თ. თ.), ამის მერე 2 საათში კი მდ. ბეჭამბალი (ბეჭანბალი, თუმცა აქ შიბლიანის მცირე ხევია მხოლოდ მთისწინეთიდან და ერთვიან იორს მარცხენა მხრიდან. ახლა ისინი წყალნაკლულნი არიან, გრუვეს წყალი

კი მღვრიეცაა. წინათ ორივე მათგანზე იყო სოფლები, რომელთა მდებარეობაც მთიანეთის საკმაო შავმიწიანი თიხიანი ზედაპირის, წყლის, ახლოსმყოფი კარგი მთის ტყეების – უმთავრესად წითელი და თეთრი წიფლის და მუხის, – გამოისობით ძალიან გამოსაყენებელი იყო მინათმოქმედებისა და საძოვრებისათვის. ახლა კი ყველაფერი გაოხრებულია.“<sup>5</sup>

ცოტა ქვევით, გიულდენშტედტი საკმაოდ ინფორმაციას იძლევა საგარეჯოს მხარის შესახებ: „კახეთის მხარეს თვალსაგარეჯოს უჭირავს იორის ქვედა დინება და მთისწინეთის ქვემო ნაწილი და მისი ვაკეები. მასვე ეკუთვნის კედლებით და ციხეებით აღჭურვილი ადგილები: 1. მანავი, ყველაზე განაპირა აღმოსავლეთ ადგილი, 2. ნათლული, 3. მარტყოფი, რომელსაც თვლიან ქალაქად, 4. ნორია, 5. ლოჭინი, 6. ბატორო 7. სეოლი (გ. გელაშვილი ასწორებს-პატარძელი), 8. მონასტერი ნინოწმინდა, 9. ნანიანი, 10. საგარეჯო, რომელსაც აგრეთვე ქალაქი ჰქვია“.<sup>6</sup> აქ ნავთლული, მარტყოფი, ნორიო და ლოჭინი სრულიად ზედმეტია და მხოლოდ არასწორი ინფორმაციის შემდეგი, რაც შეეხება ნანიანს, ესაა კაჭრეთსა და ქიმიტთან მდებარე სოფელი, ქიმიტი კი ეკუთვნოდა „საგარეჯოს“ სენიორიას, მაგრამ აქ გულდენშტედს მასზე არა აქვს ლაპარაკი და ნანიანიც ასევე ზედმეტია. რჩება მანავი, პატარძელი, ნინოწმინდა და საგარეჯო, რაც სწორედ საგარეჯო ქვეყნის კუთვნილი სოფლებია, ისიც მანავი მხოლოდ სანახევროდ. შესაძლოთა, გიულდენშტედტი საგარეჯოს მოურავის დაქვემდებარებულ მხარეს აღწერს, რადგან ერთგან იგი მიუთითებს, რომ „კახეთი, საერთო ქართული წყობილების მიხედვით, იყოფა მხარეებად, რომლების ზოგჯერ რაიონებადაა დაყოფილი. თითო მათგანს ეკუთვნის არათანაბარი რაოდენობა ე. წ. ქალაქებისა, ციხე-სიმაგრეებისა, მსხვილი სოფლებისა ან ადგილებისა, პატარა სოფლების და დასახლებული ადგილებისა, აგრეთვე უმეტესად ზოგი მონასტრისა. უკვე აღნიშნული იყო, რომ მმართველი ადგილისა ან რამდენიმე პატარა სოფლისა, არჩეული თვით მოსახლეობის მიერ და დამტკიცებული მეფის მიერ – „კახმა“ (ქემხა, თ. თ) არის, ხოლო მხარის მოხელეა – ქიზიყის მოურავი და საერთოდ ის არის თავადთა გვარიდან“<sup>7</sup>. გამოდის,

<sup>5</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გამოც. გ. გელაშვილისა, თბილისი, 1962, გვ. 19-21.

<sup>6</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა... , ტ. I, გვ. 261.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 257.

რომ საგარეჯოს მოურავის მხარე ანუ სამოურავო თბილისიდან (ნავთლული, მარტყოფი, ნორიო, ლოჭინი) გადაჭიმული იყო თითქმის ქიზიყის საზღვრამდე (ნანიანი ჯიმიტთან). უცნაურია მხოლოდ, როგორღაა „მანავი ყველაზე განაპირა აღმოსავლეთი ადგილი“ ამ მხარის, თუ არ იყო კიდევ ერთი ნანიანი, სადღაც საგარეჯოსთან ახლოს.

გარე-კახეთის კიდევ ერთი აღწერა აქვს იოანე ბაგრატიონს:

„გარე კახეთი, რომელიც აღმოსავლეთის მხარეს არის, სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო სოფლები და ადგილი არიან შემდგომი ესე: 1. ლილო; 2. სამეფო დარჩა აშკარეთად წოდებული; 3. ლუთაება; 4. შავპირი; 5. ნორიო; 7. მარტყოფი; 8. ჭოპორტი; 9. საცხენისი; 10. მულანლო; 11. სათის ჭალა; 12. ხურაუგი; 13. მუხრანი; 14. შუა უბანი; 15. საჩალე; 16. ლამიანი; 17. ფეიქრიანი; 18. უჯარმა (ნაქალაქევი); 19. უჯარმა; 20. ველის-ციხე; 21. ხაშმი; 22. სამება; 23. ყარაბულახი; 24. პატარძეული; 25. ბერთუბანი, 27. მარიამჯუარი, 30. ვალი ანუ საგარეჯო (3), 31. გორგინმინდა, 32. ათოკი, 33. არჩილ მეფის სასახლე იორზე (დამპალა, თ. თ.), 34. ნიახურა, 35. თოხლიაური, 37. მანავი (2), 38. ჩაილური, 39. კაკაბეთი, 40. ალაკანი ანუ გელსანკორასანი, 41. ყანდაურა. მირიანს თვს ეყოდა. ამას შეუდგების საენდრონიკო ადგილი“<sup>8</sup>.

ეს ყველაზე გვიანი აღწერაა, XVIII საუკუნის მინურულისა, ამიტომაც ჩვენთვის საინტერესო მხარე ყველაზე სრულადაა წარმოდგენილი. ალაკანისა და ყანდაურას (ქვემო ყანდაურას) იგივეობა; შესაძლოა ამ აღწერიტაც დადასტურდეს, თუ ჩავთვლით, რომ ამ აღწერის ყანდაურა არის დღევანდელი ზემო ყანდაურა, უფრო ძველი სოფელი, ვიდრე ქვემო ყანდაურაა. მაგრამ შავქედი და თარაგი არც აქაა, რაც შესაძლოა გამონკვეულია იმით, რომ ამ დროს ეს სოფლები უკვე ნასოფლარებად არის ქცეული და მხოლოდ უფრო გვიან XIX საუკუნეში ხელახლა დასახლდა ქართველი მთიელებით. აქ უნდა გავიხსენოთ ლ. მელიქეთ-ბეგის ცნობა, რომ თარაქში ფშავლები ცხოვრობენო<sup>9</sup>, მანავის ორ სოფლად მოხსენიებას შესაძლოა ის ახსნა მოეძებნოს, რომ აქ მეორე სოფლად შავქედი იგულისხმება (რომელიც მისგან ჩრდ. სულ რამდენიმე კმ-ზეა), ან ბურდიანი (რომელიც მისგან ასევე ახლოა აღმ-ით).

<sup>8</sup> იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, „ტოპონიმიკა“, II, თბილისი, 1981, გვ. 355.

<sup>9</sup> ლ. მელიქეთ-ბეგი, არქეოლოგიური ექსკურსიები გარე-კახეთში და ჭერემის ხეობაში, „სახალხო საქმე“, 1920, № 927.

მიმდინარე წელს ჩვენ ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვები ჩავატარეთ საგარეჯოს რაიონის მდ. ივრის მარცხენა ნაპირის ტერიტორიაზე საგარეჯოდან დაწყებული რაიონის აღმოსავლეთ საზღვრამდე ე. ი. ბადიაურამდე. ჩვენს მიერ მოხილული ქვეყანა ცივ-გომბორის ქედსაა მიმდგარი ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან იგი ისაზრება მდ. ივრით. ესაა რაიონის ყველაზე მჭიდრო დასახლებული და სამეურნეოდ ყველაზე კარგად ათვისებული მხარე. სოფლები აქ შემდეგ თანმიმდევრობითაა განლაგებული: საგარეჯო, გიორგიწმინდა, ანთოკი, მარიამჯვარი, თოხლიაური, მანავი, ბურდინი, ჩაილური, კაკაბეთი, ვერხვიანი, ქვემო ყანდაურო, ზემო ყანდაურა და ბადიაური. აქ არას ვამბობთ იორ-მულანლოს მეტად მჭიდროდ დასახლებულ და ერთმანეთზე გადაბმულ ხუთ სოფელზე. იგი ჩვენ არ მოგვიხილია, გალმაა.

### „საგარეჯო“ ქვეყნისათვის

სათანადო დოკუმენტების უქონლობის გამო, ჩვენ არ ვიცით XV საუკუნემდე დავით გარეჯის მონასტრები კონკრეტულად რომელ სოფლებს ფლობდნენ კახეთში ან სხვაგან.

IX საუკუნეში ილარიონ ქართველმა მონასტერს მიწები შესწირა. ილარიონის ცხოვრების მოკლე რედაქციის ტექსტში ამაზე პირდაპირი მითითება: „აღუშენა ეკლესია და შეამკო ყოვლითავე სამკაულითა... და შეწირნა სოფელნი, რომელნი დაშთომილ იყვნეს მამულისგან თვისისა“<sup>10</sup>

„XI-XIV საუკუნეებში გარეჯის მონასტრები სამეფოდ ითვლებოდნენ. საქართველოს მეფეების ხელში გარეჯის გადასვლა მათი სწრაფი დაწინაურების მიზეზი ხდება. მიღწეული მატერიალური კულტურის ძეგლები მოწმობენ ამ პერიოდისათვის დიდ კულტურულ აყვავებას, რასაც, ბუნებრივია, მაღალი ეკონომიური დონე შეესაბამებოდა. სამწუხაროდ, ეკონომიური ცხოვრების კონკრეტული სურათის დადგენა XII-XIV საუკუნეებისათვის ვერ ხერხდება“<sup>11</sup>.

გარეჯის სამფლობელო მიწა-წყალი, როგორც სენიორია, გარკვეულ ტერიტორიულ მთლიანობად წარმოდგინებოდა,

<sup>10</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით, გამოც. ა. ხახანაშვილის, 1901, გვ. 78.

<sup>11</sup> ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორეები, I, თბილისი, 1966, გვ. 40.



რომელსაც შესაფერი ცნება „საგარეჯო“ შეესატყვისებოდა (სამცხეთის, საბარათიანოს ანალოგიურად). მსგავსი შინაარსისაა წყაროებში მოხსენებული „გარეჯის მამული“, „ქვეყანა გარეჯისა“, „სრულიად გარეჯისა სახლი“, „წინა უკანა საგარეჯო“, „ორივე საგარეჯოს თემა“, „საგარეჯოს გამოსავალი“ და სხვ.

ტერმინი „საგარეჯო“ პირველად XV საუკუნის დოკუმენტებში გვხვდება, მხოლოდ უამთა აღმწერელთან არის უფრო ადრე „ქვეყანა გარეჯისა“ ე. ი. XIII საუკუნეში. ბ. ლომინაძის ვარაუდით „ეს გარემოება მის სიძველეს ვერ უარყოფს, რამდენადაც ადრინდელი საბუთები სოციალურ ეკონომიური ურთიერთობის შესახებ საერთოდ არ მოგვეპოვება“<sup>12</sup>.

„საგარეჯომ“ მთლიანი ტერიტორიული ერთეულის შინაარსი ბოლომდე შეინარჩუნა, მხოლოდ XVIII საუკუნეში მოხდა მისი საგროძნობი ტერიტორიული დავიწროება და ეს სახელი მხოლოდ ერთ პუნქტს შემორჩა. ვახუშტი ბაგრატიონს „საგარეჯო“ ისტორიულადღის, ესმის, როგორც კრებითი ცნება: „ამან მოიგო სახელი, ოდეს შესწირეს გარეჯისა უდაბნოს დაბნები ესე, უწოდეს საგარეჯო“<sup>13</sup>. ვახუშტის თავის რუკაზე საგარეჯო დატანილი აქვს როგორც მხარე, რომელშიც შედის სამი სოფელი თვალი და სოფელი გიორგინმინდა. ესაა ვახუშტის დროინდელი „საგარეჯო“ ქვეყანა.

XV საუკუნის საგარეჯო ქვეყანას ჩვენ ვიცნობთ მეფე ალექსანდრე დიდის საბუთით, როდესაც მან მცხეთის საკათალიკოსოს გადასცა გარეჯის უდაბნოები (დავით გარეჯი და დოდო) მამულებითურთ 1424 წ., ამ აქტის დამამტკიცებელ საბუთში 1428 წ. დასასრულია ყველა ის მამული, რომელიც „საგარეჯოს“ შემადგენლობაში შედიოდა იმ დროისათვის: „საგარეჯო მთას აქეთ და მთას იქით (აქ ცივ-გომბორის ქედი იგულისხმება, თ.თ.), სოფლები (რომელთა შორისაა) ბერთუბანი, თუალნი, გიორგინმინდა“.

როგორც ალექსანდრე მეფის საბუთებიდან ჩანს, XV საუკუნის „საგარეჯო“ 17 სოფელი შეიცვალა. რადგან საბუთი თემურლენგის შემოსევების შემდეგდროინდელ სურათს ასახავს, რომლის შედეგად გაუქმდნენ და მოიშალნენ გარეჯის უდაბნონი, ხოლო საგარეჯო სოფლების ნაწილი მდ. იორის ნაპირებზე ჯერ კიდევ XIII საუკუნეში, მერგა ყაენის ლაშქრობის შედეგად, აღიკავენ მიწისგან, ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ადრე „საგარეჯო“ ბევრად დიდი უნდა ყოფილიყო.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 40.

<sup>13</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 90.

გვიანშუასაუკუნეების საგარეჯოს ტერიტორია მდებარეობდა მდ.იორის მარცხენა ნაპირსა და მდ.ალაზნის მარჯვენა ნაპირს შორის გადაჭიმულ ვრცელ ფართობზე, ცივ-გომბორის ქედის ორივე მხარეს. ესაა წყაროებში და დოკუმენტებში მოხსენებული „საგარეჯო მთას აქეთ და მთას იქით“. ასე რომ, ცივ-გომბორის ქედის ორივე მხარეს მდებარე სოფლები „ორივე საგარეჯო თემა“ ან „წინა უკანა საგარეჯო“. ორიენტორია გარეჯის მონასტერს, რადგან მული ქვეყანა „საგარეჯო“ მისგან ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთითაა, ის რაც ქედს გადმოღმა ანუ გარეკახეთშია-წინა საგარეჯოა, ხოლო რქედს გადაღმა ანუ შიგნით კახეთშია-უკანა საგარეჯოა.

წინა საგარეჯო XV საუკუნეში მოიცავდა სოფლებს: ორკოშინს, ბერთუბანს, თუალს (აქეთ სამი იყო), გიორგინმინდას, ტაზრებს, არვლის, ვერენას, კეხთას, თოლევს (ბ.ლომინაძის დაკვირვებით, ჩამოთვლილია ქვემოდან ზევით); უკანა საგარეჯო შეიცავდა: ზემო ხოდაშენს, აკურას, კალაურს, ნაპირს, ქვემო ხოდაშენს, ვეძისხევს (ესენი ჩამოთვლილია ზევიდან ქვემოთ). ჯიმიტის ქედი აქეთაა ანუ წინა საგარეჯოშია, მაგრამ საკმაოდ განცალკევებულად დგას და რკალს კრავს.

ბ. ლომინაძე დაასკვნის: „ამგვარად, ირკვევა, რომ XV საუკუნის საგარეჯო სრულიად კომპაქტური ტერიტორიაა, მისი საზღვრები საკმაოდ ვრცელია. ბუნებრივია, საგარეჯოში შედიოდა ამ სოფლების მიმდგომი საძოვრები და ტყეებიც, რომლებიც მთის ორივე მხარეზე იყო განლაგებული და, ჩვეულებრივად, სოფლის დასახელებისას ისინიც იგულისხმებიან“<sup>14</sup>.

უშუალოდ გარეჯის უდაბნოს მიმდგომ ტერიტორიას, რომელიც ამ პერიოდში მხოლოდ საზამთრო საძოვრებს წარმოადგენდა, ჩვენ მომავალ წელს მოვიხილავთ და დანვრილებით მასზე მაშინ შევჩერდებით. ამჟამად კი წინასწარულად უნდა გავიზიაროთ ბ. ლომინაძის დაკვირვება, რომ „საგარეჯოს“ ტერიტორიას „სამხრეთით უნდა მიემატოს ის ტერიტორიაც, სადაც თვით მონასტრები იყო განლაგებული, ირგვლივ მდებარე უდაბნო საძოვარი ადგილით და რომელსაც მდ. იორის მარჯვენა მხარე ეჭირა“. კიდევ, „გარეჯის სამფლობელო სოფელ-მამულები XV საუკუნეში შედარებით შორსა აქვს, უშუალო მეზობლად კი მას არცერთი ობიექტი არ გააჩნია. ასეთი სურათი, რასაკვირველია, არ არის ძველიდანვე მომდინარე, მაგრამ თუ მათ შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით (არ იცოდნენ XV საუკუნეშიც) ეს მხოლოდ იმას

<sup>14</sup> ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

მიეწერება, რომ ობიექტები, ანუ გარეჯის გარემო ადგილები, ამ დროისათვის კარგა ხანია მოსპობილი იყო. ისინი გადაშენდნენ ისევე, როგორც ეს მხარეც მთლიანადმე გარკვეული დროიდან, გავერან-გაუდაბურდა. საქმე ისაა, რომ გარეჯის გარემოს ისტორიულ-ეკონომიური და გეოგრაფიული ცხოვრება, პირიქით, შესაძლებლობას, ბადებდა გარეჯას აქაც ჰქონოდა ობიექტები“<sup>15</sup>.

„საგარეჯომ“ ძველიდანვე ჩამოყალიბებული ძირითადი ტერიტორია მთის ორივე მხარეს ძალიან დიდხანს შეინარჩუნა, თუმცა ზოგი სოფელი დაჰკარგა: ზოგი მცხეთის საკათალიკოსომ უშუალო მფლობელობაში მიითვისა, ზოგი კი სხვა კერძო მფლობელთა ხელში გადავიდა. ძველი „საგარეჯო“, თუმცა შევიწროვებული, მაინც კრებითი სახელი დარჩა ბოლომდე, მთლიანი ტერიტორიული სამფლობელოს გაგებით, რომელიც სულ ბოლოს, XVII საუკუნეში, მხოლოდ რამდენიმე პუნქტს აერთიანებდა (თვალნი ანუ სოფელი თვალი და სოფელი გიორგინმინდა) და უკვე თანდათან კონკრეტული, ვიწრო გეოგრაფიულ მცნებად იქცა და ბოლოს მხოლოდ ერთ დაბას, დღევანდელ ქალაქ საგარეჯოს დაერქვა. თავდაპირველად მასაც ჯერ თვალ-საგარეჯოს უწოდებდნენ, ხოლო შემდეგ ეს თვალიც დაჰკარგა, ჩამოშორდა და დარჩა დაბა საგარეჯო.

დღევანდელ საგარეჯოში გაერთიანებულია ყოფილი სამი თვალი ანუ როგორც მათ დოკუმენტებში უწოდებდნენ თვალნი. იმიტომ ამ პუნქტის სახელი დოკუმენტებში სხვადასხვა ფორმით გვხვდება: თვალი, თვალნი, თვალ – საგარეჯო. დღეს უკვე ველარ გაირჩევა საზღვრები ამ სამ სოფელს შორის, არც ადგილობრივმა მოსახლეობამ იცის რაიმე ამის შესახებ. მატერიალური კულტურის ძეგლების დიდი რაოდენობა (II ეკლესია და 2 კოშკი) კარგად მოწმობს, რომ აქ რამდენიმე დიდი სოფელია გაერთიანებული. დღეს საგარეჯო ქალაქია, ადრე დაბა იყო, უფრო ადრე სოფელი.

სოფელი საგარეჯო იყოფოდა უბნებად: გაღმა უბანი, ფერდის უბანი, ქვლივიძიანთ უბანი, ქურხულიანთ უბანი, გილაანთ უბანი, ესაიანთ უბანი, დოდოს უბანი, კუჭუანთ უბანი.

სოფელ საგარეჯოს მიჯნები იყო: დასავლეთით-წინონმინდის ხევი, აღმოსავლეთით – წიფლის ხევი, ჩრდილოეთით – საგარეჯოს ცივი (ე. ი. ცივამდე ქედამდე მდებარე ტყიანი მთები საგარეჯოსია), სამხრეთით – ლაპრიანი (დღ. საგარეჯოს ქარხნების უბანი, სადაც მოთავსებულია ღვინის და საბურავების ქარხნები, აგრეთვე საავადმყოფო და ტექნიკუმი. ეს უბანი მდებარეობს

<sup>15</sup> იქვე, გვ. 42.

კახეთის გზატკეცილის სამხრეთ მხარეს). ადრე გზატკეცილი საგარეჯოს ცენტრში დადიოდა, გვიან იგი სამხრეთ განაპირას გაიყვანეს.

სოფელ საგარეჯოს უმთავრესი გვარები იყო: ქვლივიძე (აზნ.), ქურდიანი (აზნ.), დარბაისელი (აზნ.), ჯაბადარი (აზნ.), ქურხული, გილაშვილი, ესაიაშვილი, მეზერიშვილი, გოგიტაშვილი, ხებრელაშვილი, დავითელაშვილი, ანუასშვილი, გარსიაშვილი, გურასპიშვილი, ბეზარიაშვილი და სხვ.

სოფელ საგარეჯოს ტოპონიმია: თვალთხევი, ქობხევი, თუშის წყალი, ჭალის წყალი, თვალთთავის ხევი, წიფლის ხევი, ტიკაურის ხევი, შუა ხევი; საგარეჯოს ცივი, ქურდაანთ გორა, ქვლივიძის კლდე, კიდა, წინწრიანი, საკამეჩო, პირუკულიმართი, ნაბაკრევი, ბებერკლდე, სასვენებელი მუხა, ვაკე ტყე, საბადური, შაშვის წყარო, წმ. გრიგოლი (დანგრეული ეკლესია), წრუბელი, იელიან გუბე, საქოგე, ლუწინი, სანახშირეები, ეფრემას ნაკაფი, ვანოს ნახნავები, შასვის წყაროს თავი, ახოები, საფშვილე, თეთრობიანი, ფაჩოას კლდე.

სოფელ საგარეჯოს მეურნეობაში წამყვანი ადგილი ეჭირა მემინდვრეობას, ამასთან მისდევდნენ მესაქონლეობასაც. მიწები სარწყავიც იყო და ურწყავიც. ურწყავში მეტი წილი ყანა ითესებოდა, სარწყავში – სიმინდი. მარცვლეულში მთავარი იყო ხორბალი: დოღის პური, პოშოლა, თავთუხი. წისქვილები ბევრი იყო ივრის გაყოლებაზე: სასოფლო, ჯაბადარიანთი, ლეკიანთი, ბუჩანთი. მევენახეობა ნაკლებად იყო განვითარებული, უფრო შემდეგ მომრავლდა. საქონელში მსხვილფეხა სჭარბობდა. ზაფხულში მთაში მიჰყავდათ: ცივ-გომბორის ქელზე ცივზე და კოდაზე, თრიალეთში და ლეკის მთაზე, მეტი წილი თრიალეთში. ზამთარში მინდორში ჰყავდათ: გველის წყარო, გარეჯელა, ყაზასა წყალი, ვაშლიანი, ბედიანთ ხევი, კოლაზე. ეს მიწები ივრის გაღმაა, გარეჯის უდაბნომდე.

სოფელ საგარეჯოში იდგა 2 კოშკი (ქვლივიძიანთ ციხე და ნაცვლიანთ ციხე) და II ეკლესია: წმ. გიორგი, ღვთისმშობელი, წმ. მარინე, მთავარმონაშე, თვალთთავი, ლამარის ჯვარი, წმ. მარინე, პეტრე-პავლე, წმ. დოდო, წმ. დავითი, კვირაცხოველი.

ორი კოშკიდან ერთი სრულიად დანგრეულია, ნაცვლიანთ ციხე.

ქვლივიძიანთ ციხე წარმოადგენს სამსართულიან ცილინდრულ კოშკს. პირველი სართული მთლიანად ყრუ იყო შიგნითაც და გარეთაც, არც კარი, არც სარკმელი, არც თახჩა ან ბუხარი შიგნით. ყველაფერი ეს მეორე სართულზეა. შესასვლელი კარი

ჰქონდა მეორე სართულზე ჩრდილო-დასავლეთი მხრიდან. პირველ და მეორე სართულებს შორის გადახურვა ხის კოჭებს ეყდნობოდა. კოშკს ზედა ნაწილი აკლია, ჩამონგრეულია. შესასვლელ კარს შეისრული თალი აქვს აგურით ამოყვანილი. მეორე და მესამე სართულებს შორის თალიანი გადახურვაა. მეორე სართულიდან მესამეში ასასვლელი კიბე კედელშია დატანებული. მეორე სართულზე ბუხარია. სათოფურები ყოველი მხრიდანაა მეორე და მესამე სართულზე. კოშკის დიამეტრია 4,5 მ. შიგნით, კედლის სისქე – 1,70 მ.; პირველი სართულის სიმაღლეა – 2,5 მ.; მეორესი – 1,85 მ.; მესამე შერჩენილია 0,5 მ-ზე, ბევრი აკლია. ეს კოშკი აშკარად გვიანშუასაუკუნეებისაა.

წმ. გიორგის ეკლესია ამავე სახელობის მაღალ ქედზეა, რომელიც საგარეჯოსა და გიორგიწმინდის საზღვარია. იგი საგარეჯოდან ჩრდილ-დასავლეთით, დაახლ. 2 კმ-ზე მდებარეობს. ეკლესია დარბაზული ტიპისაა. ნაგებია რიყის ქვით. აფსიდა ნახევარწრიულია, რომელშიც დგას რიყის ქვით ნაგები საკურთხევლი. ეკლესია შიგნით შელესილია. კარნიზი ერთ საფეხურიანია, დაკუთხული აგურისა. ეკლესიის ფასადის კუთხეებში ნახმარია შირიომის ქვა. ეკლესიის ზომებია: სიგრძე – 7 მ., სიგანე – 4 მ., სიმაღლე დაახლ. – 4,5 მ. ეკლესია გვიანშუასაუკუნეების ძეგლია. წმ. გიორგის სერის გავლით გზა ადის ცივზე. ეს გზა ძველი, რომლითაც ადრე საქონელი აჰყავდათ საგარეჯოს ცივზე, საზაფხულო საძოვრებისკენ.

მთავარმონაშის ეკლესია მდებარეობს სოფლიდან დაახლ. 2 კმ-ზე, ჩრდილოეთით, ადვილ ვაკე ტყეში, დღევანდელი სასაფლაოდან 0,5 კმ-ზე. ესაა დარბაზული ტიპის ნაგებობა, საკმაოდ უფორმო და დაბალი ხარისხის ნაშენი. ნაგებია რიყის ქვით. ჩვეულებრივზე განიერია. კარი სამხრეთიდან აქვს. აფსიდა ძალიან განიერი და ოთხკუთხაა. კრნიზი დაკუთხული აგურისაა, ერთ რიგად საკურთხევის ქვა აქაც ქვითაა ნაშენი. სარკმელი ერთია, აღმოსავლეთით, ვიწრო და მაღალი. ეკლესიის ზომელი: სიგრძე – 6 მ., სიგანე – 5 მ., სიმაღლე – 3,5 მ. ძველი აშკარად გვიანშუასაუკუნეებისაა, მისი დასასრულსა.

წმ. მარინე მდებარეობს დღევანდელი სასაფლაოს სამხრეთ-დასავლეთ ფერდზე, რომელიც სოფლისკენაა მიმართული. ეკლესია დარბაზული ტიპისაა. ნაგებია რიყის ქვით. აფსიდა ნახევარწრიული აქვს, ოდნავ ნალისებური? აღმოსავლეთის სარკმელი შიგნით ფართეა, გარეთ ვიწრო. კარი სამხრეთიდანაა. კედლები დეფორმირებულია. გვიან შეულესიათ. თალის რიყის ქვითაა გადაყვანილი, შერჩენილია მხოლოდ კონქი. ეკლესიის

ზომებია: სიგრძე – 6 მ., სიგანე – 4 მ., სიმაღლე – 3,5 მ. იგი გვიანშუასაუკუნეების დასაწყისისა უნდა იყოს. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაო მოფენილია ძველი საფლავის ქვებით.

კვირაცხოველი დგას პატარა გორაკზე, სოფლის თავში. იგი აუგია ქვლივიძეთა ერთ-ერთ წინაპარს, ვინმე ანჯიქო ქვლივიძეს. გადმოცემით ქვლივიძენი გადმოსულან კავთისხევიდან. ერეკლე II-ის მათთვის აზნაურობა მიუცია. ეკლესია დიდი ზომისაა: სიგრძე – 10 მ., სიგანე – 7 მ. აფსიდა თითქმის ოთხკუთხი აქვს, განიერი და უფორმო. ნაგებია რიყის ქვით. კარი სამხრეთიდან აქვს. დანგრეულია, კედლები სულ 2-3 მეტრზეა შერჩენილი. ეკლესია ქვლიძიანთ კოშკის თანადროული უნდა იყოს ე. ი. გვიანშუასაუკუნეების მიწურულისა. ეკლესიის გარშემო, გორაკზე, მხოლოდ ქვლივიძეთა სამარხებია. შერჩენილია რამდენიმე წარწერიანი საფლავის ქვა: „... აზნაურთაგანი ელიოზ ქვლივიძე, ჩყნზ“ (1857 წ.), „... ილარიონ დავითის ძე ქვლივიძე, ჩყობ“ (1877 წ.), „მიხეილ დავითის ძე ქვლივიძე, ჩყობ“ (1882 წ.) და სხვ. ეკლესიაც და სასაფლაოც აზნაურ ქვლივიძეთა საგვარეულოსია.

ლაშარის ჯვარი მდებარეობს თვალთხევის მარცხენა სანაპიროზე, ტყეში, სოფლიდან ჩრდილოეთით, დაახლ. 2 კმ-ზე. მშვენიერი, კოხტა ნეგებობაა. ნაგებია რიყის ქვის მოზრდილი ლოდებით. შეიმჩნევა, რომ კარგი წყობა ჰქონია, რომელშიც ალაგაალაგ მახმარია შირიმის ქვაც. აფსიდა ნახევარწრიულია, თითი ნიშით ორივე მხარეს. სარკმლები ადრეულია. ეკლესიას ეტყობა გვიანი შეკეთების კვალიც: ფასადის კუთხეში აგურის წყობითაა განახლებული, ასეთივე შეკეთება ეტყობა თაღზეც. კარი სამხრეთიდან აქვს, სარკმლები – აღმოსავლეთით და დასავლეთით, რომელთაც თავზე შირიმის ქვის წარმი გადასდით. საკურთყვლის აფსიდან გამომყოფ ცრუ სვეტებზე პილასტრიბია. ეკლესიის ზომებია: სიგრძე – 6 მ., სიგანე – 4 მ., სიმაღლე – 4 მ. ამჟამად შუასაუკუნეების ძეგლია, შესაძლოა XIV საუკუნისა? საგარეჯოს კოდის ბებერ კლდიდან, რამდენიმე კმ-ზე, ადრე წამოყვანილი ყოფილა წყალი თიხის მიღებით. ეს ძეგლი კარგი მონუმობაა მთიდან მოსახლობის ჩამოსვლისა. ეს იყო აქაურ ყოფილ მთიელთა, უფრო ფშავლების, სალოცავი.

თვალთთავის ეკლესია მდებარეობს თვალთხევის მარცხენა ნაპირზე. შემალღებულ, ტყიან ფერდზე, რომელიც სოფელს გადაჰყურებს. სოფელი აქვეა, მის ძირში. ეკლესია დგას კლდოვან, დამრეც ფერდზე. ეს კლდეები დაღეულია ხალხის სიარულით და ქარისგანაც ისე, რომ ეკლესიის დასავლეთ კედელს ძირი გამოშლილი აქვს. ეკლესია მცირე ზომისაა, დაახლ. 5 X 3, სი-

მალე 3,5 მ. ნაგებია რიყის ქვის მოზრდილი ლოდებით. აფსიდა ნახევარწრიულია. კარი სამხრეთიდან აქვს, სარკმელი ერთია – აღმოსავლეთით. კარნიზი კუთხოვანი აგურითაა, ორ წყებად. ეკლესია გვიანშუასაუკუნეებისა უნდა იყოს.

წმ. მარინე მდებარეობს თვალთხევის მარჯვენა ნაპირზე (ეს უკვე ერთ-ერთი სოფ. თვალის კვალია), ძველ სასაფლაოზე, რომელსაც ფანოზიანთ სასაფლაოს ეძახიან. აქ მრავლადაა ძველი საფლავის ქვები. ეკლესია მცირე ზომისაა, 5 X 3 მ., სიმაღლე – 3 მ., იგი ეხლახანს „შეუკეთებიათ“, რამაც გასაძებს მთლიანად დაუკარგა სახე. აფსიდა ნახევარწრიულია. კარი სამხრეთიდან აქვს. ნაგებია რიყის ქვით. შიგნიდან და გარედანაც დამახინჯებულია. სავარაუდოდ, გვიანშუასაუკუნეებისა უნდა იყოს. ერთ-ერთ საფლავის ქვაზე „ჯკს უპ“ (1792 წ.).

პეტრე-პავლეს ეკლესია მშენიერად ნაგები, გრანდიოზული, დარბაზული ტიპის ეკლესია. მდებარეობს გაღმა უბნის სასაფლაოზე, რომელიც მალლიდან დაჰყურებს თვალთხევს დასავლეთის მხრიდან. დგას მალალ გორაკზე და კახეთის გზატკეცილიდანაც კარგად ჩანს. იგი ეხლახანს კაპიტალურად და მალახარისხოვნად შეუკეთებია ძეგლთა დაცვის სამმართველოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადები დამშვენებულია მოჩუქურთმებული სარკმლებით და ჯვრებით. ჩუქურთმა გვიანია, დაახლ. XVII-XVIII საუკუნეებისა. ესაა გარეჯის უდაბნოს წინამძღვარ ონოფრე მაჭუტაძის მიერ აგებული ეკლესია; 1712 წლით დათარიღებულ სამუთში, რომელიც წარმოადგენს შენირულების გუჯარი წინამძღვარ ონოფრე მაჭუტაძის დავიტ გარეჯისადმი, ვკითხულობთ: „... აღვაშენე თვალზე საყდარი პეტრე-პავლესი და შევამკე პატიოსნის ხატითა, ჯვართა, სინმიდის იარალითა, შესამოსელითა და წიგნებითა...“<sup>16</sup>. აქვეა გვიანი ხანის საფლავის ქვები: „ლაფარიანთ ბერუას შვილი დავითი. ჯკს უოვ“ (17988), „ლაფნიანთ ბეროას მეუღლე მარიამ, ჯკს უოვ“ (1798), „ლაფაჩი ბეროა, ჯკს უფდ“ (1776), „ზაზა მოსელის ქალი ნინო, ჯკს უო“ (1782), „ყანდარელი მოურავი ბურიყა, ჯკს ულბ“ (1744), „დარბაისლის შვილი, დავითისა და მეუღლე ყანდარელის ზაზასი ელენე, ჯკს უმთ“ (1701). საფლავის ქვები წაიჩინებულით ეკუთვნით და ძირითადად XVIII საუკ. მეორე ნახევრისაა.

წმ. დოდო საგარეჯოს სამხრეთ ნაწილში დგას. იგი ისეა შელესილი შიგნიდან და გარეთ, რომ სრულიად დაუკარგავს სახე და ველარაფერს გაარკვევ. ამჟამად იგი მოქმედი ეკლესიაა. მის ეზოში საფლავის ქვებია XIX საუკუნის დასაწყისისა.

<sup>16</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 686.

ი. ჯავახიშვილის მიერ გამოქვეყნებულ „კახეთის ხალხის XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის დავთარში“<sup>17</sup> ჩამოთვლილია „თვალზე წმიდის დოდოს ყმა: კანდელაკის შვილი დათუნა, დალიბას შვილი შერმაზან, მღვდელი იოსებ, ანუას შვილი იასე, გარსევან თელეთელი, გველეშაპის შვილი ობოლი, ხოსიტას შვილი ობოლი, ფინჩლა, დავიტ თელეთელი, მკითხავის შვილი გიორგი, თამაზა გურასპას შვილი“. რათქმუნდა ეს აღწერა ნაკლებია, რადგან ჩვენდამი მხოლოდ მისმა ფრაგმენტებმა მოაწვია, მაგრამ საინტერესოა, რომ მითითებული გვარებიდან ორი დღესაც დასტურდება: ანუასშვილი საგარეჯოში და ხოსიტასშვილი გიორგიწმინდაში.

თვალი ისტორიულ დოკუმენტებში იხსენიება XIV საუკუნეიდან: 1392 წელს ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუქრით აღექსანდრე მეფემ „... სოფელი ანთუკი...თუალნი, გიორგიწმინდა, ბერთუბანი და პატარძეულნი, მათითა მამულითა... პირ აქათ საგარეჯონი, მათითა მამულითა,... განაახლა და ათარხნა სამეფოსა ხარკისაგან.“<sup>18</sup> 1428 წელს თვალნი აღექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს (სდ-2882, 2883); 1712 წლის შეწირულების გუჯრით წინამძღვარი ონოფრე მაჭუდაძე დავით გარეჯას სწირავს: „...ქალაქს და თვალზე თუ თან-სადევნებლად...თვალზე: ხატი ხარებისაერთი..., თვალზე საარაყე დიდი ქვაბი თავის ზარფუშითა და განწყობილებითა... რაც პატარძეულსა და თვალზე წმინდის დავითის ყმა და მამული მომეზარა, იმას გარდა ჩემგან ნასყიდი და შემატებული მამულეები: თვალზე: ნახიდა და ირემა კვამლი ერთი, ხებრიელაშვილი კვამლი ერთი, მეძმაშვილი თევდორე კვამლი ერთი, მეძმაშვილი ებალა კვამლი ერთი, მახარაშვილები კვამლი ერთი, ლასურაული თევდორე კვამლი ერთი, ლასურაული იესე კვამლი ერთი, მიქელაშვილი მანუჩარა კვამლი ერთი, ბერიკაშვილი კვამლი ერთი, ფეიქარი ზურაბა კვამლი ერთი, ალელიშვილი ლაზარე კვამლი ერთი, აკოფაშვილი ელიზბარა კვამლი ერთი, აკოფაშვილი გიორგი კვამლი ერთი, ფეტვია კვამლი ერთი, გუგულია კვამლი ერთი, ნაღებაშვილი კვამლი ერთი, კვირიკაული კვამლი ერთი. ორი მამული მიმიცია ხახვაშვილისაგან ნასყიდი, თავისთვის სამკვიდროდ მიუცია და ამბრიაშვილის მამული კვირიკაული; ეს

<sup>17</sup> ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, ნ. I, თბილისი, 1967, გვ. 9.

<sup>18</sup> ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, ნ. I, თბილისი, 1967, გვ. 9.



ორი იმისათვის მიმიცია. (სხვა ხელთ ჩამატებულია) ბუზარაშვილი კვამლი ერთი... რადგან თვალზე ორი ზვარი და ორი მარანი დილის გარჯით ნაშოვნნი და აშენებული დამიგდია და ქართველი ბატონისა და კარი ბატონის ჯამაგირის წიგნები, და ნადარმაზეზე საყდარი აღმიშენებია წმიდის პეტრესი და პავლეს სახელზე, ხატითა, ჯვრითა, წიგმებითა და შესამოსლებით გამირიგებია... ამას გარეთ უწინდელი ფელმნიფეთაგან შემონირული და ან წინაამძღვართაგან დასახლებული თვალზე და პატარძეულს: ... არის თვალზე: მოძმანაშვილი კვამლი ა, მისი განაყოფი კვამლი ა, კურდღელაშვილი კვამლი ა, კიდევ თვალზე ჟატელი კვამლი ა, მჭედლიშვილი რამაზა კვამლი ა, მჭედლიშვილი გიორგი კვამლი ა, მჭედლიშვილი შიო კვამლი ა, მჭედლიშვილი ბასილი კვამლი ა, მჭედლიშვილი-ქიტიაშვილები კვამლი ა, მჭედლიშვილი მახარაშვილი კვამლი ა, ყაზარაშვილი ბაისოლულა კვამლი ა, ყაზარაშვილი ნურალი კვამლი ა, მთიულიშვილი ზურაბა მოხელე კვამლი ა, იმისი განაყოფი ბასილა და ჯაფარიძე კვამლი ა, მეღვრეკელი კვამლი ა, იორდანაშვილები კვამლი ა, ვედრიაშვილი კვამლი ა, ფერინოზაშვილი კვამლი ა<sup>19</sup>; 1774 წელს გარეჯის მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტი ნიკოლოზი ხიზანაშვილს გოგიას დამ ის ძეს დავიტს წყალობის სიგელს უბოძებს: ... მეფისა ირაკლისაგან შემონირული მამული თვალ-საგარეჯოს, მოქალაქე პაპა მუშრიმისაგან, მამა პაპით ეთბერაშვილისაგან, მონაყიდი მამული ვენახით... და ამის მაგიერათ წმინდას მონასტერს უნდა ემსახურო... თავად არის ამისი მოწამე: თვით ჭეშმარიტება, საგარეჯოს მოურავი... თავადი, უფალი რამაზ; და მისვე საგარეჯოს ნაცვალი... იესე... პირველ ჩვენსა... წინაამძღვრის სიმეონისაგან ბოძებული იყო; და მერმე ჩვენ სრულებით დაუმტკიცეთ...“<sup>20</sup>

საინტერესოა 1651 წლის ერთი დოკუმენტი, საიდანაც ჩანს, რომ ნინოწმინდელნი თვალელებთან სახობის ჭალაზე ცილობდნენ. ქრისტეფორე კათალიკოსმა და ნინოწმინდელმა ზაქარია მაცაშვილმა შეკრიბეს მცხეთისშვილნი და წმინდა ნინოს ყმანი. ფიცის შედეგად სახობის ჭალა თვალელთ დარჩათ (ისტორიული საბუთები, IV, გვ.33). ამ დოკუმენტში თვალელნი გამოდიან როგორც მცხეთისშვილნი ანუ სვეტიცხოვლის ყმები, ხოლო ნინოწმინდელნი, როგორც წმ. ნინოს ყმები.

განსაკუთრებით ბევრია დოკუმენტები XVI, XVII და XVIII საუკუნისა, სადაც უკვე საგარეჯო იხსენიება და არა თვალნი.

<sup>19</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 686-693.

<sup>20</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 898.

ამ საბუთებში საგარეჯო ჩანს, როგორც ქვეყანა, გარეჯის სენიორია, მაგრამ ამავე დროს, უკვე როგორც ცალკე პუნქტიც, თვალის ნაცვლად. ამ საბუთების განხილვას ჩვენ მომავალ წელს ვაპირებთ, როდესაც დანვრილებით მოვიხილავთ დავით გარეჯის მონასტრების დიდ ტერიტორიას და საკმაოდ ივრის მარჯვენა ნაპირის ამჟამად თითქმის გაუკაცრილებულ ქვეყანას.

გიორგინმინდა საგარეჯოს მომიჯნავე სოფელია მისგან აღმოსავლეთით. იგი მდებარეობს ორიოდე კმ-ზე საგარეჯოდან, რომლისგანაც გამოიყოფა წიფლის ხევით. გიორგინმინდა, ისევე როგორც თვალნი, ბოლომდე შემორჩა საგარეჯოს სენიორას დამ ას შემდეგ, რაც ამ ცნების დავინროება მოხდა, საგარეჯო „ქვეყანა“ მხოლოდ და გიორგინმინდასა და თვალნს გულისხმობდა მხოლოდ.

გიორგინმინდის ძველი ნაწილი მთის ფერდობსაა შეფენილი, უფრო გვიანი ნამატი კი მის ქვემოთაა, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა საერთოდ კახეთში, როგორც შიგნი კახეთში, ასევე გარე კახეთში.

გიორგინმინდა უბნებად იყოფა, რომელთა სახელი მისი ძირითადი გვარებიდან მოდის: მეკოკიანი, დიღმელაანი, მარიდაანი, ჭიაბერაანი, გულისაანი, კველიაანი. დღეს სოფელში ათასზე მეტი კომლია, ადრე 300-მდე ყოფილა: მეკოკიშვილები (60), კველიშვილები (60), ჭიაბერაშვილები (50), დიღმელაშვილები (40), გულისაშვილები, მარიდაშვილები, მღვდელაძეები, ბურჯანაძეები და სხვ.

მფლობელობა ცნობილია, იგი გარეჯის კუთვნილი სოფელი იყო, მაგრამ გვიან ხანებში აქ თოხლიაურელ თავადებს ჩერქეზიშვილებსაც უშოვნიათ მამული.

სოფლის ძველი ნასოფლარი არის ადგილ ფერდობების ძირში, სადაც ეხლაც ეტყობა ნასახლართა ბუდეები. ჩვენი მთხრობელის გიორგი სოლომონის ძე კველიშვილის (72 წლისა) მამა უკვე აქ დაბადებულა, პაპა კი ძველ ნასოფლარში. სასაფლაოც უბნებადაა დაყოფილი, ისევე როგორც მთელი სოფელი. საინტერესოა, რომ გიორგის აზრით, სოფელს, ეს სახელი მას შემდეგ შეერქვა, რაც ძველი ნასოფლარიდან დაბლა მურჯებთან (კომლებთან) ჩამოვიდაო, რაც არ უნდა იყოს რადგან გიორგინმინდა ჯერ კიდევ XIV საუკუნეში იხსენიება.

გიორგინმინდის ტოპონომიკა: წიფლის ხევი, ნავრობის ხევი (სათავეში), ანთოკის ხევი (მიჯნა სოფ. ანთოკთან), სათავე (სახელი წყლისა), ბერენაულის წყარო, კანჯარაანთ წყალი, შაშვის წყარო, ტბა, საკამეჩო, ტყემლიანი (სამივე ქედზე), სასვენებელი,

მოსაწერი, ტბათ გორი (სამივე ქედამდე), ბერენაული (ტყე), გუბეები (ტყე), ფერდა (ტყე), ნაკალოვრები, პატარა ნიკალოვრები, ნასადგომარი (სამ. იორზე), ხირხატი (იორთან), საჩერქეზო (სახ.-სად.), კოშკის მიწები (ეს კოშკი აღნიშნულია ხუთფერსიან რუკაზე, როგორც დედაბრის კოშკი, რკინიგზასა და თორას შორის), ნაიორალი (სახ.-სად.), ლაპრები (სახ.-სად. იორს გაღმა), ყორული (სახ.-სად. იორს გაღმა), მლაშე კვინჩყები (სახ.-სად.), კუნლიანი (სახ.-სად.).

გიორგინმინდის მეურნეობა: მთავარი იყო მიწათმოქმედება, სადაც მემინდვრეობა სჭარბობდა. ითესებოდა ძირითადად ხორბალი (ლოლის პური, თავთუხი, უფრო პოშოლა), სიმინდიც. ვენახიც იყო, მაგრამ ამდენი არა, დღეს ბევრია. მიწები სარწყავი იყო, ჰქონდათ ურწყავი სათიბ-საძოვრებიც. ჭირნახული გასაყიდად თბილისში მიჰქონდათ, იარმუკა კი საგარეჯოშიც იყო (ამას გარდა იარმუკები იყო ყანდაურაში, ბოდბისხევეში და ველისციხეში). საქონელი ძირითადად მსხვილფეხა იყო, ცხვარი მხოლოდ შეძლებულ კომლებს ჰყავდათ. ზამთრობით ცხვარი იორზე ეყენათ: ლაპრებში, მლაშე კვინჩრებში, ყორულში, სონიანთ გომებში, ჭიაბრიანთ გომებში. ზაფხულში ცხვარი თრიალეთზე მიდიოდა: სამგორი – რუსთავი – ალგეთი – თრიალეთი.

გიორგინმინდაში შემდეგი მატერიალური კულტურის ძეგლებია: ორი კოშკი (ბურჯები) და 9 ეკლესია: ღვთისმშობელი (ძველ სასაფლაოზე, რომლის თავზე ძველი ნასოფლარია), კვირაცხოველი (აქვე), ღვთისმშობელი (გიანების უბნის თავზე), მოსალოცავი (საგარეჯოს მიჯნაზე, წიფლის ხევის მარცხენა მხარეს), სოფლის მთავარი ეკლესია – ღვთისმშობელი (სოფლის ძველ ცენტრში, ბურჯებთან), კვირაცხოველი (სოფლის ჩრდილოეთით 2 კმ-ზე, ადგილ ეკლესიაურებში), წმ. გიორგი (სოფლის აღმოსავლეთით 1,5 კმ-ზე), წმ. გიორგი (დასავლეთით, ადგილ გუბებთან, საგარეჯოს მიჯნაზე), კანჯარაანთ საყდარი (ქედის ძირში, ადგილ ხინჭებში, სოფლიდან 10 კმ-ზე).

როგორც უკვე ვთქვით, სოფლის ცენტრს ქმნიდა ორი კოშკი და მათ შორის მდგარი ეკლესია. მანძილი კოშკებს შორის 20 მეტრია. ორივე კოშკი ცილინდრულია, დასავლეთით მდგარი სფერული გუმბათითაა გადახურული, აღმოსავლეთისას კი თავი მორღვეული აქვს და არ ვიცით როგორ მთავრდებოდა.

დასავლეთის კოშკის პირველი სართული ყრუ კედლებითაა შემოსაზღვრული. მეორე და მესამე სართულები გვიან საცხოვრებლად გამოუკენებიათ, ამიტომ კედლები გადაკეთებულია და მათი თავდაპირველი სახით წარმოდგენა ჭირს. ამ კოშკს შეს-

ასვლელი კარი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან აქვს, მეორე კოშკის მხრიდან, მეორე სართულზე. იმავე სართულზეა სამი მცირე სარკმელი. სათოფეები ზოგი პირდაპირაა მიმართული, ზოგი კი ქვემოთ. მესამე სართულის კედლებში განლაგებულია ექვსი მცირე ნიში, რომლებშიც თითო სათოფეა გამართული. მესამე სართულს ჰხურავს აგურით ამოყვანილი სფერული გუმბათი: როგორც წესი, კოშკის გარე კედლები მარტივია. კედლების ზემო ნაწილი მორღვეულია და არ ვიცით თავში როგორ მთავრდებოდა, საბრძოლო ბანი ჰქონდა თუ ქონგურებიანი პარაპეტი.

აღმოსავლეთის კოშკის პირველი სართულიც ყრუა. კარი აქაც მეორე სართულზეა, სამხრეთ-დასავლეთით მიმართული, პირველი კოშკისაკენ. ასე რომ, ამ კოშკების შესასვლელები ერთმანეთსაკენ იყო მიმართული და უნდა ვიფიქროთ, ამით ერთმანეთს იცავდნენ. მეორე სართულზე, კარის პირდაპირ ბუხარია, რომელსაც შეისრული თალი აქვს. ამ სართულს ერთი მოზრდილი სარკმელი აქვს. აქ გვხვდება ჰორიზონტალური და დახრილი სათოფეები. კართან იქვე კიბეა მესამე სართულზე ასასვლელად. აქაც ორი სათოფეა. მესამე სართულზეც ბუხარია, ოღონდ პატარა, აღმოსავლეთის მხარეს. აქაცაა ორი მხრივ მიმართული სათოფეები, პირდაპირი და დახრილი. მეოთხე სართული მორღვეულია, მაგრამ სალოდეები მაინც შერჩენილია, ექვსი ცალი ესაა ნისკარტა სალოდეები.

ორივე კოშკი რიყის მოზრდილი ლოდებითაა ნაგები, მკვიდრად, მტკიცედ და ლაზათიანად.

დასავლეთის კოშკს წარწერა არა აქვს, აღმოსავლეთისაზე კი მშენებელს წარწერა დაუტოვებია. წარწერა ამოკვეთილია საფლავის ქვაზე, რომელიც შესასვლელი კარის არქიტრავადაა გამოყენებული. წარწერა დაზიანებულია და კარგად არ იკითხება:

„ქ. მ'ფე ი'კლ მეორე კბშმა რიმზ ჩმს მე ... ბძნებით კრიბში სამი გაღვნი გვკთე“ ქარაგმების გახსნით და ვარაუდებით წარწერა ასე უნდა წავიკითხოთ:

„ქ. მეფე ირაკლი მეორის კორჩიებაშმა რამაზ ჩემის მეფის ბრძანებით კარებაში სამი გაღვანი გავაკეთე“.

ეს წარწერა გამოქვეყნებულია ორჯერ თ. ბარნაველის და პ. ზაქარაიას მიერ. მათი წაკითხვის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ თ. ბარნაველი კითხულობს „კარებაში“, ხოლო პ. ზაქარაია „კარებში“. რადგან ასოების მიუყვანილობა ზოგჯერ გაურკვეველია და გაუმართავი, ორივე წაკითხვა შესაძლებლად მიგვაჩნია, ოღონდ აზრობრივი გამართლება სჭირდება. თუ დავუშვებთ, რომ სწერია „კარებაში“, მაშინ გაჭირდებოდა იმის წარმოდგენა,

თუ როგორ შეიძლება ერთ დღეში სამი გალავნის (აქ კოშკის) აგება ანუ გამართვა-გაკეთება. უფრო სწორი იქნებოდა მაშინ დაგვეშვა, რომ ამ ადგილს ჰარება ერქვა აქ მდგარი ეკლესიის გამო და წარწერის ჰარება ადგილის სახელია. თუ დავუშვებთ, რომ სწერია „კარებში“, მასპინ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ დიდი გალავანი იყო, რომელსაც შესასვლელში (კარებში) სამი კოშკი ჰქონდა (მესამე აღარ არის, დაინგროდა). ჩვენ მაინც უფრო თ. ბარნაველის წაკითხვისკენ ვიხრებით, რადგან ჰ უფრო ჩანს ადგილზე და ჰარებაც უფრო აზრიანი გვეჩვენება. პ. ზაქარაიას რამაზ ყორჩიბაშის აგებული ადგილ „კარებში“ სხვაგან ეგულება და ფიქრობს, რომ „ტექსტში აღნიშნული გეოგრაფიული სახელის ცუდად წაკითხვის გამო რამაზ ყორჩიბაშის მიერ აგებული სამი გალავნის მიგნებაც ძნელდება“<sup>21</sup>. გაუგებარი იქნებოდა, რატომ გაუკეთა კოშკს წარწერა ყორჩიბაშმა, თუ სხვაგან ააგო რაიმე.

გიორგინმინდის კოშკები პარალელებითაც და, რაც მთავარია, წარწერით XVIII საუკ. მეორე ნახევრისაა.

ეკლესია კოშკებზე გვიანია. კოშკების შესასვლელი კარები ერთმანეთს უყურებენ და ამით, ერთმანეთს იცავენ. ეს აუცილებელი იყო ერთიანი თავდაცვისათვის. მათ შორის ჩადგმულმა ეკლესიამ ეს კავშირი მოსპო და მხოლოდ ზედა სართულებიდან თუ მოხერხდებოდა კოშკების მცველთა ერთმანეთთან დაკავშირება. უნდა ვიფიქროთ, რომ ეკლესიის მშენებლობის დროს კოშკების ფუნქცია უკვე დაკარგული ჰქონდათ, რადგან აღარც ლეკიანობა იყო და ქვეყანასაც რუსის ქარი იცავდა.

ბურჯების ეკლესია, როგორც მათ ადგილობრივნი უწოდებენ, ღვთისმშობლის სახელზეა აგებული. იგი წარმოადგენს ერთნავიან, საკმაოდ მოგრძო ნაგებობას. შესაძლოა, აქ ადრე უფრო მცირე ეკლესია იდგა (და სწორედ ის იყო ჰარება) და იგი შემდგომში დააგრძელეს. კარი ორი აქვს სამხრეთიდან და დასავლეთიდან. აფსიდა ღრმაა, ორი ნიშით. სარკმელი სულ ხუთია, ორი სამხრეთით და თითო დანარჩენ მხარეს. ნავი გადახურულია ოდნავ შეისრული კამარით, რომელიც ეყრდნობა სამ განიერ საბჯენ თაღს. კედლები შიგნით შელესილი და შეთეთრებულია, ამიტომ არ ჩანს, მოხატული იყო თუ არა. ეკლესია აგებულია რიყის ქვით, გამოყენებულია აგურიც. საკმაოდ უსახური ნაგებობაა. კარნიზი აგურისაა, კუთხური (კბილანა), ასეთივე კარნიზი აქვს სამხრეთის კარს. აღმოსავლეთის სარკმლის თავზე აგურით ამოყვანილია ჯვარი.

<sup>21</sup> პ. ზაქარაია, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბილისი, 1962, გვ. 170-174.

სამხრეთი კარის თავზე მოთავსებულ ქვაზე მხედრული, ორ სტრიქონიანი წარწერაა:

„ქ. მე კველიშვილი ივანე ღვ(დ)ელსა ამიშენებია ეს ეკლ(ეს)ია ჩემის ღვანლით ჩ(ემ)ის სულის ს(ა)ოხათ ქ'ს უპშ“ (1800 წელი).

ეკლესია დგას გიანების უბანში. ეს ადგილი ადრე კანჯარა-ანთი ყოფილა. ეკლესია აუგია ადგილობრივ მღვდელს ივანე კველიშვილს 1800 წელს, საკუთარი სახსრებით. კველიშვილები ახლაც არიან გიორგიწმინდაში.

გიორგიწმინდის სასაფლაოზე დგას კიდევ ერთი ღვთისმშობელი, რომელიც იმავე ივანე კველიშვილს აუგია (ეს ივანე მღვდელი იყო ჩვენი მთხრობელის გიორგი კველიშვილის მამის პაპა. იგი კალატოზიც იყო და თვით ააგო ეს ეკლესიამ). ეკლესია ნაგებია რიყის ქვით, კარნიზის კბილანა აგურისაა, ორ საფეხურად. ეკლესია დარბაზული ტიპისაა. კარი სამხრეთიდან აქვს. კარიც და თალიც აგურისაა. აფსიდა განიერია, აქვეა ორი ნიში. აღმოსავლეთ სარკმელს გარედან თავზე ჯვარი აქვს აგურისა. სარკმელი კიდევ ორია, ერთი დასავლეთით და ერთი სამხრეთით. ეკლესია საშუალო ზომისაა: სიგრძე – 8 მ., სიგანე – 5 მ., სიმაღლე – 4,5 მ. ესაა გვიანშუასაუკუნეების მიწურულის ძეგლი. ეკლესიის მახლობლად წარწერიანი საფლავის ქვებია: „მეზვირანთ ნინიას ასული და ჭიაბერაანთ გარსევანის მეუღლე ელისაბედი, ჩყ“ (1800 წ.), „ჭიაბერაანთ აღდგომელას ძე ლაზარე, ჩფ“ (1800 წ.), „სოლომან დოლენჯაშვილი, უყვ“ (1800 წ.) და სხვ.

ამავე სასაფლაოზე მეორე ეკლესიაცაა, უფრო მცირე, კვირაცხოველი. იგი ღვთის მშობელზე ოდნავ ძველი უნდა იყოს. გამყოლიც ამბობს, კვირაცხოველი უფრო ადრე მდგარაო. იგი უაფსიდოა. ნაგებია რიყის ქვით. კარი სამხრეთიდან აქვს. სარკმელი მხოლოდორი ჩანს, დანარჩენი აღარ ეტყობა. თალი ჩაქცეულია. ეკლესიის ზომებია: სიგრძე – 5 მ., სიგანე – 3 მ., ესეც გვიანშუასაუკუნეების მიწურულის ძეგლია. წარწერიანი საფლავის ქვები აქაცაა: „მარიდამვილი შერმაზანას მეუღლე ტასო, ქკს უყე“ (1807 წ.).

წმ. გიორგი მდებარეობს ანთოკის ხევის მარცხენა მხარეს ამართულ ტყიან ქედზე, რომელიც ცხვირით ეშვება ანთოკსა და გიორგიწმინდას შორის, მთა ნაბაკრების ძირში, მთისგან 1,5 კმ-ზე, სამხრეთით. სოფლიდანაც დაახლ. 1,5 კმ-ი იქნება. ესაა ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნული ლ. ძ. ეკლესია უაფსიდოა, ნაგებია რიყის ქვით. მისი ზომებია: სიგრძე – 5 მ., სიგანე – 3 მ., სიმაღლე 5 მ. კარი სამხრეთიდან აქვს, იგი აგურითაა ამოყვანილი. კარის თავზედ საფლავის ქვაა ჩატანებული. სარკმელი ერთია – აღმოსავლე-

თისა. ისიც აგურითაა ამოყვანილი. აგურისავეა ორ საფეხურიანი, კბილანა კარნიზი, აგურისა საკურთხეველი ერთი საფეხურით ამაღლებულ აღმოსავლეთ მხარეს დგას, ისე როგორც აფსიდ-იან ეკლესიებში. ეს უნდა იყოს გვიანშუასაუკუნეების ძეგლი. ამ წმ. გიორგის ქედს აღმოსავლეთიდან აკრავს მარიაძვერის ცნობილი ნაკრძალი.

ღვთისმშობელი (უკვე მესამე ღვთისმშობელია ერთ სოფელში) დგას გიანების უბნის თავზე, სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ესაა მცირე ზომის ნაგებობა, ნაგები რიყის ქვით. თალი აგურისა აქვს. უაფსიდოა. აღმოსავლეთის სარკმელი ჩვეუ-ლებრივზე მაღლაა. ეკლესიის ზომებია: სიგრძე – 4 მ., სიგანე – 2,5 მ., სიმაღლე – 3 მ. ეს ეკლესიაც გვიანშუასაუკუნეების მიწურულისა უნდა იყოს.

მოსალოცავი ანუ მოსაკითხავი სრულიად დანგრეულია, აღარაფერია დარჩენილი. იგი მდგარა სოფლის დასავლეთით, საგარეჯოს მიჯნაზე, წიფლის ხევის მარცხენა მხარეს.

XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის კახეთის ხალხის აღ-წერის დავთარში (ჰდ – 1603) ჩამოთვლილია გიორგიწმინდის ყმა-გლეხობა, რომელთაგან ბევრი გვარი დღესაც ცხოვრობს სოფელში: „არის გიორგიწმინდას ბატონის ყმა: მკერვალის შვილი გიორგი, პეტრე ბუჩა, ბერი ბასილას შვილი აზადი, აუშტარი დავითა აზადი, ბეჟიას შვილი მატე, ბასილა გუგუის შვილი, შერმაზან ომარას შვილი, გიორგი კოკონას შვილი, სულხან მარინ-დას შვილი, თამაზა მარინდას შვილი, რამაზა სულიკას შვილი, შავერდი სულიკას შვილი, აბრამ ქვრივის შვილი, ქვრივის შვილი გიორგი, გულბათ ღრეული, ბერი ღრეული, თასე ღრეული, იასე ჩიტას შვილი, ამის განაყოფი ჩიტია, დათუნა ამის განაყოფი, სულხანა ნაცვლის შვილი, ივანე ჭიაბერას შვილი, ბერი ჭიაბერას შვილი, შიო ჭიაბერას შვილი, ხატია ჭიაბერას შვილი, გარსევან ჭიაბერას შვილი ახალგაყრილი, სამუკა ჭიაბერას შვილი, შიო გულისას შვილი, იასე ამის განაყოფი, ხარება ამის განაყოფი, შერმაზან ყუდელას შვილი, კანჯარარ შვილი დავითა, გუგუტოს შვილი ბერი ახალგაყრილი, დათუნა ფეიქრის შვილი, ბერინას შვილი ამონყვეტილი, ღრეული ბერის ობოლი, მარინდას შვილი გარსევან, კახაბრის შვილი დათუნას ობოლი, სანუთროს შვილი ობოლი, ბულია მამისიმედის შვილი ბოგანო, ონანას შვილის ნაყმევი მამუკა, ლიგლიგას ობოლი, სეხნია ფეიქარი, ბერი სადაგ-დია ობოლი ბოგანო, მახარა სადაგდია ბოგანო, მახარა ფითუ-რას შვილი აყრილი, მარინდას შვილის ყმა ივანე ამონყვეტილი ბოგანო, ელიზბარ დუდაურის შვილი ამონყვეტილი ბოგანო,

შავერდი ზაქარიას შვილი აყრილი, მზარეული შავერდი, ნიკოლოზ ჭიაბერას შვილი, გზირი ბუგიას შვილი, პაპუა ფეიქარი, თამაზა ოქრომჭედელი მარინდაშვილის მამულზედ, როსტო ღრეული ნახუცვარს შეყრია, დათუნა ომარაშვილი ისევ ძმას შეყრია, შავბე-დაშვილი აყრილი თოხლიაურს, ფეიქარი აყრილი გიორგი, მამუკა აყრილი. ბადურის ყმა აქავე: ეკმათას შვილი რამაზა, კვირტას შვილი გიორგი, პაპუნა მენავტიკის შვილი ამონყვეტილი“.<sup>22</sup>

ამათგან დღეს გიორგინმინდაში შემორჩენილია შემდეგი გვარები: ბუჩაშვილი, ბასილაშვილი, ბეჟიაშვილი, მარინდა-შვილი, სულიკაშვილი, ქვრივიშვილი, ღრეული, ნაცვლიშვილი, ჭიაბერაშვილი, გულისაშვილი, კანჯარაშვილი, გუგუტბოშვილი, ელმათაშვილი.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ გიორგინმინდაში ზის უძვე-ლესი მოსახლეობა, შესაძლოა გვიანდელი მცირე მინამარტოთ, რაც ბუნებრივია. XVIII საუკუნის აღწერაშიც შეიმჩნევა მთის მოსახლეობის შემორევა. მაგალითად, ასეთი უნდა იყოს გვარები: ღრეული, დუდაური და სხვ.

ისტორიულ დოკუმენტებში გიორგინმინდა მოხსენებულია XIV საუკუნეში და შემდეგ საუკუნეებში: XV (1428), XVI (1579) და XVIII (1751).

1322 წელს ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამ-უღლებიზს სითარნის გუჯრიზთ ალექსანდრე მეფემ გიორგი-მნიშნდიზს შეწირულება განუახლა სვეტიცხოველს (ქდ-8712): „...სოფელი ანთუკი ..თუალნი, გიორგინმინდა, ბერთუბანი და პა-ტარძელნი მათითა მამულითა ...პირ აქათ საგარეჯონი, მათითა მამულითა ...რაც ქართლს, კახეთს... და სხვათა ადგილთა ყმანი და მამულნი არიან შეწირულნი და ყოფილან, ან ჩვენ გუჯრით ამით განვაახლეთ და ვათარხნეთ ყოვლისა სამეფოსა ხარჯისაგან.“<sup>23</sup>

1422 წელს სოფელი გიორგინმინდა შესწირა სვეტიცხოველს ალექსანდრე მეფემ (შდ-2882).

157 წელს ალექსანდრე (კასნა) მეფემ გიორგინმინდის შეწირ-ულება დაუმტკიცა სვეტიცხოველს (შდ-464).

1751 წელს დაინერა განჩინება გიორგი და რამაზა ბეჟიაშ-ვილების სახლისა და მამულის საქმეზე: „ქ. ბრძანებითა... მეფის ირაკლისა თა ჩვენ, საგარეჯოს მოურავმა იორამმან.. (ამართალი და განაჩენი მოგეცით შენ, გიორგინმინდის მემკვიდრეს, მეფის

<sup>22</sup> ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ. I, თბილისი, 1967, გვ. 10.

<sup>23</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 180.



ერთგულ ყმასა და დიდათ მსახურსა ბეჟიაშვილს ოქრომჭედელ გიორგის, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა, ასე რომ დაგიმტკიცეთ ბატონის წყალობა სოფელში გიორგინმინდას ვენაჭი კოკონაური...“<sup>24</sup>

ანთოქი ან ანთოკი გიორგინმინდის აღმოსავლეთით მდებარეობს. ამ სოფლის სახელის წარმოშობა გაურკვეველია. შესაძლებლად გვეჩვენება, რომ აქ ადრეშუასაუღუნეებში მდგარიყოს ეკლესია, რომელსაც გარეჯის უდაბნოს ბერები ანტიოქიას შეარქმევდნენ (მცხეთის ანტიოქიის მსგავსად), შემდეგ სოფელმაც ეკლესიის სახელი მიიღო, ხოლო დროთა განმავლობაში ანთოქად იქცა. მით უმეტეს, რომ მის მეზობლად მდებარე სოფლების სახელები ასეთივე წარმოშობისაა (გიორგინმინდა, მარიამჯვარი).

ანთოქი პატარა სოფელია, ახლა ვი კომლის ძლივს ითვლის, ადრე კი 50-ზე მეტი იქნებოდაო, ჩვენი მთხრობელის გიგა ალექსის ძე მღვდელაძის თქმით.

ანთოქის გვარებია: პაპუნაშვილი (10კ.), ნარეკლიშვილი (10), თარიმანიშვილი (8), ჯავახიშვილი (8), მღვდელაძე (5), მექვევრიშვილი (ადრე ლეუავები იყვნენო) (4), გელაშვილი, კვრიაშვილი, მამუკაშვილი, შიოშვილი და სხვ.

ანთოქის ტოპონიმია: აფრიამას ხევი, შავსები (ტყე), დუდეულიანი (ტყე), რწხილის წყარო (ტყე), გუბეები (ტყე), უკან წყალი (ტყე), შუა სერი (ტყე), ბაჩიას ტბა (ტყე), ტყემლიანი (ტყე), ნარიან ველი (საძ. ქედზე), სათოხლიაურო (საძ. ქედზე), აბელის გორა (საძ. ქედზე), ნამძვლები (საძ. ქედზე), თუნიას ნაბინავარი (საძ. ქედზე), ტბა (საძ. ქედზე), საბადური (ტყიანი სერი, მიჯნა მარია მჯვართან), ლოქაფის წყალი (ტყე), ვარდანის სერი (ტყე), ალიჯა (საძ.), იობაანთ რიყე, ბებერ კლდე (მიჯნა გიორგინმინდასთან).

მეურნეობაში მესაქონლეობა სჭარბობდა მიწათმოქმედებას. ცხვარი თითო-ოროლა კომლის ჰყავდა, მეტ წილად საქონელი იყო, განსაკუთრებით კამეჩი (ნასადგომარი სულ ჭაობები იყო და ამიტომ). ზამთარში საბადურზე ჰყავდათ, ზაფხულში ნასადგომარზე. სახნავ კულტურებში მთავარი იყო ხორბალი, უფრო გვიან კი სიმინდიც. მესაქონლეობის უპირატესობა მიწათმოქმედებაზე ანთოქში იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ იგი უშუალოდ აკრავს მთას, აქეთ მეტი ადგილები აქვს, ივრისკენ კი გაცილებით ნაკლები, ვიდრე სხვა სოფლებს.

მატერიალური კულტურის ძეგლები ორია კვირივე და ღვთისმშობელი.

<sup>24</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 397.

ანთოქის კვირიკე დგას სოფლის განაპირას, ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, მის გარშემო სოფლის ძველი და ახალი სასაფლაოა უზარმაზარი ხეებით. კვირიკე დარბაზული ტიპის ეკლესიაა, უაფსიდო, ნაგები რიყის ქვის დიდ ლოდებით. მისი აღმოსავლეთი კედელი ახალი აღდგენილია. კვირიკე გვიანშუასაუკუნეების ძეგლია.

ანთოქის ღვთისმშობელი სოფლიდან დასავლეთითაა 1,5 კმ-ში, გიორგინმინდაში მიმავალი გზის პირას, დიდ მუხასთან. ეკლესია დანგრეულია. ნაგები იყო რიყის ქვის დიდი ლოდებით. შერჩენილია აღმოსავლეთ აფსიდის ნაწილი, დანარჩენი კედლები I მ-ზე ღია. აფსიდა ნახევარწრიული აქვს. ზომით იგი კვირიკეზე დიდი იქნებოდა. შესაძლოა ეს იყო შუასაუკუნეების მინურულის ძეგლი.

ანთოქის ყმები ჩამოთვლილია კახეთის ხალხის აღწერის XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის დავთარში (კდ-1603): „გამდლის შვილის ყმა ანთოქს: აქიმის შვილი გიგოლა, ჟამიერას შვილი ბერი, ელოშვილი თამაზა, ამის განაყოფი ზურაბ ახალგაყრილი, ბეგიას შვილი პეტრე მოხელე, ტროკელას შვილი კაცია, ამის განაყოფი ამონყვეტილი რამაზა, ზაქარიას შვილი ამონყვეტილი, ხატია ამონყვეტილი, მჭადიას შვილი ბოგანო“<sup>25</sup>.

ანთოქი ისტორიულ დოკუმენტებში ახსენიება XIV (1392 წ.), XVI (1515 წ.) და XVII (1627 წ.) საუკუნეებში:

1392 წელს ალექსანდრე მეფემ საკატოლიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი გასცა, სადაც „საგარეჯოს“ სხვა სოფლებთან ერთად, მოხსენებულია სოფელი ანთოქი ანთუქის ფორმით: ...სოფელი ანთუქი ...თუალნი, გიორგინმინდა, ბერთუბანი და პატარძელნი მათითა მამულითა... პირ აქათ საგარეჯონი, მათითა მამულითა... აწ ჩუენ გუგრითა ამით განვაახლეთ და ვათარხნეთ ყოვლისა სამეფოსა სარქისაგან.“<sup>26</sup>

1515 წელს დავით აღმატისშვილი ეყმო სვეტიცხოველს და დასახლდა ანთოქას (კდ-1609).

1627 წელს ზაქარია კათალიკოზი ბატონყმობის წიგნს აძლევს დავით აღმატალის შვილს.<sup>27</sup>

<sup>25</sup> ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ. I, თბილისი, 1967, გვ. 10.

<sup>26</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 180.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 488.

## მარიამჯვარი

ყველაზე კარგი სამოსახლო ადგილია მთელს ივრის პირეთში. სოფელ ჩრდილოეთიდან და ჩრდილ-აღმოსავლეთიდან უშუალოდ ეკვრის ცნობილი მარიამჯვარის ნაკრძალი თავისი უნიკალური ფიჭვის კორომებით, რომელიც აკად. ვ. გულისაშვილის ვარაუდით აქედან გავრცელდა ელდარში (წყალმა ჩაიტანა თესლი) და ამჟამად ცნობილია ელდარის ფიჭვის სახელით. გარდა ამისა, სოფელი განლაგებულია ტყიანი მცირე ქედის (მთისწინეთის, როგორც გიულდენშტეტტი იტყოდა) ჩრდილო მხარეს და ამ ქედით ემიჯნება ივრის ხეობის გაშლილ ველს, სადაც ზაფხულში პაპანაქებაა. მთავარი გზატკეცილიდან სოფლამდე 2-3 კმ. თუ იქნება. სოფლის გარშემო მშვენიერი მწვანე მინდვრებიცაა, რომელიც სახნავადაც გამოდგება და სამოსახლოდაც. აქ კარგა მოზრდილი კურორტიგაშენდებოდა.

მოსახლეობა: ადრე აქ 80 კომლიანი სოფელი იყო, სანამ აქედან თბილისში, რუსთავეში და საგარეჯოში ჩასახლდებოდნენ. ახლა 12 კომლილა შემორჩა, მათ გარდა მარიამჯვარში სააგარაკო სახლები აქვთ თბილისელებს. მარიამჯვარის ერთ-ერთი უბანი განლაგებული იყო ანთოქის ხევის მარცხენა მხარეს და ეწოდებოდა იქით უბანი. აქ ცხოვრობდნენ თარიმანაშვილები, მაისურაძეები, გოცირიძეები, ოსეფაშვილები. დღეს ეს უბანი ანთოქს ექუთვნის.

გვარები: მამისაშვილი (50 კ.), სამნაშვილი (15), ჟამერაშვილი (3), გაგელაშვილი (2), ბეჟანიშვილი (3), აზნაურაშვილი (3), დავითელაშვილი (2). გადმოცემით ლეკიანობას აქ ნასოფლარი გამხდარა. იგი დღევანდელი სოფლიდან 1 კმ-ზეა ჩრდილოეთით. შემდეგ თავად მაყაშვილებს აუღიათ ეს მიწები და რიყის პირიდან ყმები ბოჩკილგაყრილნი ჩამოუსახლებიათ. ამიტომაც მამისაშვილებს ბორკილანთ ეძახდნენ.

ტოპონიმიკა: კვირაცხოვლის მინები, ჩახუნის ხევი, სავსრის ხევი, ბალმინის ხევი, საკერის მინები, ზულას სერი, ლამების ჭალა, მარინეს ფერდა, მარიამჯვარის მინდორი. ეს მინდორი სოფელს ჩრდილოეთიდან აკრავს, იგი 80 ჰექტარი ფართობისაა. ამჟამად საძოვრადაა. მისი თითქმის ნახევარი სატყეოს აკაციით აქვს დაკავებული. ამ მინდორზე მშვენიერი დასახლების შექმნა შეიძლება.

მეურნეობა: მშვენიერი სახნავი მიწების მიუხედავად, ძველად მარიამჯვარისათვის ძირითადი და წამყვანი იყო მესაქონლეობა, სადაც სჭარბობდა მსხვილფეხა პირუტყვი. ცხვარი ზაფხულში იდგა ცივებზე. მარიამჯვარის ცივი იყო ნარიან ველი. ზამთარში

ცხვარი ივრის პირზე ჰყავდათ. სახნავი მიწები ძირითადად მარცვლეულით იყო დათესილი. აქაც იგივე სურათი უნდა იყოს, როგორც ანთოქში. ამ ორ სოფელს ივრისკენ დიდი გაშლილი ველები არა აქვთ, ამიტომ აქ მესაქონლეობამ იძალა, სახნავად კი სოფლის ახლო-მახლო მიწებს იყენებდნენ.

-მარიამჯვრის ნასოფლარი მდებარეობს სამსრის ხევის მარცხენა მხარეს (სამსრის ხევი იგივე მარიამჯვრის ხევა). ამ ნასოფლარში სამი ეკლესიაა: წმ. მარინე, კვირაცხოველი და წმ. გიორგი. გამყოლის თქმით, კვირაცხოველი და წმ. გიორგი სულ დაწვრილებულია და აღარ გვანახა.

წმ. მარინე ანუ წმ. მარიამი, რომლისგანაც სოფელს უნდა ჰქონდეს სახელი, სამსრის ხევიდან 200 მეტრშია, ტყიან აღმართში, ნაკრძალის ტერიტორიის ფერდზე. ესაა რიყის ქვით ნაგები დარბაზული ტიპის ეკლესია. აფსიდა ნალისებური აქვს. წყობაში აქა-იქ შირიმის ქვაცაა ნახმარი, განსაკუთრებით კუთხეებში შიგნითაც და გარეთაც. ეკლესიის ზომებია: სიგრძე – 7 მ., სიგანე – 4 მ., სიმაღლე – 3 მ. ეკლესია დაზიანებულია, შერჩენილია დასავლეთის კედელი (გადაკეთებული) უსარკმლოდ, ჩრდილოეთის კედელი ასევე უსარკმლოდ, სამხრეთის კარი და აღმოსავლეთის სარკმელი შიგნით ფართოა. გარეთ ვიწრო. საკუთხეველის ქვა კედლიდან მოშორებულია. წყობა არეულია, რაც შესაძლოა, გადაკეთების კვალია. ეკლესია შუასაუკუნეებისა უნდა იყოს. მარიამობას 30 ივლისს იხდიან.

ათსანიშნავია, რომ მარიამქვრის ჩრდილო-დასავლეთ განაპირას, დღევანდელი სასაფლაოდან 100 მეტრში დასავლეთით, ადგილ წარაფში, ხვნის დროს უპოვნიათ ბრინჯაოს ორი სატყევეარი, (რომლებიც აღწერით კახური ტიპისა უნდა იყოს) 1981 წელს. დიდი სატყევეარი წაუღია საგარეჯოს სატყეოს მარიამჯვრის უბნის ანზორ მეტურაშვილს.

მარიამჯვარი ისტორიულ დოკუმენტებში იხსენიება XVI (1579 წ.) საუკუნეებში:

1579 წელს ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს სამგორში მიწები, რომლის საზღვარი იყო მარიამჯვარი (თუე ს სხვა მარიამჯვარი არ არის, მაშინ ლაპარაკია სვეტიცხოველის მფლობელობის საზღვრის გავლებაზე სამგორიდან აღმოსავლეთით, კახეთისკენ, სადაც სვეტიცხოველს სხვა ბევრი სამფლობელოებიც ჰქონდა).

1712 წელს თეიმურაზ ბატონიშვილი როსებაშვილს მაცას უწყალობებს მარიამჯვრის ბოლოს მამულს, წისქვილსა და ხოდაბუნს, რომელსაც ადრე მას გიორგინმნიდელი ჭიაბერაშვილი ედავებოდა.

კახეთის ხალხის აღწერის XVIII საუკ. I მეოთხედის დავთარში მოხსენებულია მარიამჯვრის მკვიდრი მოსახლეობა: „მარიამ-ჯვარს რევანის ყმა: მამისაშვილი ფოცხვერა ლოქაფისშვილი იასე, ბერიშვილი ბერმენა, მამისაშვილი; აქავე ქაიხოსროს ყმა, გომფარის ყმა: ხვენისა შვილი ბერი, მჭედლიშვილი შერმაზან, სომხიშვილი გიორგი, ნახუცრიშვილი გიორგი, თათარაშვილი მგელი ხაბაზი, ქადისშვილი გული აყრილი, ირემაშვილი მამუკა ობოლი, მაცას როსებისშვილის ყმა: მანდაშვილი მგელია, იასე მანდაშვილი, სამნაშვილის მამულზე ბერელა, ჟამიერაშვილი მამუკა, ბაჩასშვილი ბოგანო, ჟამიერაშვილი ქიტესა ბოგანო“.

თოხლიაური საჩერქეხოს ცენტრი იყო, მისი ახლო-მახლო სოფლები, თუ საეკლესიო ან სამეფო საკუთრებას არ წარმოადგენდა, ჩერქეზიშვილებს ეკუთვნოდა. თოხლიაურში იყო ჩერქეზიშვილთა სასახლე და საგვარეულო სასაფლაო. თოხლიაურელი ჩერქეზიშვილების განაყოფნი იყვნენ ჩაილურელი ჩერქეზიშვილებიც. მანავიც კი, კახეთის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია, ნახევარი ჩერქეზიშვილებისა იყო. თოხლიაურში შემორჩენილია ჩერქეზიშვილების სხვადასხვა შტოს სახელები, მაგ. ფოლიანთი, ქიტოანთი (ეს უკანასკნელნი ეხლა ბერძენიშვილები არიანო). ჩერქეზიშვილების სასახლე მდგარა სოფლის ცენტრში, შემადლებულ ადგილას. ამჟამად აქ მხოლოდ ნასახლარია და გვიანი ხანის ეკლესია. ეკლესიასთან ჩერქეზიშვილთა საფლავის ქვებია. სოფლის ძირითადი უბნებია: ყიასაანთ უბანი, მათიანთ უბანი, ვაკე უბანი.

თოხლიაურს დასავლეთით საზღვრავს ყიასაანთ ხევი (მიჯნა მარიამჯვარისაკენ), ხოლო აღმოსავლეთით ვეძათ ხევი (მიჯნა მანავისაკენ).

თოხლიაური ამჟამად დიდი სოფელია 400-ზე მეტი კომლით, ძველათ 90 კომლი თუ იქნებოდაო. ძირითადი გვარებია: ჩერქეზიშვილი (15), ყიასაშვილი (20), ქოქიაური (1), გორგიაშვილი (4), მეკალოაშვილი (3), დავითელაშვილი (4), ბოსტოლანაშვილი (2), გზირიშვილი (1), კლდესელი (1), მათიაშვილი (20), ახალკაციშვილი (8), ბერძენიშვილი (4), ტაბატაძე (3), ფარეშიშვილი (3), ფეიქრიშვილი (4), მჭედლიშვილი (3), ღვინაშვილი (3), შალვაშვილი (4), ჯაჭვაძე (3), გაბროშვილი (2), გვარიანაშვილი (2), შერმაზანაშვილი (2), არჩვაძე (1), ტერუნაშვილი (1), გოცირიძე (1), ხაბარაშვილი (1), ღონიტაშვილი (1) და სხვ.

თოხლიაურის ტოპონიმია: ბაცილოს ველი, გრძელ ველი, მრგვალ ველი, ნარიან ველი, აბელის გორა (ესენი ქედზეა); ტყეები: ჩახუნა, კუნძიანი, ქორის წყარო, ტერუნაანთი, ჩადუ-

ნიანი, ღონიტას ტყე, ღონიტას წყალი, დიდველები; ივრისკენ: ჯალათაური, ტატეს ქალა, პეტუას გორა, ნასადგომარი, ყიასანთ ადგილები, მალალანთ ადგილები, კუნლიანი, დავითელაანთ ნაბინავარი, ბაბულაანთ ნაბინავარი, მოურავის წყალი, ლადოს კაკალი, გაშლილი არხი, შუა არხი, ნაურვალი, თაფლა კვრინჩხები, მათიანთ ვენახები.

თოხლიაურის მეურნობაში ადრე მესაქონლეობა სჭარბობდა მინათმოქმედებას. მესაქონლეობაში კი უპირატესობა მსხვილფეხა რიქოსან საქონელს ჰქონდა. ივრისკენ მეტი წილი საძოვერი და სათიბი იყო. სოფლის ცხვარი, ზამთარში მინდვრად იყო, იორს გაღმა: დავითულაანთ ნაბინავარი, ნადელებში გუგუთას ბინა, მიხა გზირიშვილის ბინა მოურავის წყალთან, ბაბულაანთ ადგილი, გაშლილი არხი. ზაფხულში ცხვარი მიდიოდა თოხლიაურის ცივზე, უმეტესი კი ჯავახეთის მთაში, ორთულში.

ცხვრის ტრასა ასეთი იყო: თოხლიაური – მალხაზოვკა (აზამბური) – სართიჭალა – ლოჭინი – თბილისი – ორთაჭალის ხიდი – კუმისი – კოდა – ალგეთი (ცხვრის ხიდი) – ბედენი – თრიალეთი – ჯავახეთი. ცხვრის ფარებიდან ზოგი რჩებოდა თრიალეთში, ზოგი გადადიოდა ჯავახეთში, ზოგი კი ყარსის მთებში.

მარცვლეუკში პური და ქერი სჭარბობდა, ვენახი ნაკლები იყო. ხორბალი მეტი იყო, ვიდრე ქერი. ხორბალში მთავარი იყო თავთუხი, დოღის პური, პოშოლა. სიმინდიც ბევრი იყო.

თოხლიაურში შვიდი ეკლესია: ღვთისმშობელი (სოფლის ცენტრში, სასაფლაოზე), კალოუბანი (სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთი, ქედზე), ღვთისმშობელი (იქვე, კალოუბნის გვერდით), სამება (მანავის მეურნეობის სასტუმროს უკან), მთავარმოწამე (სოფლის ჩრდილოეთით, ტყიან ქედზე), ღამურას საყდარი (სოფლის ჩრდილოეთით, ადგილ დიდ ველებში), უსახელო ეკლესია (სათავის თავზე, ტყეში).

ღვთისმშობელი დგას სოფლის ცენტრში, სასაფლაოზე. დიდი ზომის ეკლესია, ნაგებია რიყის ქვით, ალაგ-ალაგ ნახმარია აგურიც. აფსიდა განიერია, სარკმლები ფართო, კარი სამხრეთიდანაა. ესაა გვიანშუასაუკუნეების დასასრულის ძეგლი. მასთან ახლოს საფლავის ქვებია: „ედიშერ ედიშერის ძე ჩერქეზოვი, 1857“, „ლევიან პეტრეს ძე ტაბატაშვილი, 1893“ და სხვ.

სასაფლაოდან უფრო ქვევით არის კიდევ ერთი ეკლესიის ნანგრევი, მინასთან გასწორებული, ესეც ღვთისმშობელია. იგი დგას შემადლებულ ადგილზე. აქვე მდგარა ჩერქეზიშვილების სახლები. შესაძლოა ეს მეორე ღვთისმშობელი მათი კარის ეკლესიაც იყო.

ჩვენი მეგზური თოხლიაურში იყო პეტრე კლდისელი. მის ვენახში (იქვე სოფელთან) საფლავის ქვაა: „ქ. კლდე(ი)ს(ე)ლი

პაპოას ძე პეტრე ჭირთმიცვლილი შენდობა ბძანეთ, ქკს ფ“ (1812 წ.), კიდევ ერთი კლდეისელის საფლავის ქვაა ჩატანებული ერთ-ერთ სახლში, რომლის თარიღია 1813 წ.

სამება მდებარეობს მანავის მეურნეობის სასტუმროს უკან. ეს სასტუმრო კარგად ჩანს კახეთის გზატკეცილიდან და „თეთრ სახლს“ უწოდებენ. რევოლუციამდე იგი ვინმე ფრიდონოვს ეკუთვნოდა და თოხლიაურისა იყო. მდებარეობაც კარგი აქვს და ხალხიც მშვენიერია. მისი ღობის უკან, ჯაგიან სერზე დგას სამება, რიყის ქვით ნაგები საშუალო ზომის ეკლესია. წყობა კარგი აქვს, აფსიდა ნახევარწრიული, კარი სამხრეთიდანაა, ერთადერთი სარკმელი-აღმოსავლეთით. კარი აგურითაა ამოყვანილი. ეკლესიის ზომებია 7 X 5. ვარაუდით გვიან შუასაუკუნეების დასაწყისისას უნდა იყოს.

ლონიდას ვეილს საყდარი მდებარეობს ღონიტას ხევში, რომელიც სოფელს აღმოსავლეთით, მანავის მხარეს ჩამოუდის. ხევის მარცხენა მხარეს, ტყიან ქედზე, სასმელი წყლის სათავის თავზე, არის ღოტინას ვეილს საყდარი. ამ ტყიან ქედს დასავლეთით ჩამოუდის ღოტინას წყალი, აღმოსავლეთით კი მათიანთ ხევი. ისინი ერთდებიან „სათავის“ მიდამოებში. ეკლესია ნაგებია რიყის ქვით. აფსიდა ნაღისებური აქვს. წყობა კარგია. ეკლესია გადახურულია რიყის ქვის თალით. კარი დასავლეთიდან აქვს, სარკმელი ორია-აღმოსავლეთის და დასავლეთის. ეკლესიის ზომებია, დაახლ. 4 X 3. ეს პატარა ეკლესია საკმაოდ ძველი უნდა იყოს, ოღონდ გვიან ხანებში შეკეთებული. იგი ადრეშუასაუკუნეების დასასრულისა უნდა იყოს. აქედან დიდი ველების ეკლესიამდე დაახლ. 1,5 კმ-ია. ღონიტას საყდარი უფრო ახლოა სოფელთან, ვიდრე დიდ ველების ეკლესია.

მთავარმონამე მდებარეობს დიდ ველების ტყიან ქედზე, სოფლიდან დაახლ. 4 კმ-ზე. მას მარჯვნივ ჩამოუდის ყიასანთ ხევი (დასავლეთით). ეკლესია უფასიდოა, ნაგებია რიყის ქვით. კარი სამხრეთითაა, სარკმლები ჰქონია აღმოსავლეთით და დასავლეთით. კედელი შერჩენილია 2 მ. სიმაღლეზე, აკლია დაახლ. 1 მ. გამყოლს ახსოვს გადახურული რომ იყო, ეხლა თალი ჩაქცეულია. ეკლესიის ზომებია 5 X 4 მ. იგი გვიანშუასაუკუნეებისა უნდა იყოს.

დიდ ველებიდან გზა ქედ-ქედ ადის ნარიან ველში, რომელიც გომბორის ქედზეა და თოხლიაურის ერთ-ერთ მთავარ საზაფხულო საძოვარს წარმოადგენდა. მთავარი გზა ნარიან ველში ადის ჩადუნიანზე-ეს გზები შემდეგ ერთდებიან. ასე რომ, მთავარმონამის ეკლესია დგას სოფლიდან გომბორის ქედზე ამავალ ერთ-ერთ გზაზე.

ლამურას საყდარი დგას აქვე, მთავარმონამედან სოფლისკენ, დაახლ. 0,5 კმ-ზე-ეს უფრო ძველი და კაპიტალური ნაგებობაა. აქ ხშირადაა ნახმარი შირიმის ქვა: კუთხეებში, თაღში, კედლის წყობაში (ქვედა რიგებში). აგსიდა უცნაური ფორმისაა, დაკუთხული, ოთხი წიბოთი. კარი სამხრეთითაა, სარკმლები ოთხივე მხრივ. ეკლესიის ზომებია: 6 X 5 მ. ესაა შუასაუკუნეების დასასრულის ძეგლი.

კალოუზნის ქედზე, რომელიც თოხლიაურიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით და მანავიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს, დგას ორი გვიანი ხანის ეკლესია: კალოუზანი და ღვთისმშობელი. ამ ეკლესიებზე თოხლიაურსა და მანავის შორის დავაა, ორივე სოფელი თავისად ასახელებს, ან არადა შუაზე ჰყოფს: აღმოსავლეთით მდებარე კალოუზნის ეკლესიას მანავი იჩემებს, ხოლო მისგან დასავლეთით, სულ 150 მეტრზე მდგარ ღვთისმშობელს თოხლიაური. ჩვენმა გამყოლმა პეტრე კლდეისელმა ორივე თოხლიაურისად ჩათვა.

კალოუზნის ეკლესია დარბაზული ტიპის ნაგებობაა, რიყის ყვით ნაშენი. ახალი შეკეთებული (თოხლიაურში გვიტხრეს 1963 წელს აღვადგინეთო ორივე ეკლესია). შეკეთების ადგილები მთლიანად აგურისაა. აგურისავეა ჯვრები, რომლებიც ყოველი მხრიდან აქვს ეკლესიას: 4 სამხრეთ ფასადძე, 2-2 დანარჩენებზე. განიერი აფსიდა აქვს. კარი სამხრეთიდანაა, სარკმლები აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. ეკლესიის ზომებია: სიგრძე – 8 მ., სიგანე – 6 მ., სიმაღლე – 4 მ. ესაა გვიანიშუასაუკუნეების ძეგლი. ეკლესიის ეზოს გალავანი ჰქონია შემოვლებული, ამჟამად იგი მხოლოდ ალაგ-ალაგაა შემორჩენილი, კვალი კი ყველგან კარგად ეტყობა. გალავნის ძირში, შიგნითა მხრიდან, ეკლესიის მახლობლად ბევრი პატარა ქოცოა ჩაყრილი, საზედაშედ. ეკლესიასთან წარწერიანი საფლავის ქვებია: „შალოაშვილი პეტრე, ჯკს უოგ“ (1785), „ბორანთ ნინიას ძე ლაზარე“, „კონსტანტინე ასლანის ძე ჩერქეზიშვილი“ (XIX საუკუნისაა, მარმარილოს ფილაზე), „რამაზ ჩერქეზიშვილის მეუღლე კნეინინი ნინო და ასული სვიმონ გურგენიძისა, ჩყლმ“ (1838). ეკლესიის სამხრეთი კარის არქიტრავად საფლავის ქვაა 1825 წლისა. დასავლეთ კედელშიაც საფლავის ქვაა „ჯკს უფ“ (1798).

ღვთისმშობელი კალოუზნის ქედის დასავლეთ განაპირასაა, საიდანაც ბილიკი ჩადის ხევში. იგი უფრო მომწრო ნაგებობაა, უაფსიდო, კარი სამხრეთიდან აქვს, დაბალია. მისი ზომებია: სიგრძე – 4 მ., სიგანე – 3 მ. შესაძლოსა, ეს ოდნავ უფრო ადრეული ძეგლი იყოს, ვიდრე კალოუზნისა, მაგრამ, რათქმა უნდა, მაინც გვიანიშუასაუკუნეებისა.



ამ ორ ეკლესიას შორის მოზრდილი ბორცვია, რომელიც ეტყობა ძველ ნასახლარს ფარავს. ამ ტერიტორიაზე მოჭიქული კერამიკის ნატეხებიც აიკრიფა. შესაძლოა, აქ ადრე უფრო ძველი ეკლესია იდგა და მისი დანგრევის შემდეგ ორი პატარა საყდარი ააგეს.

კახეთის ხალხის აღწერის XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის დავთარში თოხლიაურის მოსახლეობაცაა მითითებული: „არის თოხლიაურში ჯანაშდალის ყმა: ქემსა ფოვეიას შვილი, ხუციას შვილი ყიასა, მრელიას შვილი შერმაზან, გიორგიას შვილი ბერიი, შავერდას შვილი მამუკა, ქიტისა შვილი ნასყიდა, გორიას შვილი იასე, ირემას შვილი მამუჩი, გაბრო, პატა, ბერუას შვილი ივანე, თანდილას შვილი, ბაიდას შვილი ქიტია, გვარიანის შვილი, მჭედლის შვილი ბერუკა, ფოთოლას შვილი ქიტია აყრილი, ბაზიერის შვილი გიორგი, პაპიას შვილი ლაზარე, უმცროსას შვილი აღდგომელი, მეტრეველი გიორგი ჩაილურის ნაცვალი, მარგარას შვილი ტერტერა, ჯანიბეგას შვილი ასლამაზ, პატას შვილი ოთარა, ნასყიდა პატას შვილის განაყოფი ავლაბარშია, ქოჩუას შვილი პატა, მეზალის შვილი გზირი, გოცირიძე ბეჟან“.

ამ გვარებიდან დღევანდელ თოხლიაურს შემორჩნენ: გორგიაშვილები, გვარიანშვილები, მჭედლიშვილები, ყიასაშვილები და შერმაზანაშვილები.

ისტორიულ დოკუმენტებში თოხლიაური იშვიათად იხსენიება, ასევე იშვიათია ჩერქეზიშვილების სათავადო „საჩერქეზიანოს“ ხსენება:

1786 წელს მეფე ერეკლე მეორე უწყალობებს ჩერქეზიშვილს ჯანასლანს, მის ძმას პაპუას, იოანეს დამ ის შვილებს მის გაყრილ ბიძაშვილის ავთანდილის ბეითალმან მამულს: „მიბოძეთ სრულებით რაც იმისი საკერძო ყმა და მამული არის საჩერქეზიანოში მითთა, ბარითა, სახნავით თუ სათესით, ნყლით, ზვრით, ნისქვილით“. ჩერქეზიშვილს ავთანდილს სამი ობოლი ქალი რომ დარჩა და მოხუცებული დედა, მანამდის ეს ობლები დაისდებიან და დათხოვდებიან, ამისი ყმა და მამული ამათვე უნდა ეჭიროთ. რომ ამისი წერილი ავთანდილის დედისათვის მიგვიბარებია. რახან ეს ობლები დათხოვდებიან, მას უკან როგორადაც ამ სოფელში უცხადებს, აგრეთვე სრულიად ავთანდილის ყმა და მამული ისევ ჯანასლანს დარჩება (სცსა, ფ. 1448, საბუთი № 1029). აქ ყურადღებას იქცევს სახელი ჯანასლან. თუ მოვიგონებით, რომ XVIII საუკ. პირველი მეოთხედის კახეთის ხალხის აღწერის დავთარში თოხლიაურში არის ჯანაშდალის ყმა, უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს ჯანაშდალიც ჩერქეზიშვილია. გამოდის, რომ ჩერქეზიშ-

ვილების გვარში სახელის ასეთი გაფორმება ტრადიციული იყო. ეს ერთხელ კიდევ გვიმონწმებსამ თავადური გვარის არა ქართულ, კერძოდ ჩერქეზულ წარმოშობას.

1800 წელს რამაზ ჩერქეზიშვილსა და გოგიას ობოლს გაყრაში სადავო დარჩენოდა და ერეკლე მეორის შვილიშვილი თეიმურაზ ბატონიშვილი ათავებს ამ დავას: „ჩაილურში რომ მამა-პაპის ზვარი აქვთ, შუა უნდა გაიყონ...თოხლიაურში რომ მიწა რგებია რამაზს, რომელშიც ორი წისქვილი არის...ერთი რამაზს აუშენებიათ, ამიტომ იგი საერთო წილში არ ჩავარდება...დირბელი კაცი, რომ მიხდომია რამაზს და თოფი უსროლია, თუ ის კაცი ხელში ჩაიგდეს, სახლი შუაში უნდა გაიყონ“ (სცსა, ფ.1448, საბუთი № II44).

ჩანს ეს თავადური გვარიც და მათი სათავადოც გვიანი წარმონაქმნია. შესაძლოა XVII საუკუნის მიწურულისა, რადგან XVIII საუკუნის დასაწყისში უკვე ჩანან თოხლიაურის მფლობელებად, ხოლო ამ საუკუნის მიწურულში, უფრო შუა ხანებში, ჩაილურის მფლობელებადაც (გავიხსენოთ მათი მამა-პაპის ზვარი ჩაილურში).

ამ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტია მანავი. იგი იყო გვიანშუასაუკუნეების კახეთის სამეფოს ერთ-ერთი ცენტრი და, უჯარმასთან ერთად, მთელი ამ მხარის ყველაზე ძლიერი ციხე-სიმაგრე. გარე-კახეთში მანავის ციხე ყველაზე ეფექტური და სტრატეგიული მნიშვნელობის სიმაგრეა. კიდევ ამიტომ გადმოიტანა ყარაღაჯიდან თავისი რეზიდენცია იმამყულიხანმა და მანავის ციხეში სასახლეც ააშენა. მფლობელობის მხრივ ნახევარი მანავი მეფისა იყო, ნახევარი საჩერქეზოსი.

მანავი მდებარეობდა ივრის მარცხენა ნაპირის ველსა და ცივ-გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთის დაბოლოებებს შორის ამართულ რამდენიმე საშუალო სიმაღლის გორაკის ფერდობებზე. ამით სოფელი დაცული იყო ივრის ხეობის ველების პაპანაქებისაგან, თანაც ერთ-ერთ ამ გორაკზე, როგორც ჩანს, უკვე ადრეულ შუასაუკუნეებში ციხე-სიმაგრე აღუმართავთ. მანავის ციხის მშენებლებს იშვიათი მარჯვე ადგილი შეურჩევიათ. ციხის გორაკი გაშლილ ხეობას გადაჰყურებს და შეუძლია თვალყური ადევნოს მტრის მოძრაობას თითქმის 15 კმ-ზე. გარდა ამისა, ციხეს ზურგიც მშვენივრად ჰქონდა გამაგრებული, რადგან მანავის პატარა ხეობით იგი უკავშირდებოდა ცივ-გომბორის ქედზე ან მის გადაღმა მდებარე ქვეყანას ის, რომ ივრის ხეობიდან მომდგარი მტრისათვის ეს შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენილიყო. მანავის ციხის სტრატეგიული მნიშვნელობაც უფრო ამით განისაზღვრებოდა.

თანდათან, გვიან ხანებში, სოფელი გამოსცდა ამ გორალებს შორის მოქცეულ მშვენიერ სამოსახლოს და ივრის ველისაკენ ჩამოწია. დღეს სოფელი ძველ სამოსახლოსაც ინარჩუნებს და ახალ ადგილებსაც სწრაფად ეუფლება. ცენტრმაც ქვევით გადმოინაცვლა, კახეთის ახალი გზატკეცილის პირას.

მანავი ძველადაც დიდი სოფელი იყო და ეხლაც საკმაოდ მოზრდილი დასახლებაა. იგი რამდენიმე უბნად იყოფა: ციხის უბანი, ტურის უბანი, შუა უბანი და გორხანა.

მანავის ძირითადი გვარებია: ბორიაშვილი, არუნაშვილი, ფეიქრიშვილი, ბაზერაშვილი, უტუნაშვილი, ტაკაშვილი, სტეფანიშვილი, დაბახოშვილი, საბაშვილი, ზალიაშვილი, ჭეშურაშვილი, ავაქაშვილი, დოდაშვილი, გამტკიციაურაშვილი, მახარობლიშვილი, სიმონიშვილი, ტურტურაშვილი, დალაქიშვილი, ბიბილაძე, ბეგაშვილი, ლეგაშვილი, ვაჭიშვილი, ნანიკელაშვილი, თამაზიშვილი, სირაძე. 1941 წელს 320 კომლი იყო, 1973 წელს – 720 კომლი.

მანავის მიჯნებია: ჩრდილოეთით – მანავის ცივი, ნაკრძალები (ტყე თარაგის მიჯნაზე), თერკემალი (ბურდიანთან მიჯნა, აღმოსავლეთით), ვეძათხევი (თოხლიაურთან მიჯნა, დასავლეთით), ივრის ქალა ანუ შავტყე (სამხრეთის მიჯნა), სანაყელა (მიჯნა ჩაილურის მიწებთან).

მანავის ტოპონიმია: მანავის ცივი. ნაურძალები. თერქემალი. სათავის ტყე. საგიო მარანი. შავქედი (ნასოფლარია), თხელმუხიანი, დიდი ბაისას სერი, პატარა ბაისას სერი (ტყეები), ვეძათხევი, ყიასაანთ არხი; მინდვრები: ჩალები, ჭალა, შავტყე, სალოკავეები, სალორიჩალა, მლაშები იგივე ნაჩალტუტარი, სანაყელა, ზეიანი, ლამები.

მეურნეობა: მინამოქმედება და მესაქონლეობა პირველის უპირატესი განვითარებით. მევენახეობა კარგად იყო განვითარებული, ცნობილია მანავის მეფის ზვარი, რომელიც ციხის ძირში მდებარეობს და იძლევა საქვეყნოდ განთქმულ ღვინოს – მანავის მწვანე. მარცვლულიდან დიდი ადგილი ეჭირა ხორბალს (თავთუხი, თეთრი უფხო, დოლის პური), აგრეთვე ფეტვი, ქერი, სიმინდი, ლობიო, ბოსტნეული და ბალჩეული. მესაქონლეობაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი მეტი იყო, განსაკუთრებით კამეჩი. მეცხვარეობა ნაკლებად იყო. მანავის საზაფხულო საძოვრებია ლორლა და ლეკვანა ივრის სათავეში. სარქყავი მიწები იყო მხოლოდ ფშები, დანარჩენი სულ ურწყავი. ნაზვრევეები სოფლის თავშია.

მანავში რამდენიმე ეკლესიაა: იოანე ნათლისმცემელი (ციხის ძირში), ღვთისმშობელი, უსახელო საყდარი (ორივე სასაფლაოზე),

თათრის ციხე (ეკლესიაა), ნათლისმცემელი (გზის პირას, დანგრეული), ოდიში იგივე წმ. გიორგი (ციხიდან აღმ. 2 კმ-ზე), დედა ღვთისმშობელი. ამათ გარდა, მანავის ციხეში კიდევ სამი ეკლესიაა.

გ. ჩუბინიშვილი ცნობილ მონოგრაფიაში, რომელიც მან კახეთის ხუროთმოძღვრებას მიუძღვნა აღნიშნავს: «Церкви рассмотренного только что периода нового времени, времени позднего кахетинского царства, обособившегося с конца XV века, составляют группу, определенно противопоставленную предшествующим эпохам. Общим характерным признаком, общей чертой всех построек данного периода является то, чего нельзя не характеризовать как проявление упадка, слабости творческого акта. В планах и общих формах храмовых сооружений по существу не замечается внутреннего роста, а проявляется напротив того, какая-то усталость. Та же усталость, известная творческая вялость архитектуры XVI-XVIII веков проявляется также и в декоре, формы которого определяются теперь иным строительным материалом - кирпичем. При всем том, однако, творческие интересы не были убиты ни предшествовавшими веками тяжелых испытаний, ни в дальнейшем страшными опустошениями Шах-Аббаса в XVII веке и лезгинами в XVIII в.

Показательным примером этих неиссякающих творческих интересов является небольшая церковь селения Манави, расположенная ниже крепости. Она построена, согласно надписи, в 1794 году настоятелем Гареджийского монастыря ნათლისმცემელი Евфимием.

(შენიშვნა: В научной литературе она обсуждалась только проф. Л. Меликсет-Бекем в его статьях по археологии Гарე-Кახети (სახალხო საქმე, 23.IX.1920 года, № 933), где он приводит десятистрочную надпись с южного фасада и внутренние размеры в шагах 1247, а наружных 16410. При юем осмотре этой церкви 18.III.51 года плиты с надписью в нише над дверью уже не было).

то по внутреннему пространству зальная церковь, но с куполом на барабане. Куполок на барабане и своды сложены из кирпича, а остальной корпус \_ из булыжника и ширими. Как в создании внутреннего пространства и в конструктивном решении его, так и в декоре наружного облика и его масс эта церковка обнаруживает, несомненно, оригинальность и своеобразие замысла.

Надпись этой церкви по напечатанному в 1920 году проф. Л. Меликсет-Бекем с раскрытием титл тексту гласит: ქალწულებისა ყუაილმან ხატმან და ბრწყინულებამ ღმრთისა მამისა ყოველთა არისტა ზედა, ღმერთმან სიტყუამან მაყვლისაგან ცეცხლი –

მეზნებარისა ღმრთის – მშობლისა მიერ გამოჩინებით მყოფთამი განახლებით მაცხოვარება, რომლისა საღმრთო ორიღანოდ გვიჩინნა წმიდანი ეკლესიანი, დროსა უმაღლესის ჴელმწიფის საქართუშლოფსა და სხვათა, მეფის ირაკლის მეორისას, მოქყალებით ქრისტე ღმრთისათ, აღუაშენე დედისა ღმრთისა შობიშა წმიდა ეკლესია მრავალ მთის ნათლისმცემლის მონასტრის, მონასტრის ადგილსა შინა, ნათლის მცემლის მონასტრის არხიმანდრიტიმან ეფთიმო, სადიდებელად საწმიდაობასა შინა მხოლოფსა მეფებისა ღმლთისა მამისა, ძისა და ყოველად წმიდისა სულისა და დედისა ღმლთისა და პატივად დიდებულის ნათლის მცემლის იოანესით, ქრისტეს აქეთ ჩლყდ და ქართულსა ქრონიკონსა უპბ“ (1794 წელი)<sup>28</sup>.

მაშასადამე, მანავში მამული გარეჯის უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტერსაც ჴქონია, რადგან არქიმანდრიტი ექვთიმე მაჭუტაძე ეკლესიის წარწერაში ზუსტად მიუთითებს, რომ მან ეკლესია ააგო „მონასტრის ადგილსა შინა“. ეს მამული ცნობილი სამეფო ზვრის გვერდითაა და უნდა ვიფიქროთ, ისიც ვენახი იქნებოდა (გარეჯელ ბერებს მანავის მწვანე მოსდომებიათ). ეს მონასტრისათვის დიდი შემოსავლის წყარო იქნებოდა.

მანავის ზემო უბნის გვერდით, აჭმოსავლეთით, მაღალ გორაზე დგას წმ. გიორგის ეკლესია. იგი ოდიშის სახელითაც არის ცნობილი, რადგან აუგიათ სამეგრელოდან გადმოსულ სტეფანიებს და დღესაც სტეფანიშვილების სალოცავად ითვლება. მანავის ციხიდან ეს ეკლესია აღმოსავლეთითაა, დაახლ. 2 კმ-ზე. ეკლესია ნაგებია ქვიშაქვის დიდ ლოდებით. ალაგ-ალაგ ნახმარია ქართული აგური და რიყის ქვა. თალი ჩაქცეულია. კარი დასავლეთიდან აქვს, სარკმელი ერთია – აღმოსავლეთისა. უაფსიდოა. ზომები: 7 X 5 მ., სიმაღლე – 4 მ. აშკარად გვიანიშუასაუკუნეების მიწურულის ძეგლია.

დედა ღვთისმშობელი ოდიშიდან აღმოსავლეთით 30 კმ-ზე. ნაგებია რიყის ქვითმ წტობა არეულია, თალი ჩაქცეული. ესეც უაფსიდო ეკლესიაა. კარი დასავლეთიდან აქვს. სარკმელი არ ჩანს. მისი ზომებია 3 X 2 მ. გვიანი შუასაუკუნეების მიწურულის ძეგლია.

მაღალ გორაკზე, რომელიც დღევანდელ სასაფლაოს უკავია, დგას ორი გვიანი ხანის საყდარი. ორივე რიყის ქვისა. ერთს ღვთისმშობელს უწოდებენ, მეორე უსახელოა. ორივე ეკლესია გვიანიშუასაუკუნეებისაა.

<sup>28</sup> Г. Чубинишвили. Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959, стр. 472.

დანარჩენი ძეგლები დანგრეულია. ასეთია გორხანის უბნის თათრის ციხე (საქალათო), ქვითკირის წყარო, ნათლისმცემელი (გზისპირის, მალაზიასთან), თათრის ციხე (ეკლესია, სასაფლაოდან I კმ-ზე).

ამიტომ მივუბრუნდეთ ისევ მანავის ციხეს, რადგან მაინც ესაა მთავარი ძეგლი. არა მარტო სოფელ მანავისა, არამედ მთელი ამ ქვეყნისათვის, რომელსაც პირობითად მანავის ქვეყანაც კი შეიძლება ეწოდოს. დავინყოთ გ. ჩუბინაშვილის მშვენიერი მონოგრაფიის ციტირებით:

«Заключу эти беглые замечания по некоторым крепостям, стоявшим еще в период древнего кахетинского царства, несколькими данными о большой, игравшей, видимо, значительную роль и в последнее столетие существования грузинского царства, при Ираклии II, крепости Манавис-цихе в Гаре-Кахети. Это громадная крепость с выделенным вышгородом, с остатками различных зданий разного времени \_ частью больших, с несколькими церквями, водохранилищами и с разного же времени частями крепостных стен и башен. По восточной линии крепости устояла на большую в 5 - 6 метров, высоту древняя стена, выведенная из булыжника на покатом склоне массива горы, который в некоторых местах выкранился из-под стены и оголен. Стена эта также имеет связанные с нею полукруглые, сужающиеся кверху контрфорсы, какие отмечены в Дзвели галавани в Телави, Кветера и т. д. Там, где оголилось основание стены, эти выступы висят теперь в воздухе. С северо-восточного конца, где несколько поздних восстановленных частей и башен, пори таких контрфорса, далее к юго-восточному концу прямоугольный довольно длинный выступ стены и опять полукруглые контрфорсы при поднимающейся по уклону горы стене. Изнутри крепости только этот южно-восточный конец стены стоит открытый, на всем же остальном протяжении стена засыпана землей, где до самого верха, а где почти до него; очевидно, эта постепенно сползавшая сверху по пологому откосу земля закрыла высокую стену древней крепости.»<sup>29</sup>

როგორც ჩანს, გ. ჩუბინაშვილს ძველი ციხის კედლების დიდი ნაწილი მინის ქვეშ დაფლული ეგულება და გადარჩენილსაც, კონტრფორსებიანს, ძველად თვლის. დიდი მეცნიერის ავტორიტეტი იმდენად ყოვლის მომცველია, რომ ჩვენი პირადი შთაბეჭდილება მანავის ციხის გვიანდლობის (XVIII საუკ.) შესახებ, უსაფუძვლად გვეჩვენება და ვეცდებით ახსნა მოუძებნოთ მისი ადრე

<sup>29</sup> Г. Чубинишвили. Архитектура Кахетии, Тбилиси, 19, стр. 525.

აგების საჭიროებას თუ შესაძლებლობას.

მანავის ციხე თითქმის დეტალურად აქვს აღწერილი პ. ზაქარაიას, რომელიც ერთგან მიუთითებს: „ციხის ანსამბლი ისეა დანგრეული, რომ ამჟამად თავდაპირველი სახის აღდგენა მხოლოდ მიახლოებით შეიძლება. ზოგადი ნიშნებით ციხის ძველი ფენა X – XI საუკუნეებზე მიგვითითებს, ახალი კი XVI – XVIII საუკუნეებზე“<sup>30</sup>.

მანავის ციხის გორა არც თუ ძნელი მისადგომია, ამიტომ მშენებლებს მაღალი კედლების ამოყვანა დასჭირდებოდათ. მანავის ციხეში გამოიყოფა შიდა ციხე, რომელიც ძირითადი, ქვედა ციხის დასავლეთითაა. იმამყულიხანს თავისი სასახლე და სამეფო რეზიდენციის სხვა ნაგებობანი, რა თქმა უნდა, შიდა ციხეში უნდა აეშენებინა, უკეთ დაცვის მიზნით.

ვახუშტის ცნობით მის დროს მანავის ციხე შემუსვრილი ყოფილა, მაგრამ უკვე გიულდენშტეტის დროს სოფლის მოსახლეობამ მაღლობზე მდგარ გალავანს შეაფარა თავი. გამოდის, რომ XVIII საუკუნის 40-იან და 70-იან წლებს შორის მანავის ციხე ხელახლა შენდება.

მანავის ციხეს შესასვლელი ჰქონია ქვედა ციხის ჩრდილო კედლის შუაში, სადაც აღმართული იყო კოშკი დამ ის ქვეშ კამაროვანი გასასვლელი. ეს დამახასიათებელია მხოლოდ XVII – XVIII საუკუნეების ციხე-სიმაგრეებისათვის. შიდა ციხის ჩრდილო კედლის შუაში დიდი სამსართულიანი სახლი მდგარა, რომლის პირველი სართულის ქვეშ ჩაშენებული იყო მცირე წყალსაცავი. იმამყულიხანის სასახლე, რომელიც ამ სახლიდან აღმოსავლეთით მდგარა, ასევე სამსართულიანი ყოფილა. კიდევ ერთი სამსართულიანი სახლი ყოფილა მიდგმული შიდა ციხის გალავნის სამხრეთ ბოლოზე.

შიდა ციხის (ციტადელის) ეზოში ჯგუფად დგას სამი სხვადასხვა პერიოდის ეკლესია. ესენია მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესიები. მათ შორის ყველაზე ადრეულია ჩრდილოეთით მდგარი.

ყველაზე ადრეული ეკლესია ჩვეულებრივზე გრძელია. კარი დასავლეთიდან აქვს, სარკმლები აღმოსავლეთით და დასავლეთით. კამარა და კონქი ჩანგრეულია. საკურთხველი ერთი საფეხურითაა ამალღებული. ტრაპეზეს ქვა კედელზეა მიდგმული. აფსიდაში ორი ნიშია. ეკლესიის კედლები შიგნით აგურითაა ნაგები, ხოლო კონქი და აფსიდის წირახლი – შირიმის ქვით. ფასადები ძირითადად შირიმითაა განწყობილი, მაგრამ აგურიც

გვხვდება. აღმოსავლეთის ფასადზე ორი სამკუთხა ნიშია, რაც ძველი ტრადიციის გამოძახილი უნდა იყოს.

მეორე ეკლესია დგას პირველისაგან სამხრეთით. ესაა უაფსიდო, მცირე ეკლესია. კარი სამხრეთიდან აქვს, სარკმელები – აღმოსავლეთით და დასავლეთით. ნაგებია რიყის ქვით. თალი ჩაქცეულია. საერთო ნიშნებით ესაა გვიანშუასაუკუნეების ძველი, თუმცა უაფსიდო ეკლესიები IX-X საუკუნეებში დამახასიათებელია მთიანი მხარეებისათვის (ნ. ჩუბინიშვილი, ქ. გვასალია). აქვე უნდა დამუშაბოთ, რომ უაფსიდო ეკლესიები მრავლადაა გამოვლენილი ჩვენი ექსპედიციის მიერ, როგორც შარშან, ასევე წელლს, ცივ-გომბორის ქედის ორივე მხარეს, რაც, ჩვენი აზრით, მოწმობაა მთის მოსახლეობის ჩამოსვლისა კახეთის ბარისაკენ.

მესამე ეკლესია მეორის აღმოსავლეთით დგას. იდი ზომით პირველზე მცირე, მაგრამ მეორეზე დიდი. ესეც ერთ ნავიანი, დარბაზული ტიპის ნაგებობაა. კარი სამხრეთიდან აქვს, სარკმელები – აღმოსავლეთით და დასავლეთით. აფსიდაში ორი ნიშია. ნაგებია რიყის ქვით, აგურის გამოყენებით. კარზე და სარკმლებზე მოსაპირკეთებლად გამოყენებულია შირიმიც. კამარა და კონქი შესრულია, რაც აშკარად მის გვიანობაზე მიუთითებს. დასავლეთის სარკმლის თავზე რელიეფური სომხური ჯვარია. ზედა ციხის ტერიტორიაზე ქართულ ნარნერიანი საფლავის ქვებიცაა, XVIII ს.

სამივე ეკლესია ზოგადი ნიშნებით გვიანიშუასაუკუნეების ძველია და უნდა ვიფიქროთ, რომ აგებულია მას შემდეგ, რაც აქ XVIII საუკუნის დასაწყისში იმამყულიხანმა (1703-1722) თავისი რეზიდენცია გადმოტანა ყარაღაჯიდან.

სასახლეებისა და ეკლესიების გარდა შიდა ციხის ტერიტორიაზე ყურადღებას იქცევს წყლის სამი რეზერვუარი. ერთზე უკვე ვილაპარაკეთ, იგი სამსართულიანი სახლის ქვეშ იყო მოთავსებული მეორე წყალსაცავი ამოშენებულია მესამე ეკლესიის ქვემოთ, იგი 3,5 მეტრის სიღრმისაა. გადახურვა შეირული აქვს, კედლები შელესილი. მესამე წყალსაცავი ამავე ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთითაა, მასაც კამაროვანი გადახურვა ჰქონია.

პ. ზაქარია მიუთითებს, რომ „მანავის ციხის ნანგრევებში ფენების გამიჯვნა ზუსტად ვერ ხერხდება. ციხის დიდი ნაწილი დაკარგულია. გათხრებით შესაძლებელი იქნება ზოგი რამის გაგება.“<sup>31</sup> იმამყული ხანი, ცხადია, გამოიყენებოდა ადრეული ციხის ნანგრევებსაც.

<sup>31</sup> პ. ზაქარია, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბილისი, 1962, გვ. 39



თ. ბარნაველი მიუთითებს X საუკუნის წარწერას მანავის ციხის ეკლესიაზე, სარკმელის ზემოთ, ქვარზე „... 7<sup>32</sup> (ე. ი. თევდორე). სამწუხაროდ, ჩვენ ეს წარწერა ვერ ვნახეთ, ისევე როგორც დ. მუსხელიშვილის მიერ მითითებული მანავის ციხის მხედრული წარწერა. ეტყობა ორივე დაიკარგა.

ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, ჩვენ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში გვინტერესებს მანავის ციხის ფუნქცია, რამ განაპირობა აქ ასეთი დიდი ციხის მშენებლობა.

თუ სარწმუნოა გ. ჩუბინაშვილის ვარაუდი, რომ მანავის ციხის ნანგრევებში გამოირჩევა ძველი, ადრეშუასაუკუნეების საამშენებლო პერიოდი, გასარკვევია, მაინც რომელ პერიოდში შეიძლება აქ ასეთი მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრის აგება, რა ვითარებამ მოითხოვა აქ ციხის აგება.

როგორც ვიცით, „ციხე-სიმაგრეთა მშენებლობა ადრეფეოდალური ხანის მთელ პერიოდს მოიცავს (X საუკუნის ჩათვლით, მაინცდამაინც მისთვის არის ნიშანდობლივი და აღნიშნავს ტეხელს არა მარტო ისტორიული გეოგრაფიის, არამედ სოციალური განვითარების თვალსაზრისითაც“<sup>33</sup>

კახეთის სამთავრო VIII საუკუნის ბოლოს გამოეყო ქართლს: ვახუშტის მიხედვით 787 წელს „განდგა გრიგორი მთავარი და ამან დაიპყრა კახეთი, კუხეთი და გარდაბანი. ამანვე მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად“. ვახუშტისავე ცნობით კახეთის სამთავრო სამ საერისთაოდ იყო დაყოფილი: „გარნა თუ ისხდნენ ერისთავნი (ე.ი. ერისთავები კახეთში ადრევე იყვნენო თ.თ.) ...არამედ ამან კვირიკე მეფემან უფროს განამტკიცნა და დახსნა სამი კახეთს...ერთი რუსთავს...მეორე კვეტერას...მესამე პანკისს“, ამათგან რუსთავისას „მისცა სრულიად კუხეთი, რომელ არს ნაგები, ყარაია, ჩადივარ-სამგორი, უქარმა, ლილო, მარტყოფი, გრდანი, ხერკი და თიანეთი“. არა ნახსენები არც მანავი. არც საგარეჯო.

VII საუკ. 80-იანი წლებიდან იწყება თბილისის საამიროს ტერიტორიის დავიწროება, მაგრამ მათ მაინც ჰქონდათ ასე იყო XI საუკუნეებში, ასე უნდა ყოფილიყო X საუკუნეში და ასევე იქნებოდა უფრო ადრეც, კერძოდ VIII-IX საუკუნეებში. ამის ერთ-ერთ საბუთად მას მოაქვს არაბული ფელსების გავრცელების სურათი და ასკვნის, რომ „რაც ქართულმა სამეფო-სამთავროებმა თავი

<sup>32</sup> თ. ბარნაველი. კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბილისი, 1961, გვ. 111.

<sup>33</sup> დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, II, თბილისი, 1980, გვ. 109.

დააღწიეს ფაქტიურად არაბთა მფლობელობას, ეს უკანასკნელი მკვიდრად შემორჩა მხოლოდ ქვეყნის შუაგულში თბილისის საამიროს სახით, რომელიც VIII-IX საუკუნეებში მოიცავდა გვიანდელი ქვემო ქართლის ტერიტორიას, შიდა ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს და კუხეთის დასავლეთ ნაწილს.<sup>34</sup>

ჩვენი აზრით, თუ მანავის ციხე VIII საუკ. ბოლოს ან IX საუკ. დასაწყისში ააგეს, მისი ფუნქცია იყო სწორედ კუხეთის იმ აღმოსავლეთი ნაწილის პატრონობა და დაცვა. რომელიც უკვე განთავისუფლებული იყო არაბთა ბატონობისაგან და კახეთის სამთავრის შემადგენლობაში განვითარების ახალ გზას ადგა/იგი ახლა რუსთავის მაგივრობას სწევდა და შესაძლოა აქ იჯდა კუხეთის ერისთავი/ ან მანავში. ან უჯარმაში. სხვა დიდი ციხე ამ ქვეყანაში არაა.

მფგრამ მარტო ეს არ უნდა ყოფილიყო მიზეზი ასეთი დიდი ციხის აგებისა.

ცნობილია, რომ ძველი ჰერეთის საზამთრო საძოვრები (შირაქი, ელდარი, ივრის ქვემო წელის ორივე ნაპირი) სამი ძირითადი მაგისტრალით იყო დაკავშირებული კავკასიონის საზაფხულო საძოვრებთან ალაზნის, ივრისა და არაგვის სათავეებში: უკანამხრის, წინამხრის და ჭიაურის გზებით. პირველი ორი შირაქს თუშ-ფშავ-ხევსურეთიდან აკავშირებდა, ჭიაურის გზა კი დაღესტნის მთებთან. ამ გზებიდან პირველი, უკანამხრის გზა მანავს ვერ ასცდებოდა. იგი ქიზიყის სოფლების (მირზაანი, მაჩხაანი, ბოდბისხევი, ბოდბე, მალარო) მიწებზე მიდიოდა, შემდეგ ციგომბორის ქედის სამხრეთი ფერდობით, მდ. ივრის ველით (უკანამხარი, გარეკახეთის აღმოსავლეთი განაპირა მხარე) მანავს აღწევდა. აქ გზა ორად იყოფოდა: ერთი მიდიოდა საგარეჯოზე, მეორე აღიოდა მანავის თავის მთაზე. ორივე ეს ტოტი ერთდებოდა გომბორის ქედზე, ცივიც მთასთან. აქ ცხვარი იფანტებოდა. ნაწილი გადიოდა თელავის ახლოს კახეთის გზატკეცილზე, ხოლო ნაწილი მდ. თეთრიწყლის ხეობის გავლით გადიოდა ხოდაშნის შარავზამდე და ალვანის მინდორს აღწევდა. უკანამხრის გზით მოძრაობდნენ ფშავლები, ერწო-თიანელები და თუშები.<sup>35</sup>

უკანამხრის გზას სოფ. მალაროსთან ან ბოდბესთან გამოყოფოდა თრიალეთის ცხვრის გზა. იგი გადიოდა მანავის, საგარეჯოს, პატარძეულის, მარტყოფის, ლილოს მახლობლად

<sup>34</sup> იქვე, გვ. 140

<sup>35</sup> “Материалы экономического быта государственных крестьян Закавказского края”, V, часть I, стр. 415.

და თბილისის მეტეხის ხიდით მიემართებოდა ტაბახმელა, კოჯორ, სამადლოზე, შემდეგ ალგეთის ხეობით (ცხვრის ხიდი მდ. ალგეთზე) ადიოდა ბედენის პლატოზე (სხვათაშორის ბედენი ქიზიყურად ჩოხის კალთას ნიშნავს, აქ კი მთის კალთას ჰქვია, იხ. სტ. მენტეშაშვილის ქიზიყური ლექსიკონი. ეს მოწმობს ამ ტრასის მჭიდრო კავშირს ქიზიყთან), ხოლო ბედენიდან თრიალეთის მთებზე ან ჯავახეთში. თრიალეთში მიდიოდნენ მხოლოდ დიდი ცხვრის ფარის მფლობელები (თრიალეთზე ძირითადად ქიზიყის ცხვარი მიდიოდა. გავიხსენოთ ბობისხეველი სარქალი ფარსადას მირზაშვილი).

მაშასადამე, მანავი ისეთი პუნქტია, რომელსაც გზას ვერ აუქცევს ვერცერთი ცხვრის გზა გარე კახეთში. ამ ორმა ფაქტორმა, პოლიტიკურმა და სამეურნეომ განაპირობა მანავის ციხის აგება VIII საუკუნის ბოლოს ან IX საუკუნის დასაწყისში.

მანავის ციხის ფუნქციონირებაზე შუასაუკუნეებში მიგვითითებს „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოხსენებული მანაველი ვაჩნაძე XIII საუკუნის დასაწყისში.<sup>36</sup>

გვიანაც, გვიანშუასაუკუნეების კახეთის სამეფოში. XVIII საუკუნის დასაწყისში გამეფებულმა დავით II. იმამყულისანმა თავისი რეზიდენცია ყარაღაჯიდან თელავსა და მანავში გადმოიტანა. მანავის ციხე განაახლა – გაამაგრა და იქ სასახლე და ეკლესიები ააგო. ვახუშტის ცნობით, ლეკების თავდასხმებიდან მოსახლეობის თავდასაცავად მან ააგო სიმაგრეები აგრეთვე თელავში, ალავერდში, ლალისყურში, შილდაში, ყვარელში, გავაზში, ვეჯინში, საგარეჯოში, ხაშმში და სხვაგან.

მანავიდან ცივ-გომბორის ქედზე ამავალი ცხვრის გზის მატერიალურ ნიშნებს ჩვენ ქვემოთ შევხვებით ნასოფლარ თარაქის აღწერისას.

კახეთის ხალხის აღწერის XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის დავთარში მანავში მითითებულია შემდეგი გვარები: „არის მანავს შიომ მდივნის ყმა: ნაცვალი დემეტრე აზნაურშვილი, გიორგი მლდელი აზნაურშვილი, იოთამ სოსოზნის შვილი აზნაურშვილი, ბორაშვილი ხოსრუა, ქემხაბორაშვილი პაპა აზადი, ამირჯანაშვილი ბერი. ფირალას შვილი ბერი. ტაველური იორდანე, მეუნაგრის შვილი პაპუნა, აკოფას შვილი ბერი, გიუას შვილი გიორგი, დათუნა მისი განაყოფი, ჯანაიზას შვილი ბერი, ჯანაიზას შვილი ჯანი, მისი განაყოფი პაპა, ჩატო მისი განაყოფი, დათუნას შვილი გოგილა, მისი განაყოფი შერმაზან, ყაზარას შვილი ნაზარა ხაბაზი, ალიხა-

ნას შვილი ნასყიდა, გიგუეს შვილი, მატყუარა პაპუნა, ბიძინა მახარობლის შვილი, ამის განაყოფი ახალ გაყრილი, დათუნა, სარუნაშვილი არუთინა ობოლი, მჭედელი პატა, ალიას შვილი ბერი, ტერტერას შვილი თუმანა სალთხუცესი, მეზვრე გოგია, გიორგი ობოლი შავერდი; იოთამის ყმა უცუნას შვილი, ქაფიჩხას შვილი გიორგი, იმერლის შვილი; გიორგი მღდლის ყმა ბერია; თუმანას ყმა გიორგი, თავშავის შვილი გზირი ბოგანო, ფეიქარი თამაზა, ივანე კალატოზი ბოგანო; ავაილს შვილის ყმა ფოცხვერას შვილი, ჯანგირა, გოირგი ეშიკალთბაშის ყმა ნახუცვარი; მანავს ბატონის მეზვრე: სოზიას შვილი კაცურა, ირემას შვილი გიორგი; წინამძღვრის მეზვრე გიორგი, აღდგომელის შვილი მახარა.<sup>37</sup>

დღეს ამ გვარებიდან მანავში შემორჩენილია ბორაშვილი, გიუაშვილი, მახარობლიშვილი, უცუნაშვილი, ფეიქრიშვილი, ხოლო ტერტერას შვილებს გვარი ტურტურაშვილზე გადაუკეთებიათ. სიაში ნახსენები წინამძღვარი კი გარეჯის უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარია, რომელსაც აქ ზვარი ჰქონდა.

ისტორიულ დოკუმენტებში მანავი ძირითადად XVIII საუკუნეში იხსენიება. ეს გარემოება გამოწვეულია აქ კახეთის მეფეთა რეზიდენციის გადმოტანით და მისი მნიშვნელობის გაზრდით.

1731 წელს შემდგარ ნუსხაში საკლავისა და ჭირნახულისა, თუ საიდან რამდენი უნდა შეგროვდეს, მოხსენებულია მანავიც. საინტერესოა, რომ ამ ნუსხაში ჩამოთვლილი პუნქტები ყველა ქართლისაა, გარდა მანავისა (სცსა, ფ. 1448, № 1693).

1757 წლით დათარიღებულ სამართალში ერეკლე მეორისა გივი ავალიშვილის ყმის საქმე ნათქვამია: „... მანავს ფოცხვერაშვილი ძველთაგან ბატონებისაგან ზაალს ავალიშვილს და გივეს წყალობად ეჭირათ. ავალისშვილები რომ გაყრილან, ზაალს და გივეს ბარათით გაყოლია წილად. ბატონს ბიძას ჩვენს იმამყულით ხანსაც განაჩენი ებოძა გივისათვის... სამართალში გივის შვილს ასლანს დარჩა ფოცხვერაშვილი...“<sup>38</sup> უკვე მოტანილ დავთარში XVIII საუკ. პირველი მეოთხედის კახეთის ხალხის აღწერისა ნახსენები იყო „ავალის შვილის ყმა ფოცხვერას შვილი“, ასე, რომ, ეს ორი საბუთი ერთმანეთს ავსებს.

1765 წლით დათარიღებულ არზაში ყმობის თაობაზე, ნათქვამია: „დემეტრე ჩერქეზიშვილი ამბობს, ეს გიორგი ხოჯაშვილი არისო და ჩემი ყმააო, მაგრამ ავის დროს მიზეზით მამა მისი

<sup>37</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბილისი, 1967, გვ. 11.

<sup>38</sup> ქართული სამართლის ძეგლები, წ. , გვ. 461.

ქართლში (წინ-წყაროში) გადმოსულაო და მერმე ეს გიორგი ისევ ჩემთანვე მანავს მოვიდაო... ეს გიორგი სამართალმა ჩერქეზიშვილს დაანარჩუნა...“<sup>39</sup> ეს საბუთი გვიმონუმებს მანავში ჩერქეზიშვილთა მფლობელობას.

1774 წლით თარიღდება მსაჯულთა განაჩენი ქვლივიძებზე: „ამ ქვლივიძის სვიმონისა და გოგიას მამა ოთარ სანატრელის მეფის ვახტანგის მეფობაში კახეთს ჩამოსულა და კაკაბეთს დასახლებულა. მერმე ქართველთა და კახთა რომ ერთმანეთისათვის გლეხი დაუნებებიათ, რომელიც ქართლელი კაცი კახეთს სახლებულა ქართლში წამოუყვანიათ. ამ უამად ეს ქვლივიძე ოთარ ქართლში გადმოუყვანიათ. და ამ ოთარას მამა გოგია ქართლში არის დაბადებული. მერმე ოსმალობასა და არეულობას ისევ ოთარას შვილი სვიმონ და გოგია აყრილა, მისულა და მანავს ბატონის ყმად ხიზნად დამდგარა. კაკაბეთის პატრონი ეკლესიას ფერს ველარას შეუვა“ (სცსა, ფ. 1448, № 867). საგარეჯოელ აზნაურ ქვლივიძეებს, რომლებიც გადმოცემით ერეკლე II-ის დროს მოსულან კახეთში, როგორც ჩანს, წინ უსწრებდნენ სხვა ქვლივიძეები კაკაბეთში და შემდეგ მანავში.

1776 წლით დათარიღებულ საბუთში ფოცხვერაშვილი ლაზრე მღვდელი მეფე ერეკლესთან ჩივის: „წმინდა წინოს გავიზარდე და აქვე მღვდლათა ვარ – თქვენი ბრძანებით დიაკვნებს ვასწავლი. გიო და წინია ავალიშვილები არ მაყენებენ – 5 მინალთუნს მთხოვენო. მამაჩემი აიყარა, თავისი შვილებით მანავს წავიდა. მე ვერ წაველ – თქვენი ბრძანება მქონდაო. აქ მეც გამიში მანავში, ან ეს კაცი დამხსენითო“ (სცსა, ფ. 1448, № 241). აქაც, ისევე როგორც 1757 წლის საბუთში, ავალიშვილთა და ფოცხვერაშვილთა საბატონ-ყმო ურთიერთობაა, მანავთან დაკავშირებული.

1782 წლით არის დათარიღებული ერეკლე მეორის ბრძანება: „თუმანიშვილის სულხან მდივნის შვილს გოგიას... ბატონის პაპის ჩვენის ირაკლისაგან განაჩენი... პაპაშენს შიომ მდივანს ჩერქეზიშვილიბის სადაო მამულსა და მიჯაებზედ (ჰქონდა). ის წიგნი დავიბარეთ, უნდა გამოგვეგზავნო ის განაჩენიცა და თუ სხვა რამ კიდევ წიგნი ჰქონდეს რაიმ იმ მანავის მამულისა ას მიჯნებისა...“ (სცსა, ფ. 1448, № 436). მამასადამე, კახეთის აღწერის დავთარში მოხსენებული შიომ მდივანი თუმანიშვილი ყოფილა, რომელსაც ჰყოლია ყველაზე მეტი ყმა-გლეხი მანავში XVIII საუკ. პირველ მეოთხედში, მეფეზეც მეტი (მარტო ორი მეზვრე ჩანს) და ჩერქეზიშვილებზეც მეტი.

<sup>39</sup> ქართული სამართლის ძეგლები, წ. გვ. 461.

1796 წელს ერეკლე II სწერს ოთარ ამილახვარს, მისი სასარდლოს მემკვიდრე და ხიზანი, კომლზე კაცი შემოიყაროს, საგარეჯოს, ან მანავის ბოლოს, არჩილის სასახლესთან მეფესა და რუსებს შეხვდნენ. დაკლება არავისი იქნება არც თავადისაგან, არც აზნაურისა და მოხელისაგან, არც მემკვიდრისა და ხიზნისაგან (სცსა, ფ. 1448, № 249). სალაშქროდ გამზადებული მეფე ქართლის ლაშქარს იბარებს (უფრო სწორედ, საამილახვრის ლაშქარს) და შეხვედრის ადგილს უნიშნავს საგარეჯოს ან მანავის ბოლოს. ეს პირველი შემთხვევა არ არის. წყაროებში რამდენჯერმე იხსენიება შეხვედრის ადგილას საგარეჯო ან მანავი. ასე რომ, ამ ორ პუნქტს ეს მნიშვნელობაც ჰქონდათ. ესეც მათ გზასაყარზე მდებარეობას მიანიშნებს. თავის დროზე სწორედ ამ გზასაყარმაც ჰქონდათ. ესეც მათ გზასაყარზე მდებარეობას მიანიშნებს. თავის დროზე სწორედ ამ გზასაყარმაც დააწინაურა ეს პუნქტები.

პაპუნა ორბელიანი ასე იგონებს ლეკთა ერთ-ერთი შემოჭრის შემდეგ ვითარებას: „მაგრამ მეფე ერეკლემ... არ ინება მათი ეგრე წასვლა (ლეკის გარს დიდძალი საქონელი გაერეკა, თ. თ.) ...თვითონ მცირეს კაცით წაბრძანდა, წინ ჩაფარი გაგზავნა, კახნი კაის ჯარით, ზოგი საგარეჯოს, ზოგი მანავის ბოლოს შემოეყარნენ. გამოუდგა და შირაქის ბოლოს დაეწივა ქართა ლეკისათა.“<sup>40</sup>

მანავიდან ჩრდილოეთით რამდენიმე კილომეტრზე, მანავის მოკლე ხევი, მდებარეობს სოფელ შავქედის ნასოფლარი (მანავში დღეს ამ ტერიტორიას „ლაგირს“ უწოდებენ, რადგან აქ განლაგებულია პიონერთა ბანაკი და დასასვენებელი სახლის კორეჯები). ამ მოკლე ხევით ცივ-გომბორის ქედზე ასვლა ძნელია. მანავის ცივზე მოხვდები მხოლოდ ნასოფლარ ბურდიანისა და თარაგის გავლით. ეს გზა სალექოს მთას დასავლეთიდან ჩაუვლის და ისე ადის ქედზე.

შავქედის ტერიტორიაზე ცნობილი „საციო მარანი“ (ბანაკის სასადილოა), რომელიც მანავის მცვანის ცნობილი ღვინოს შესანახად გამოიყენებოდა. გასარკვევია ეს მარანი მეფისა იყო თუ რომელიმე აქაური თავადისა. მფლობელმა ჩერქეზიშვილებისა ჩანს, რადგან აქ ჯანაშდალ ჩერქეზიშვილის ყმებია.

ნასოფლარ შავქედში ორი ეკლესიაა: „კერპის საყდარი“ და „უსახელო საყდარი“.

„კერპის საყდარი“ მდებარეობს „ბანაკიდან“ 300 მ-ზე სამხრეთით. თითქმის მთლიანად დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ აფსიდა და მისი კონქი, დაახლ. 0,5 მ. სიმაღლეზე ჩრდილო კედელი.

<sup>40</sup> პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, თბილისი, 1981, გვ. 144.

სამხრეთისა და დასავლეთის კედლები მთლიანად მოსპობილია, ნაწილობრივ მონგრეულია სარკმელიც. ეკლესია ნაგებია რიყის ქვის დიდი ლოდებით, კედლის წყობა ჰორიზონტალურია, ალაგ-ალაგ ნახმარია შირიმიც. აფსიდა ნახევარწრიულია, სარკმელი გვიანდელია და ბრტყელი ქვით გამოყვანილი თალი აქვს. ეკლესიის ზომებია 7 X 5 მ. სიმაღლე – 4 მ. იგი სავარაუდოთ შუასაუკუნეების ძველი უნდა იყოს. ეკლესიის გარშემო შავქედის ნასოფლარია.

„უსახელო საყდარი“ მდებარეობს „ბანაკიდან“ სამხრეთით 50 მეტრზე. ნაგებია რიყის ქვის დიდი ლოდებით. ფასადებზე ნახმარია შირიმიც. შირიმისაა დასავლეთით კარი და აღმოსავლეთით სარკმელი. თალიც მთლიანად შირიმისაა. სარკმელი სწორგვერდაა. ეკლესია უაფსიდოა. სამხრეთისა და დასავლეთის კედლები ნაქილობრივ დანგრეულია. ეკლესია გვიანშუასაუკუნეებისა უნდა იყოს.

შავქედიდან ჩრდილოეთით, ცივის ძირში, მდებარეობს ეკლესია „წიწიხიდან“ (ვერ ვნახეთ).

შავქედის მოსახლეობა აღარ შემორჩა, ამიტომ ვერც ტოპონიმიკა ჩავინერეთ, ვერც მეურნეობის ვითარება.

შავქედის მოსახლეობა ფიქსირებულია კახეთის ხალხის აღწერის დავთარში XVIII საუკ. I მეოთხედისა: „ზემო შავქედს (ქანაშდაალის ყმა, თ. თ.): თევდორას შვილი გიორგი, მედინგის შვილი ბეჟუა, გურგენი მენიანია, ცხოვრებას შვილი, ახალკაცი გიორგი, მეკურტნის შვილი ბოგანო, გურამა თავფაშვიანის შვილი ბოგანო; გამდლის შვილი იორამ, ამის ყმა ხიზანას შვილი დათუნა, ნადირა მახარას შვილი, მჭედელი ვეფხვიას ობოლი.“<sup>41</sup>

რადგან ნახსენებია ზემო შავქედი, უნდა ყოფილიყო ქვემო შავქედიც. ასეთი კი არა ჩანს. შესაძლოა დაფუძვით ვარაუდი, რომ ზემო შავქედი იყო შემდეგდროინდელი თარაქი, ხოლო შავქედი ის, რომელსაც ბოლომდე (XVIII საუკ.) შემორჩა ეს სახელი. ამ ვარაუდს უნდა ამაგრებდეს, ჩვენი აზრით, ერთი გარემოება:

1447 წელს შედგენილ ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში შავქედი ნახსენებია, როგორც სვეტიცხოვლის მამულების საზღვრის ორიენტირი: „შავქედს ჩამოღმართ იორის პირს მუხანანი არს და მცხეთის გორა“.

1574 წელს ალექსანდრე (კახთა) მეფემ დაუმტკიცა სვეტიცხოველს ძველად შეწირული მიწა, რომლის გასწვრივ გარე-კახ-

<sup>41</sup> ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, ქ. I, თბილისი, 1967, გვ. 11.

ეთში მცხეთის ეკლესიის სამფლობელოების საზღვარი გადიოდა „მცხეთის გორაზე თარაქთ ბოლოს“.

თუ დავუკვირდებით აქ ერთიდაიგივე საზღვრის მონაკვეთზეა ლაპარაკი, რომლის ერთ-ერთი ბოლო ორივეგან მცხეთის გორაკია (სადღაც ივრის პირას), ხოლო მეორე ბოლოს (ცივ-გომბორის ქედის ძირში) ჯერ, XV საუკუნეში, შავქედია და საბუთში მასზე აქვთ ორიენტაცია „შავქედს ჩამოღმართ“; მერე კი, XVI საუკუნეში, თითქმის 130 წლის შემდეგ, შავქედისნაცვლად უკვე ორიენტირი თარაქია – „თარაქთ ბოლოს“. მაშასადამე, შავქედი თარაქმა შესცვალა, ზემო შავქედი გახდა თარაქი, ხოლო ქვემო შავქედი – შავქედი.

თარაქი მდებარეობს ცივ-გომბორის სამხრეთ კალთებზე, მანავიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით რამდენიმე კილომეტრზე, სალევოს მთის ძირში. აქედან გზა ადის მანავის ცივზე.

თარაქში ცხივრობდნენ შემდეგი გვარები: ზაქაიძე (6), გიგაური (2), აფციაური (4), გოგოლაური (3), წიკლაური (5), მარჩურიძე (3), კობაიძე (2), ბექაური (1), მიგრიაული (1). როგორც ვხედავთ სულ მთიულები არიან. ეს თარაქის მოსახლობის მთიდან ჩამოსახლებულობაზე მიუთითებს, რაც არ არის გასაკვირი, რადგან თარაქი ცხვრის გზაზე იდო. ადრე 30 კომლი ყოფილა, ახლა 14 კომლი თოხლიაურშია, დანარჩენი ზოგი მანავში, ზოგი ბურდიანში.

თარაქის ტოპონომიკა: მოსალოცი მუხა (სამხ. I კმ-ზე), უსახელო ეკლესია, კუნწიანი მუხა სოფლის ბოლოს), მის აღმოსავლეთით ტბა, იქვე ნასახლარები, ზარბაზნის გორი (აღმ-ით), კანტორის გორი (სახ.), ყვავის საყდრები (აღმ-ით). აქვე გამოქვაბულებიაო. საყდრის მიწები თარაქს ჰყოფდა შუაზე, ჩრდილოეთით იყო ხოდაბუნები და ხოდაბუნოს ხევი (წყლიანი), დასავლეთით თხილიან ვაკე (სახ.).

თარაქის მეურნეობა: მიწათმოქმედება უფრო მნიშვნელოვანი იყო (?), ვიდრე მესაქონლეობა. მოდიოდა ხორბალი (პოშოლა, დოლის პური, თავთუხი), სიმინდი, კართოფილი და ბოსტნეული. ხორბალი ჰექტარზე 4 ტონა მოდიოდაო, მოსავლიან წლებში. მიწები სულ ურწყავია. ვენახი არ იყო, რადგან მაღალზეა, თუმცა ხვნის დროს ბევრჯერ ქვევრები ამოუყრიათ. მესაქონლეობაში მეტი წილი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი იყო, ვიდრე ცხვარი. მთავარი იყო ხარ-ძროხა, კამეჩები მხოლოდ საჭაპანოდ ჰყავდათ. ცხვარი დაუდიოდათ ცივზე და გარშემო ტყეებში.

თარაქის ნასოფლარში შემდეგი ეკლესიებია: უსახელო საყდარი, დედალვთის მშობელი, თელეთი და ვედრებელა.



უსახელო საყდარი ნასოფლარის შუაში დგას. ნაგებია რიყის ქვის დიდი ლოდებით, წყობა მჭიდროა, ჰორიზონტალური. ალაგ-ალაგ ნახმარია, შირიმის ქვაც. აფსიდა ნალისებურია. სარკმელი გარედან ვიწრო, შიგნით განიერი. საკურთხევლის აფსიდაში 2 ნიშია, რომელთა თაღზე შირიმის ქვაა. კარი სამხრეთიდან აქვს. კედლის სისქე I მ., აფსიდასთან 2 მ. ეკლესიის ზომებია 7 X 5 მ. ეს ძეგლი ადრეშუასაუკუნეების მიწურულსა უნდა იყოს.

დედალვთის მშობელი ნაგებია რიყის ქვის დიდი ლოდებით. ემჩნევა შეკეთების კვალი წყობაში, სადაც არის რიყის ქვისა და აგურის მონაცვლეობა. კარი დასავლეთიდან ყოფილა, ახლა დანგრეულია. სარკმელი ორია – აღმოსავლეთით და დასავლეთით. სარკმლის ზედა ნაწილი აგურითაა გადაყვანილი. აფსიდა თითქმის კუთხოვანია. კედლის სისქე – I მ. ნახმარია დიდი ზომის ქვიშაქვის ლოდები. შესაძლოა აფსიდა მონიგრა და შემდეგ შეაკეთეს. ეკლესიის გარშემო მრავლადაა დიდი ზომის ლოდები, უნარწერო. შესაძლოა ეს საფლავის ქვები იყოს. ეკლესიის ზომებია 6 X 4 მ. ეს უნდა იყოს გვიანშუასაუკუნეების ძეგლი.

ნასოფლარის შუაში რამდენიმე საერო ნაგებობის ნაშთია, რიყის ქვებით ნაგები.

ნასოფლარიდან დაახლ. 1,5 კმ-ზე მდებარეობს ეკლესია თარაქის თელეთი. იგი დარბაზული ტიპისაა. აგებულია რიყის ქვით, ნახმარია აგურიც. კუთხეები შირიმითაა გამოყვანილი. წყობა არეულია. კარი დასავლეთიდან აქვს. სარკმელი ორია – აღმოსავლეთით და დასავლეთით. კარი და სარკმელები აგურითაა გამოყვანილი. ალბათ მერმინდელი შეკეთების კვალია. კარის თავზე ორ რიგად კუთხოვანი აგურის კარნიზია. საკურთხეველი შემალლებული – აფსიდის მარჯვენა მხარე ამკარად ნალისებურია, მარცხენა არა ჩანს. საკურთხევლის ქვა კედლიდან მოშორებულია. ესეც ადრეშუასაუკუნეების მოწურულის ძეგლია.

თარაქის ნასოფლარიდან დაახლ. 1,5 კმ-ზე მდებარეობს გუმბათიანი ეკლესია „ვრდრებელა“.

«Высоко в горах на отрогах Манавис-циви, спрятанное севернее крепости Манави, находится небольшое селение Тараки. От него, поднимаясь далее в гору, на расстоянии  $1\frac{1}{2}$ –2 км., на вершине, покрытой густым лесом, открывается небольшая поляна, на которой и стоит эта изящная, небольшая центрально-купольная церковь.

(შენიშვნა: Настоящая церковь введена в научный обиход проф. Л. Меликсет-Беком в 1920 г. (см. его статью в სახალხო საქმე от 14 сентября за № 927). Он сообщает, что селение Тараки населяют пшавцы, которые церковь называют ვედრებელა, принося жертву по

совершении службы раз в год при перегонке скота из Гаре-Кахети на Циви). Церковь слодена вся из кирпича. Только карнизы сделаны из тесанного камня, да по самому низу, над землей есть кое-где снаружи вставленные большие булыжники.

По плану церковь представляет собой простой крест с двумя прямоугольными рукавами на юг и север и двумя абсидиальными на восток и запад. В перекрестье рукавов поднимается круглый барабан купола о четырех окнах и с купольным сводом на парусах купол восьмигранный.

Эта небольшая изящная постройка, несомненно одной эпохи с большими храмами и башнями колоколен в Ахали Шуамта, Грემი и др. дает нам полное красочное представление о том, как должны были выглядеть фасады этих больших церквей с их декоративной игрой плоскостей и с грузными крестами - фасады, которые сейчас искажены побелкой и раскраской заглубленных крестов.

Л. Меликсет-Бек церковь Ведрбели датировал XVI веком.

В этой маленькой постройке нет элементов, которые бы позволили точно датировать ее.

(შენიშვნა: Единственный раз я повстречал упоминание селения в сигеллионе 1574 года, данном царем кахетинским Александром II Мцхетской католикоской кафедре с перечислением имени: გორაკი თარაქთ ბოლოსა (ს. კაკაბაძე, ისტ. დოკ., II, თბ., 1913, გვ. 51).

Но весь общий облик и приведенные детали художественных подходов говорят за данную эпоху и, как было уже сказано, за более яркую часть ее, т. е. относительно ранний XVI век.»<sup>42</sup>

ლ. მელიქსეთ-ბეგის ჩანაწერი ვედრებელასთვის შესაწირისა და წელიწადში ერთხელ ამ ეკლესიაში დღესასწაულის შესახებ ცხვრის გადარეკვის პერიოდში, კიდევ ერთხელ ადასტურებს აქ გამავალი გზის მნიშვნელობისა და რეალობის XVI საუკუნეშიც და XX საუკუნის დასაწყისშიც.

ჩვენმა ექსპედიციამ მანავის ცივთან მიაკვლია მეტად საინტერესო კომპლექტს, რუმელიც სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე არ იყო ცნობილი და ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს ამ ტრასის მნიშვნელობას. მომყავს ამონაწერი მალხაზ ფუტკარაძის დღიურიდან, რომელმაც მოიარა ეს ადგილები:

„თარაქის ვედრებელას დასავლეთით, მანავის ცივის ერთ-ერთ განშტოებაზე, მდებარეობს კომპლექსი „ქალის ციხეები“. ნაშენია რიყის ქვით. სერის ბოლო ნაწილში ციხის კედელი გრძელდებოდა

<sup>42</sup> Г. Чубинишвили, Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959, стр. 464.

დაახლ. 200 მეტრზე. შემორჩენილია მხოლოდ ორი კედელი. ერთი ჩრდილოეთის, მეორე მისგან 300 მეტრზე სამხრეთით. კედლის სისქე I - 1,5 მ. სათოფურები არ ეტყობა. კედლებს შუა პატარა ეკლესიაა, ისიც რიყის ქვით ნაგები, ზომები 6 X 4 მ. აფსიდა ნახევარწრიულია, სარკმელი გვიანდელი. სავარაუდოა (ასე ფიქრობდნენ გამყოლები შალვა აფციური და არჩილ ზაქაიძე ბურდიანიდან, თ. თ.) სერის ბოლოს კიდეც ერთი ეკლესია ყოფილიყო. იქ ვერ ჩავედი“. მალხაზ ფუტყარაძის გადაღებული ფოტოსურათებიდან ჩანს, რომ ე სარის გრანდიოზული ციხესიმაგრე, შესაძლოა გალავნითაც. მომავალ წელს შევეცდებით მის დაწვრილებით მოხილვას, ამჟამად კი მოვიტან ჩვენი ექსპედიციის მეორე წევრის ა. თოდრიას წინასწარულ ვარაუდს.

ხომ არ არის შესაძლებელი ეს დიდი კომპლექსი დავუკავშიროთ ჟამთააღმწერლის ტექსტის ბოლოში დართულ ჩანართ-შენიშვნას, რომელიც დაცულია XVIII საუკუნის ნუსხებში (ქალაშვილისეულ, მაჩაბლისეულ და ჯანაშვილისეულ). (ყაუხჩიშვილის დასკვნით ეს ჩანართი – შენიშვნა, რომლითაც მთავრდება საერთოდ ძველი ქართლის ცხოვრების ტექსტი, ეკუთვნის ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიას:

„ამის გიორგის მეფის ჟამში ჩინგიზ ყენთა მტერობა აღუჩნდათ და ნახდენ, და იმერეთს ნარინ დავითის შვილნიც ერთმანერთზედ აღდგენ, და რა დრო დაიცა მეფე გიორგიმ (ბრწენი ვაღემ, თ. თ.), ჰერ-კახთა და სომხეთის ერისთავნი, რომელნიც ჩინგიზი მიუდგეს, კახეთს ცივზედ მოაწვივა და ამოსწყვეტა, იმერნი და ამერნი გაიერთა და დაიპყრა ნებისაებრ ყოველი საქართველო.“<sup>43</sup>

მეფემ რომ ამოდენა წარჩინებულნი მიეწვია მთაში, იქ ან ციხე უნდა ჰქონოდა ან სასახლე. სხვაგვარად წარმოუდგენელია. აქ კი შესაძლებელია ერთიც დადასტურდეს და მეორეც. ცივ-გომბორის ქედის სხვა ცივებზე სასეთი კი რამდენიმეა) არც ციხის ნაშთი გვეგულება და არც სასახლისა. ჩვენს ვარაუდს, რომ მინცდამინც „ქართლის ცხოვრების“ ჩანართში მანავის ცივზეა ლაპარაკი, ამაგრებს ამ ამბის ვახუშტისეული გადმოცემა.

„მერმე მოიყვანნა ყოველნი ამის ქუეყანის ერისთავნი და წარჩინებულნი, რეცა დარბაზობად ცივსა ზედა ჰერეთისასა და მოსწყვდნა მუნ ურჩნი თვისისა მეფობისანი და დაადგინნა ყოველთა ადგილთა წარვლინებელნი ერისთავნი თვისნი მორჩილებისანი და დაიპყრა ამით უმეტეს ყოველნი.“<sup>44</sup>

<sup>43</sup> ჟამთააღმწერელი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 325.

<sup>44</sup> ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 256.

1574 წლით დათარიღებულ მამულების მფლობელობის განახლებისნიგნში ალექსანდრე II-ისა სვეტიცხოვლისადმი ნახსენებია „გორაკი თარაქთ ბოლოსა“, რაც, შესაძლებელია, გულისხმობს რამდენიმე თარაქის არსებობას ამ ადგილებში. ამ ვარაუდის დაშვება შესაძლებლად გვეჩვენება იმის გამოც, რომ ნასოფლარ თარაქში მ. ფუტკარაძე მიაკვლია რამდენიმე ეკლესიას და საერო ნაგებობათა ნაშთებს დაახლ. 700 მ<sup>2</sup> ფართობზე, ხოლო გამყოფლა თქმით, აქ ადრე იყო ნასოფლარი „თამარ მეფის ნატახტარი“.

როგორც ჩანს, „ქალის ციხეების“ კომპლექსი არა ერთხელ გამოიყენებოდა გვიანშუასაუკუნეებშიც. ამას უნდა ადასტურებდეს წყაროებში არა ერთხელ ნახმარი ტერმინი „მანავის თავი“, მაგალითად: „ნაბრძანდა მეფე ერეკლე კახეთს, დახვდნენ ლეკნი მანავის თავში, ძლიერებითა ღმრთისათა გაემარჯვა მეფე ერეკლეს და ამოწყვიტეს ლეკნი.“<sup>45</sup>

სოფელი ბურდიანი დღეს მანავსაა შეერთებული, ადრე კი ცალკე სოფელი ყოფილა, რაც კარგად ჩანს ისტორიული წყაროებიდან. ბურდიანის ნასოფლარი დღევანდელი სოფლის ჩრდილოეთითაა 1,5 კმ-ზე, მანავის ხევისა და ჩაილურის წყლის დიდი ხევის წყალგამყოფი ქედის სამხრეთით ჩამოსულ დაბოლოების ფერდზე. აქედან გზა ადის ცივ-გომბორის ქედზე. ეს გზა დასავლეთიდან ჩაუვლის სალექოს მთას და ადის მანავის ცივის მიდამოებში. აქვე ავლნიშნავთ, რომ სალექოს მთის მიდამოებში არის ბრინჯაოს ხანის სამაროვანი.

ბურდიანის გვარები: ქუმსიშვილი, ტაბატაძე, დევდარაძე, ხმიადაშვილი, დავდგირაძე, კაციაშვილი, ჩიტიძე, ვარდიაშვილი, ბაქარაშვილი, გულიაშვილი. ყურადღებას იქცევს დასავლური გვარების აღმოსავლური გაფორმება: დევდარიანი – დევდარაძე, თავდგირაძე – დავდგირაძე. ადრე ბურდიანში 300 კომლი ყოფილა, ახლა 10 კომლიაა.

ბურდიანის ტოპონიმის კვა: სომხიანი (ნას.), ბატონიანთ კაკლები (სახ.-სათ.), სათავე (წყ.), სალექი წვერის ნასოფლარი, მარნის მიწები, თერკემალი (სახ.-სამ.), გლახონთ ქალა (სახ. და ნასოფ.) ეს მანავის მიჯნაა, გორხანა (სახ.-სათ.) ეხლა აქაა ჩამოსული სოფელი, ბაიანთ წარაფი (სახ.), ჭინჭრიან ხევი, ბიჭიყლაპია (გორა), გარდიგარდმო (სახ.), ბოგირი (რომლის შემდეგ სომხიანია), გრძელ ველი (ჩრდ.-აღმ.). ტყეები: მრგვალ ველი, დიაკვნის ველი, საარჯაკლე დიდ და პატარა, ნაბლარი, ჩალიან

<sup>45</sup> პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, თბილისი, 1981, გვ. 182.

ველი, მგლის საბულრაო, ნიგვზობი, პანტიანი, სათიბი (თარაქის სამხ.-აღმ.-ით).

ბურდიანის მეურნეობა: მიწათმოქმედება ძირითადად ურწყავზე. მოჰყავდათ ხორბალი (სულიგო (ახალი), თავთუხი, უფრო (პოშოლა), დოლის პური), სიმინდი (ჩიქელა სიმინდი, სარწყავი სიმინდი, დოლის სიმინდი – არ ორწყება), ლობიო. მევენახეობაც იყო შიგა და შიგ. მესაქონლეობა: კამეჩი, ხარ-ძროხა, ცხვარი, ღორი. საზაფხულო საძოვრები: მანავის ცივი, ლეკის მთა, თრიალეთი.

მატერიალური კულტურის ძეგლები: მთავარანგელოზი, წმ. გიორგი (იგივე თელეთი), ღვთისმშობელი, კიდე ღვთისმშობელი, დანგრეული საყდარი (სომხიანში), კერპის საყდარი; ძველი სასაფლაოები ბურდიანის სათავესთან და სალუკის წვერის ბრინჯაოს ხანის სამაროვანი.

მთავარანგელოზი დგას სოფლის თავში. ნაგებია თირის ქვის დიდი ლოდებით. აფსიდა ნახევარწრიული აქვს, სარკმელი აღმოსავლეთით შიგნით განიერი, გარეთ ვიწრო. წყობაში ნახმარია შირიმის ქვაც. ალაგ-ალაგ შეუღესია აქაურს მკითხავს. აგების პერიოდი გაურკვეველია.

ბურდიანის წმ. გიორგი იგივე თელეთიც სოფლის თავშია, მთავარანგელოზიდან დაახლ. 2 კმ-ზე. არაფრის გარკვევა არ შეიძლება, რადგან „შეკეთებულია“ ცემენტით და აგურით. გამყოლთა თქმით აგებულია რიყის ქვით და კრამიტით იყო გადახურებული. უაფსიდო ეკლესიაა.

ღვთისმშობელი იქვე თელეთთან, ერთ ეზოში, დაახლ. 20 მეტრზე. ისეთივე დღეშია, როგორც თელეთი.

მეორე ღვთისმშობელი მტლიანად დანგრეულია, საძირკვლის კვალიცაა შეიმჩნევა. გვიან, კრამიტით ნიში აუგიათ. ეკლესიის გარშემო სასაფლაოა, მაგრამ მათზე წარწერები არ გაირჩევა.

სომხიანის დანგრეული საყდარი, ჩაილურის ხევის მარჯვენა მხარეს, მაღალ, ტყიან სერზე ნასოფლარშია, რომელსაც სომხიანს უწოდებენ. ეკლესია მიწასთან არის გასწორებული. ქვები მოსახლობას გაუზიდა ეკლესიიდანაც და ნასოფლარიდანაც. გამყოლთა თქმით, ამ სოფელს სავარგულები დღევანდელი ჩაილურისკენ (დიდი ჩაილური) უნდა ჰქონოდა. აქედან მანავის ცივამდე 6 კმ-ია. ჩაილური იჩემებს.

ბურდიანი ძველი მოსახლეობა აღწერილია კახეთის ხალხის აღწერის XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის დავთარში: „ბურდიანში ამისივე ყმა (გაუგებარია ვისი, ჯანაშდალის თუ გამდლისშვილის): ბუჟან ქემსა, ბაიას შვილი, ქიტია, კაციას შვეკუ

ადოდი, მისი განაყოფი ხუცია, ტაბატაძე, თავქანდარას შვილი ბერი, წვერიკმაზაშვილი, ბრაჭული მარცვალა ამონყვეტილი, ბრაჭულის ობოლი, დარჩიას შვილი თამაზა, ჯავშანას შვილი გზირი, სარუმბეკი.<sup>46</sup> ამათგან დღევანდელ სოფელს შემორჩა: ქემსიშვილი, კაციაშვილი, ტაბატაძე.

ბურდიანი არც წყაროებში და არც დოკუმენტებში არსად არ იხსენიება. შესაძლოა ესეც ერთ-ერთი თარაქია, რადგან მის გზაზეა. მანძილი მათ შორის სულ 2 კმ-ია.

ჩაილურის ხევი ამ ქვეყნის ყველაზე დიდი წყალია. იგი კალაპოტით ფართოა და ღრმადაც იჭრება ცივ-გომბორის ქედის გაშტოებებში მანავის ცივსა და დასტანის მთას შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ცივ-გომბორის ქედის ამ მიდამოებიდან სათავეს იღებს რამდენიმე დიდი ხევი: ჩრდილო ფერდზე – კისის ხეზე და ქერმის ხევი, ხოლო სამხრეთ გერდზე – ჩაილურის ხევი.

ჩაილურის ხევის ორივე ნაპირზე განლაგებულია სოფელი ჩაილური, რომელიც ადრე ერთიანი ყოფილა, ამჟამად კი ორ სოფლად ითვლება: დიდი ჩაილური – ხევის მარჯვენა, დასავლეთ მხარეს და პატარა ჩაილური – ხევის მარცხენა, აღმოსავლეთ მხარეს. მათ აერთიანებს ჩაილურის სასოფლო საბჭო.

ჩაილურს დასავლეთით ბურდიანი ემიჯნებოდა, აღმოსავლეთით – კაკაბეთი.

ძველად დიდი ჩაილური 200 კომლამდე ითვლიდა, პატარა ჩაილური კი – 150 კომლამდე. დღეს ჩაილურში ცხოვრობს 778 კომლი 2215 მცხოვრებით, რომელთაგან 70 სხვადასხვა გვარი, მათ შორის 2195 ქართველია, 12 სომეხი და 6 რუსი (ცნობა მოგვანოდა საბჭოს თავმჯდომარემ).

ჩაილურის ძირითადი გვარები იყო: დიდ ჩაილურში – საგინაშვილი, ლოლაძე, ქევიშივილი, როსტიაშვილი, მალასიძე, მემარნიშვილი, კირაკოზაშვილი, გზირიშვილი; პატარა ჩაილურში – ასანნიშვილი, გორელაშვილი, როსტიაშვილი, ყავრიშვილი, კაპანაძე.

საგინაშვილებო მცხეთიდან მოსულად თვლიან თავს, ქევიშივილები – შიდა კახეთიდან, მემარნიშვილები ზემო იმერეთიდან (სოფ. სიქთარვა)?

ჩაილური ჩერქეზიშვილების სათავადო სოფელი იყო, რომლებიც თოხლიაური ჩერქეზიშვილების განაყოფნი იყვნენ.

ჩაილურის ტოპონიმიკა! დასტაფე (ველი), სამხევი (ტყე), სატეხევი (ტყე), ველი, ლურჯი კლდე, წვრილი ველები (ტყე), გუ-

<sup>46</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, თბილისი, 1967, გვ. 13.

ლიანთ ახო, ბესოს ახო, ჩაილურები, კვრინჩხიანი (ტყე), საფლავის ვაკეები, ლორლიანი, ქეჩახი (ტყე), კოპალე (ქედი), დვრინის ხევი, კვრინჩხიანის ხევი, ლურჯი კლდის ხევი, სატეხევის ხევი, ლაფიანის ხევი, სომხიანი (ნას.), სომრიანის ქედი, საკირის ხევი, მიყვლიანის აღმართი, ცოდინის ხევი, სომხიანის ხევი, ვაკე ტყე, ტეტულაანთ მიწები, თუთუბიანი (სახ.), თულიანი ტყე (წყ.), ელა გორა, გურგვა ველი, ჭყანტობი, ნადიკარი, კოდები (სახ.), აბრამაანთ მიწები, გზირიანთ მიწები, ჩერქეზოს მიწები, ლაბაძიანთ მიწები, ხაიდაბუნები, სასაფლაოს გორა, ქართლის გორა, ნონოლა გორა, ლამების მიწები, ხშირ გაგების მიწები, ნადელები, ვეფხვის მიწები, კაკლის მიწები, პატარა ლაპრის მიწები, დიდი ლაპრის მიწები (ლაპრი მუხაა), მასურაანთ ფარეხები, პატარა ციხე (ვენახები), დიდი ციხე (ვენახები), ფოლიანთ ვენახები (ჩერქეზიშვილებისა), ადამიანთა კაკლები (ჩერქეზიშვილებისა), დარიანთ ვენახები (ასევე), ჩერქეზიანთ ვენახები (ასევე), იოსებთან ვენახები (ასევე).

ჩაილურის მეურნეობა შერეული ხასიათისა იყო: მიწათმოქმედებასაც და მესაქონლეობაც. მიწათმოქმედებაში მთავარი იყო მარცვლეული: ხორბალი, ქერი, მიწები ურწყავი იყო, ირწყვებოდა მხოლოდ ჩაილურის ხევის წყლით. ვენახები ცოტა ჰქონდათ, უმეტესად თავადებს, სოფელმა მერე და მერე მოაშენა. მესაქონლეობაში მსხვილფეხა იყო და ცხვარიც იშვიათ კომლს ჰყავდა, მაგრამ თუ ჰყავდა ბევრი დაუდიოდა, ძირითადად თრიალეთ-ჯავახეთში. საქონელი ყველას ჰყავდა.

სახელდახელო სავაჭრო ბაზარი (იარმუკა) ყანდაურაში იყო, დიდი ბაზარი კი თბილისში.

ჩაილურის მატერიალური კულტურის ძეგლები: ტეტულაანთ მიწების საყდარი, კვირაცხოველი, ღვთისმშობელი (დიდ ჩაილურში); კოპალე, წმ.მარინე, ბობო ქარი, ყავრიანთ ეკლესია, დიდ სერ უკან ეკლესია, წმ. გიორგი (პატარა ჩაილურში); ჩაილურის (დიდი) ციხე, ჩაილურის (პატარა) ცირე – ბოლოებზე.

ადგილი ტეტულაანთ მიწებში (ტეტულაანთ ტაბატაძეები არიან, ცხოვრობდნენ ბურდიანში) იდგა ეკლესია, ამჟამად მიწასთან გასწორებული. ჩვენს მეგზურებს (გიორგი ალექსანდრეს ძე მემარნიშვილი, 70 წლის და გიორგი სოლომონის ძე მალასციძე, 64 წლის) ახსოვთ აქ ეკლესიის კედლები 2 მ. სიმაღლემდე. იგი პატარა ზომისა ყოფილა, დაახლ. 4 მ. სიგრძისა. ეკლესიის სახელი სოფელს არ ახსოვს, არც დღეობა იცოდნენ. მეგზურთა ვარაუდით, შესაძლოა ადრე ეკლესია ბურდიანისა იყო, რადგან ეს მიწები ჩაილურისა გვიან გახდაო. ტეტულაანთ მიწები ჩაილურის ხევის დასავლეთითაა.

კვირაცხოველი: ჩაილურის ხევის მარჯვენა ნაპირზე, სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1 კმ-ზე, არის ჯაგიანი სერი, სადაც კვირაცხოველის ეკლესია მდგარა. აღარც ე სარის, ძველი სასაფლაო კი ჩანს. ერთ-ერთი საფლავის ქვის წარწერა, ასანიშვილისა 1891 წლისაა.

ღვთისმშობელი დგას სოფლის შუაგულში. ესაა დიდი ზომის ეკლესია. ნაგებია რიყის ქვით. შერჩენილია მხოლოდ ჩრდილო და აღმოსავლეთი კედლები. დიდი და განიერი აფსიდა აქვს. წყობაში ზოგან ნახმარია აგურიც. ეკლესია გვიანშუასაუკუნეების მიწურულისა უნდა იყოს, საფლავის ქვები XIX საუკუნისააც არის და შესაძლოა უფრო ადრეულიც.

წმ. გიორგი: „ძველი ჩაილურის“ ნასოფლარში (მის გვერდით გაშლილ ახოებს „ძველი ჩაილურის ახოები ეწოდება), ადგილ „წმ. გიორგის ველში“, ტყიან ფერდზე, დიდი ნასოფლარის ცენტრში დგას სოფლის პატარა საყდარი. მისი ზომებია: სიგრძე - 6 მ., სიგანე - 4 მ. ნაგებია ფლეთილი ქვით. აფსიდა ნახევარწრიული აქვს. ლარი დასავლეთიდანაა. სარკმელი ერთი ჩანს - აღმოსავლეთისა ეკლესია დანგრეულია, შერჩენილია მხოლოდ აღმ. აფსიდის კედელი დად ას. კარის ჩრდილო ნაწილი. შესაძლოა ეს იყოს შუასაუკუნეების სოფლის რიგითი საყდარი. გადმოცემით აქ ადრე სოფელი ჩაილური ყოფილა.

კოპალე: ჩაილურის ხევის მარცხენა მხარეს, სოფლიდან 4 კმ - ზე ჩრდილოეთით, მაღალ, ტყიან სერზე დგას სამი ეკლესია: კოპალე, წმ. მარინე და უსახელო (დანგრეულია) ეკლესია. შესაძლოა აქ მონასტერიც კი იყო. ან ეს ეკლესიები სხვადასხვა დროისაა და მათი მაინცდამაინც აქ აგერა განაპირობა ჭერმის გზამ, რომელიც კოპალეს ქედით გადადის ჭერმის ხევეში.

კოპალე ანუ წმ. გიორგი ნაგებია მოზრდილი, ფლეთილი ქვის კვადრებით. წყობა კარგია, ჰორიზონტალური რიგებით. ეკლესიის ზომებია: სიგრძე - 7 მ., სიგანე - 3,5 მ. სიმაღლე არ ჩანს, აკლია. ესაა გრძელი და ვიწრო ნაგებობა. შესაძლოა ეს გამონვეული იყოს რელიეფით, რადგან ნორმალური პროპორციებით აგებულ ეკლესიას აქ გარს ვერ შემოუვლიდნენ, ისეთი ვიწრო ქედია, ეხლაც სულ 1 მეტრია ციცაბომდე. ოდნავ უფრო ნაპირისკენ განეული კედელიც კი ვერ გაუძლებდა, ფერდს ჩაიტანდა. აფსიდა ნალისებურია, აღმოსავლეთის სარკმელი შიგნით განიერი, გარეთ ვიწრო - კიდევ ერთი სარკმელია სამხრეთიდან. ჩრდილოეთის კედელი ყრუა. კარი დასავლეთიდან აქვს. შესაძლოა ეს იყოს ადრეშუასაუკუნეების მიწურულის ეკლესია, ასე IX-X საუკუნეებისა.

კოპალედან აღმოსავლეთით 15 მეტრზე არის ძველი ეკლესიის ნანგრევი. შერჩენილია მხოლოდ ორი დიდი ლოდი 1 მ. სიგანისა



და 2 მ. სიგრძისა, აგრეთვე საკურთხევლის ქვა. ზომით პატარა უნდა ყოფილიყო. აგების დრო, რათქმაუნდა, გაურკვეველია.

წმ. მიანეს მესამე ეკლესიაა ამ კომპლექსში. იგი დგას კოპალედან დასავლეთით 100 მეტრში, ჩაილურის ხევის თავზე გადამდგარ ბექობზე. ე სარის უაფსიდო, პატარა ეკლესია, რომელსაც ორიენტაცია დარღვეული აქვს: მიმართულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ- აღმოსავლეთისაკენ ე.ი. საკურთხეველი აღმოსავლეთის ნაცვლად სამხრეთ-აღმოსავლეთით აქვს. კარი სამხრეთიდანაა. ნაგებია რიყის ქვით. ეკლესიის ზომებია: სიგრძე – 3,5 მ. , სიმაღლე – 2, . იგი გვიანიშუასაუკუნეებისა უნდა იყოს.

მაშასადამე, სხვადასხვა პერიოდის ძეგლებია, რაც მიუთითებს ადგილის მნიშვნელობაზე. კოპალეს ქედს სამხეთით ჩაილურის ხევს უერთდება დრვინის ხევი, ხოლო ჩრდილოეთით კვრინჩხის ხევი ანუ ქეჩახის ხევი. ორივე ეს ხევი ჩაილურის წყლის მარცხენა შენაკადია. მაშასადამე კოპალეს ქედი გადაჭიმულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ამ ქედით მოკლე გზა ადის ჭერემში, რომელიც სულ 5-6 კმ-ია. (ეს გზა ჩვენ სულ 2 საათში გადმოვიარეთ ჭერემიდან: ჭერმის ხევის გამოსასვლელი (ჭერმის ციხის მიდამოებიდან) - ქეჩახის მხარე –ქეჩახი - მაჩხაანთ ახო – საფლავის ვაკე – კვრინჩხიანი – სალორის ხევი – ჩაილურის ხევი. ფაქტიურად ჩვენ კოპალეს ავცდით ოდნავ ჩრდილოეთით და ჩამოვყვეით ქეჩახოს ხევს და არა კოპალეს ქედს. კიპალეს გზაკი უფრო მოკლე ყოფილა.

კოპალეზე ჩაილურის ხევიდან დაკიდული ბილიკი ადის. ამით ერთბაშად იღებ სიმაღლეს და შემდეგ ნაკლები აღმართებია, ვიდრე ქეჩახის ხევიდან. გზა ქერებში გადადის ორ მაღალ მთას შორის, რომლებიც მთავარ, წყალგამყოფ ქედზე მდებარეობენ და აღნიშნული არიან ხუთვერსიან რუკაზე: ჩრდილოეთითაა მთა ქვახვრელი, სამხრეთით კი მთა ყარასწვერი. გელდამ ჭერები და ჩაილური დაახლ. თანაბარ მანძილზე არიან დაშორებული, შესაძლოა ჭერები ოდნავ ახლოს იყოს, სულ 1 კმ-ით. ეს იყო უმოკლესი გზა ივრის ხეობიდან (ჩაილურის ხევით) ალაზნის ველზე (ჭერმის ხევით) გადასასვლელად. ჩაილურის ხევი ივრის მარცხენა შენაკადებს შორის ყველაზე გრძელია, იგი ღრმად შედის ცივ-გომბორის ქედის განშტოებებში და დასავლეთიდან უშუალოდ ემეზობლება ჭერმის ხევის სათავეს. უკვე ქვევით, სოფელ ჩაილურის გავლის შემდეგ, იგი მკვეთრად უხვევს დასავლეთით, იცვლის მიმართულებას (აქამდე ჩრდილოეთიდან სამხრეთით მიედინებოდა) და მიემართება უკვე მანავის ბოლოებზე, მის მიწებში, სადაც იგი ამჟამად კალაპოტშია მოქცეული და სარწყავად გამოიყენება.

ჭერემ-ჩაილურის მოკლე გზამ მშვენივრად ახსნა ჩაილურის ციხის ფუნქცია. იგი აუგიათ ორი გზის საყარში: ერთია გარეკახეთის მთავარი მაგისტრალი, რომელიც მისი სოფლების გავლით (დღ. გზატკეცილი საგარეჯო-კაჭრეთი) ქართლსა და კახეთს აკავშირებდა, მეორე კი გარე კახეთიდან ჭერემში გადასასვლელი მოკლე გზა. აქედან გასაგებია ხალხური თქმის „ჩაილურის წყალი დალიაო“ მნიშვნელობაც. იგი გულისხმობდა იმ დაკარგულ საქონელსა თუ სხვა რამ გატაცებულს, რომელიც ჩაილურის ხევის აყოლებით ჭერემის მოკლე გზას შეუყოლეს ლეკებმა თუ სხვამ (აქამდე გაუგებარი იყო ჩვენთვის „ჩაილურის წყლის დაღევა“ რომელ მხარეს წასვლას გულისხმობდა, დასავლეთიდან აღმოსავლეთით, თუ პირიქით. თუ დასავლეთიდან აღმოსავლეთით, როგორც ჩვეულებრივ ესმით, მაშინ რატომღა იყო უიმედო დევნა, სად დაეკარგებოდა მდევარს გამტაცებელი, აქაც ხომ ისევ გაშლილი ადგილებია, ვიდრე ლეკის მთამდე. ჩაილურის ხევის აყოლება და ჩაილურისა თუ ჭერემის ხევის ტყეებში თუ ხეებში შემალვა კი მართლაც უიმედოს ხდიდა დევნას, რადგან აქედან გამტაცებელს მრავალი გზის არჩევის საშუალება ჰქონდამ რაც მდევარს საქმეს ურთულებდა). ჩაილურის კოპალე ამ გზის სიძველის ერთ-ერთი მატერიალური საბუთია.

ბობოქარი დგას სოფლის ჩრდილო განაპირას, ჩაილურის ხევის მარცხენა ნაპირზე. ამიდან გზა ჩადის ხევში. ეკლესია ახალი შეკეთებულია. კარი სამხრეთიდან აქვს, რომლის გვერდები დიდი, მოჩუქურთმებული ქვებით არის ამოყვანილი. კიდევ ერთი კარი ყოფილა დასავლეთიდან, ეხლა ამოქოლილია. აფსიდა ნახევარწრიულია. ეკლესია ნაგებია რიყის ქვით. შეკეთების ადგილები აგურითაა ამოყვანილი ლარისა და სარკმლის თავზე ფვრებია. თალიც აგურისაა. ეკლესიის ზომებია: სიგრძე-7 მ. , სიგანე 5 მ. ეკლესია გვიანიშუასაუკუნეებისა უნდა იყოს. მას ირგვლივ ძველი სასაფლაოა.

დიდ სერი: სოფლის ჩრდილო განაპირას ამართულია დიდი, ჯაგანი სერი. მის წვერზე ეკლესიის ნანგრევია გაურკვეველი ნანისა.

ყავრიანთ ეკლესია: სოფლის სამხრეთ-დასავლეთ განაპირას, ჩაილურის ხევის მარცხენა ნაპირზე დგას მომცრო ეკლესიის ნანგრევი. იგი რიყის ქვით ყოფილა ნაგები. შერჩენილია მხოლოდ საკურთხევლის ქვა და კედლის დაბალი ნაშთები. მისი დროც გაურკვეველია. ამ ადგილს ყავრიანთ გორას ეძახიან.

ჩაილურის ციხე საკმაოდ მოზრდილ, მაგრამ დაბალ გორაკზე დგას. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის

კ. ფიცხელაურის აზრით, ჩაილურის ციხე ბრინჯაოს ხანის საცხოვრებელ გორაზე უნდა იდგეს. ამ გორაკის მოგრძო ზედაპირი გადაუსწორებიათ და მთელ მის ფართობზე ხუთგვერდა ციხე აუგიათ. ოდესღაც დიდი და ძლიერი ციხიდან მხოლოდ გალავნის და კოშკების ნაშუბია დარჩენილი. 900-იან წლებში ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებს ციხე უნგრევიათ და მისი ქვებით სახლები უშენებიათ. ამისი საჭიროება სრულიადაც არ იყო (თავი რომ გავანებოთ ისტორიული ძეგლის განადგურებას), რადგან ჩაილურის ხევის რიყე არა მარტო გარე კახეთის, არამედ ქიზიყის სოფლებისათვისაც კი სამშენებლო ქვის მოპოვების ძირითადი წყარო იყო ჯერ კიდევ უახლოეს ხანებში. იორ-მულანლოს ხუთივე სოფელი ჩაილურის ხევის რიყის ქვითაა აგებული, გადმოგვცემენ ადგილობრივნი. თვალის ერთი გადავლებითაც კარგად შეიმჩნევა, რომ ამჟამად ჩაილურის ხევის რიყის ფართო კალაპოტი პირწმინდათაა მიწმენდილი მშენებლობისათვის გამოსადეგი ზომის ქვებისგან. სხვათაშორის, ჩაილურის ხევის გარდა, კახეთში ცნობილი იყო ამ დანიშნულების კიდევ სამი ხევი: გომბორისა, ჭერმისა და კისისხევისა. ახლა კი ჩაილურის ციხის ასაგებად რიყის ქვას გომბორის ხევიდან ეზიდებიან, რადგან მიმდინარეობს ჩაილურის ციხის მთლიანი განახლება. მის გალავნსა და კოშკებს ფაქტიურად თავიდან აგებენ. აქ სურთ ნიახურის ბრძოლის იუბილის გადახდა, რაც შეცდომაა.

ციხის ოთახ კუთხეში ცილინდრული კოშკები იყო აღმართული, მეხუთე კუთხეზე კი კონტრფორსი ყოფილა მიდგმული – ეს კოშკები ციხის შიგნითაა მხრიდან სწორკედლიანია, გარედან კი ნახევარწრიული. ყველაზე დიდი იყო ჩრდილო-დასავლეთის კოშკი, შერჩენილია მისი სამი სართული, რომელშიც სათოფეებია განლაგებული და ორი ბუხარი. სამხრეთ-დასავლეთის კოშკიც სამსართულიანი უნდა ყოფილიყო, შემორჩენილია მისი მხოლოდ აღმოსავლეთის კედელი. ყველაზე უკეთაა შემონახული სამხრეთის კედლის ცენტრში მდგარი კოშკი. სამსართულიანი უნდა ყოფილიყო ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკიც.

ციხის გალავანი ისეა დანგრეული, რომ მისი სახის წარმოდგენა შეუძლებელია, თუ არ მოვიშველიებთ ანალოგიებს კახეთის სხვა ციხეების გვიანი გალავნებიდან (თელავი, ალავერდი, ლალისყური, შილდა, ყვარელი, გავაზი და სხვა.) პ. ზაქარიას აზრით, გალავნის სიმაღლე არანაკლები 50ნ მეტრისა იყო. ყველა კედელი ნაგებია რიყის ქვით. დამატარილებელი ნიშნები ისედაც დანგრეულ ციხეს არა აქვს. პ. ზაქარიას აზრით, ზოგადი ნიშნებით იგი XVII საუკუნის მეორე ნახევრისა და მომდევნო პერიოდის

ძეგლებისაგან იხრება. ეს ნიშნებია, პირველ ყოვლისა, შედარებით ადვილად მისადგომი ადგილის შერჩევა, კოშკების ცილინდრული ფორმა, ცალმაგი და ორმაგი სათოფეების ბლომად გამოიყენება, ხშირად დახრილი სათოფეებისადმი მიმართვა და სხვ.<sup>447</sup>

ჩაილურის დიდი ციხის სამხრეთით 2 კმ-ზე, გაშლილ ველზე დგას კოშკური სახლი, რომელსაც ჩაილურის პატარა ციხეს უწოდებენ. მისი ზომები იყო: სიგრძე-15 მ., სიგანე-12 მ. შემორჩენილია ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლების ნაწილი მათი შემართებული კუთხით. ნაგებია რიყის ქვით, აქა-იქ აგურიცაა ნახმარი. კედლის სიგრძე 1,30 მეტრია. ამ კოშკური სახლის ანალოგიები არ არის, ზოგადად კი ისიც XVII საუკუნისა ჩანს. ჩვენი აზრით, იგი ჩაილური თავადების ჩერქეზიშვილების ერთ-ერთი ოჯახისა უნდა იყოს.

კახეთის ხალხის აღწერის XVIII საუკ. პირველი მეოთხედის დავთარში ჩაილურის მცხოვრებთა მოზრდილი სიაა: „ჩაილურში ამისივე (ჯანაშადალ ჩერქეზიშვილის) ყმა: ქეხმა ივანე, იორდანეს შვილი გივი, გონიტას შვილი დათუნა, ნუქას შვილი ენუქა, კაცია ამონყვეტილი, ლაბარას შვილი ხუცესი ივანე, ჭიხრიკის შვილი ენუქა, ასანის შვილი გოგია, მისი ძმა ბერია გზირი, კახი კომლი, ამის განაყოფი ოთარა, დავიტ მღვდელი ქემხის განაყოფი, ვარძელას შვილი დათუნა, ჯოღბოდი, ახალკაცი ბახუტა, ბერუას შვილი თევდორე, ასანის შვილი პატარი, ლიდემ ასანის შვილი პატა, რამაზ ლაბაძის ობოლი, ბეჟიტა ვარძელას შვილი, ქარტისელი გოდერძი, იასე ფარეში, ვარძელას შვილი ცოტა, დიდო ბოგანო, კორაკოზას შვილი ჟანგირა ბოგანი, აზაზა ამის განაყოფი ბოგანო, ლარიბა ქარტისელი ბოგანო, ჩუბინიძე, ბაისაშვილი ბერია, ქარტისელი ბერი, ერალიდი, მეზვრე ბუზალაძე, კვეზერელი, ზარიძე თამაზა მეზვრე, შიუკა ვარძელას შვილი ბოგანო, იმერელი პატა ბოგანო, ბებრის შვილი ბერი, ასლამაზ კირაკოზას შვილი ამონყვეტილი; სალთხუცესი ალა აზნაურშვილი, ამის ყმა ოსიყმე ბოგანო, სუხიას შვილი ივანე; ყაზასა აზნაურშვილი, ამის ყმა ბინდია ბერუკა, ფინალას შვილი; ყავრისშვილი აზნაურიშვილი, ჯიმშერა, სულეიმანას შვილი, ვივარის შვილი მლთისია ბოგანო, ხუცის შვილი ობოლი; ყავრისშვილი აზნაურიშვილი, ლომაური, ხათუნას შვილი ნასყიდა ბოგანო, როხუას შვილი ბოგანო, ლომიტა, ირემაშვილი ბერი ბოგანო ამონყვეტილი.“<sup>448</sup>

<sup>47</sup> პ. ზაქარაია, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბილისი, 1962, გვ. 54.

<sup>48</sup> ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ. I, თბილისი, 1967, გვ. 13.

აქ ნახსენები გვარებიდან დღევანდელ ჩაილურში გვხვდება: ასანისშვილი, ლოლაძე, კირაკოზაშვილი, ყავრიშვილი. ეს უკანასკნელი აქაური აზნაურებია.

კაკაბეთი ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელია მთელ ამ მხარეში. იგი უბნებად იყოფა, რომელთა სახელი იქ მცხოვრები ძირითადი გვარის მიხედვითაა, გარდა უკიდურესი აღმოსავლეთ განაპირა უბნისა ვერხვიანისა, ქვემო ყანდაურისკენ.

უბნები: ვერხვიანი, კუპატაძიანი, ოქრომჭედლიანი, ჭიკაძიანი, პავლიანი, მჭედლიანი, გულაღაანი, მასურიანი, მალაღაანი, ღვინიანი, ექვთიმიანი, ოთიაანი, ჯილაურიანი, მარგებაძიანი, თამაზაანი, დურგლიანი, ბაქრაძიანთი.

კაკაბეთის ტოპონიმის კავთა (ტყე), დიდველები (ტყე), მაყალოს ველი (ტყე), დვინის ხევი, ყლარყოტი (სერი), ავაზნის წყალი, ავაზნის გორა (საძ.), ხოლაბუნები (სახ.), ნაწყლობი (სახ.), საბადური (სასაფ.), ტახტი მუხა (სასაფ.), მლაშის ხეობა, ციხის მიწები, ბასას ახო (ტყე), კაკანას სერი (გზა).

კაკაბეთის მატერიალური კულტურის ძეგლები: ვერხვიანში – ციხე; კუპატაძიანთ უბანში – სამება, ყველანმინდა; მალაღაანთ უბანში – ღვთისმშობელი; ოთიაანთ უბანში – სამება, სუფსარქისი; ღვინიანთ უბანში – მისალოცი; გომბორის ქედის სამხ-დას. კალთაზე, სოფლიდან 2 კმ-ზე არის კავთა.

ვერხვიანი კაკაბეთის ყველაზე აღმოსავლეთით მდებარე უბანში, რომელიც შესაძლოა ადრე ცალკე სოფლადაც კი იყო, მაგრამ არც დოკუმენტებში და არც რუკაზე ასეთად არა ჩანს. ამჟამად ვერხვიანში 250-დე კომლია, ადრე ნაკლები იყო, 80 კომლამდე. აქ ცხოვრობენ: ცხოვრებაძეები, ალიოლიშვილები, საგინაშვილები, კოზმონაშვილები, ბეგიაშვილები და სხვ. ამ უბანში ეკლესია არა დგას, არც მისი ნანგრევია, შესაძლოა ახალი დასახლებაა? მხოლოდ სოფლის ჩრდილი-დასავლეთით, დაახლ. 1 კმ-ზე ადგილ ღვთაებაში, (ტყეში) მდგარა ეკლესიის ნანგრევი.

ვერხვიანიდან სამხრეთ-დასავლეთით, თელეთის გორის ძირში, მისგან ჩრდილ-დასავლეთით არის დიდი ნანგრევი „ვერხვიანის ციხე“, რომელიც ეკლესიის ნანგრევი აღმოჩნდა. იგი ისეთ ფორმაზეა დანგრეული, რომ თავდაპირველად მართლაც ციხე (კოშკი) ეგონება კაცს, მაგრამ ცხადია, რომ ესაა დიდი ზომის დაახლ. სიგრძე – 10 მ., სიგანე – 7 მ., სიმაღლე – 6 მ. ეკლესია, რიყის ქვით ნაგები. შემორჩენილია აღმოსავლეთის მხარე, რომელიც სოფლისაკენ იყურება, ასე თუ ისე შემორჩენილია. საკურთხევლიდან სამხრეთით სულ მორღვეულია მთელი სამხრეთის კედელი, სამხრეთ-დასავლეთი კუთხე და დასავლეთი კედელი. შერჩენილია

მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთი კუთხე და აღმოსავლეთი აფსიდა კონქით. აგების პერიოდის გარკვევა ბნელია, მასშტაბის მიხედვით, შესაძლოა ეს იყოს განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლი.

ეკლესია ვენახებში დგას, რომელსაც „ციხის ვენახებს“ ეძახიან. მას ქვემო ყანდაურისაგან ჰყოფს ვერხვიანის რიყე. საინტერესოა, რომ ამ ადგილებში ხვნის დროს ამოდის ფეოდალური ხანის ნასახლართა ნაშთები.

ამასთან ერთად ეკლესიიდან აღმოსავლეთით 150 მეტრზე, 1974-75 წლებში, ხვნის დროს, აღმოჩნდა ბრინჯაოს სამი სატევარი. ავთანდილ გიორგის ძე საგინაშვილია აღწერით, რომელმაც ისინი აღმოაჩინა, კახური ტიპის სატევრები უნდა იყოს. ამ სამი სატევრიდან ერთი საგარეჯოს მუზეუმში წაიღესო, მეორე ქვემო ყანდაურის სკოლაში, მესამე არ ვიცისო.

ვერხვიანიდან გზა გადადის ჭერემზე: ვერხვიანი – პანტის წყალი – ლურჯ წყალი – მოხრეკილი ხევი – ხვინჭიანი აღმართი – ტეძა – ჭერემი. მანძილი დაახლ. 10 კმ.

კაკაბეთიდანაც გადადის გზა ჭერემზე: კაკაბეთის ცენტრი – ღვინანთ უბანი – ვაკე ტყე – ივანეს ახო (კავთა დასავლეთით რჩება) – ზიმარტყლის წყარო – მაჟალოს ველი – ჟამერაანთ ველი – ძუის უბანი (სადაც გზა ორად იყოფა): ჩალიანი – ვეძა – ჭერემის კალოები (აღმოსავლეთის გზა) და ადის ჭერემში.

კუპატაძიანთ უბნის სამება: ძალიან გვიანი ძეგლია, დარბაზური ტიპისა, ნაგებია აგურით და რიყის ქვით. სვეტები გარეთაც და შიგნითაც აგურისაა. სხვაგან წყობაში მონაცვლეობაა: ორი ფენა აგური, ერთი ფენა რიყის ქვა. კარნიზი მომრგვალებული აგურისაა. კარი ორია: დასავლეთის და ჩრდილოეთისა. სარკმელი მეტად დიდია, მაღალი და გრძელი, ისინი სამისამია ჩრდ. და სამხრ., ხოლო აღმ. ერთი. ასევე დიდი: აფსიდის წრე გარეთაც გამოდის – თალები შეისრულია. ზომებია 10 X 6 X 8 მ. ეკლესია XIX საუკუნისა უნდა იყოს. აქვე საფლავის ქვებია: „დურიშვილი აბრიას ასული, ლევან ნანუაშვილის მეუღლე მართა, 1884“, „ლექსა ომანეს ძე ცხოვრებაძე, 1919“, „გიორგი ომანას ძე ცხოვრებაძე, 1919“ (ცხოვრებაძეები ვერხვიანლები არიანო).

კუპატაძიანთ უბნის ყველიწმინდა: დგას სოფლის თავში, ჩრდილოეთით, გორაზე. შემორჩენილი აქვს მხოლოდ ჩრდილო კედელი და აღმ. აფსიდა, რომელიც ნალისებურია. ნაგებია რიყის ქვით, კუთხეებში და სარკმლებთან ნახმარია შირიმის ქვა. კედლის სისქე I მეტრია. კარი შერჩენილი აქვს ჩრდილოეთიდან, სხვა არ ჩანს. სამება აქედან სამხ.-დას.-აა I კმ-ზე სოფელში.

ყველანმინდას დასავლეთიდან მიდგმული ჰქონია კოშკი, მის ნანგრევებს შიგნიდან მაგარი ცეცხლის კვალი ეტყობა. ამ კოშკის

თითო კედელი დაახლ. 5 მ. სიგრძისა იყო, შემორჩენილია დაახლ. 4 მ. სიმაღლეზე, მაგრამ მეგზურებს ახსოვთ ასე 7 მეტრამდე და თავი მონგრეული ჰქონდაო. მაშასადამე, აქ მდგარი ადრეული ხანის ეკლესია კოშკით. კოშკი რა დროისაა, გაურკვეველია. გადმოცემით, ლეკებს მისთვის ალყა შემოურტყამთ და ცეცხლი წაუკიდებიათ. ეს უნდა იყოს ადრესამუალო საუკუნეების მიწურულის ეკლესია. ყველანაშინდა დგას მაღალ გორაკზე, რომელსაც დას. ჩამოუდის წიფლიანის ფერდის პატარა ხევი, ხოლო აღმოსავლეთით კოდის ფერდის პატარა ხევი – აქედან სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩანს ორი მოზრდილი გორაკი: საბადურის გორა (დღ. სასაფლაო) და ავაზნის გორა (სად.), აქ უსათოოდ რაიმე უნდა იყოს.

მაღალაან უბანში მდგარა დედალვთისმშობელი – ეს იყო უაფსილო ეკლესია, ზომით 5 X 4 მ. მასთან ახლოს მდგარა კიდევ ორი ეკლესია, რომელთაგან ერთი ქართული იყო, მეორე სომხური. 1934 წელს სამივე ეკლესია უკვე დანგრეული იყო. სამივესთან იყო სასაფლაო, ზოგი ქვა დღემდე შემორჩა: „ტასია ვასიკო ამბარდანოვის მეუღლე ზაქარია ბორაშვილის ასული, 1918“, „თომა შიშნიაშვილის ასული და პეტრე ოქრომჭედლიშვილის მეუღლე ანა..“, „ზაზა ჭიკაძის ასული და ანდრია თამაზაშვილის მეუღლე კატარინე..“, „შიო მჭედლის შვილი ვანო, 1870“.

ოთიანთ უბანში მდგარა სამება. იგი აგებული იყო მთის ძირში, მაღალ ბორცვზე – აღარაფერია დარჩენილი, გარდა საკურთხევლის ქვისა, რომელიც გვიან სალოცავ ხატად გადაუკეთებიათ. აქვეა რამდენიმე საფლავის ქვა, რომლებსაც მარმარილოს ფილები აკლიათ (ან აქაური წარჩინებულნი იქნებოდნენ, ან ქადაგელი ვაჭრები). ერთ საფლავის ქვაზე წარწერაა: „ქიტია შვილი იასესია, უბჟზ, მე ქეთევანს მიყიდნია“ (1869).

ოთიანთ უბნის თავში დგას ეკლესია დამ ის გარშემო უზარმაზარი სასაფლაოა, გორის ფერდობზე. ეკლესია გვიანიშუასაუკუნეების სომხური ძეგლია, სასაფლაოზეც ძირითადად სომეხი და ნასომხარი მოსახლეობის საფლავებია: „ღებრის შვილი გეურქას მეუღლე და პეტრე გალუსტოვის ასული მაია, ჩიდ“ (ყაკლია = 1864), „შოლომონ ოთიაშვილი 1879“; ამ სასაფლაოზე განისვენებენ მჭედლოვები, ზუბალოვები, მღებროვები, გალუსტოვები, გულნაზაროვები, სარქისოვები, შაროვები, აკულოვები, მაღალაანი (გალუსტოვები), ოთიაშვილები, გულალაშვილები, კუზანაშვილები, სიმონიშვილები, მენოგნიშვილები, ოსევაშვილები. ასეთი დიდი სომხური სასაფლაო კახეთში მეჯერ არ შემხვედრია.

კავთა მდებარეობს კაკაბეთოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 კმ-ზე, ცივ-გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ ფერდზე, კა-

ვთის ხეობის მარჯვენა მხარეს, ტყიანი ქედის ძირში, რომელსაც დიდ ველებს ეძახიან. ეს უნდა იყოს შუასაუკუნეების ძეგლი. იგი დარბაზული ტიპის ნაგებობაა, ძალიან დაზიანებული და „აღდგენით“ დამახინჯებული. ძველი ნაგებობიდან შერჩენია მხილოდ შირიმის ქვის კარნიზი და გადახურვა. ეკლესიის ზომებია 7 X 5 მ. აღმოსავლეთის და დასავლეთის კედლები სრულიად ახალია. მშენებელი ძეგლი დაღუპულია.

კავთის დასავლეთით მდგარა ლვთისმშობლის ეკლესია, დანგრეული, რომელიც ეხლახანს „აღუდგენიათ“ ადგილობრივი ძალებით.

კავთიდან ჭერმამდე 5 კმ-ია. კაკაბეთიდან ჭერემში მიმავალი გზა აქ გაივლის: ღვინიანთ უბანი – ჩახრილა – მისალოცი – კავთის გვერდით – ველები (ქედზე) – ყარასწვერის ძირი (აღმოსავლეთიდან) – საბას წყალი (ხუთვერსიანი რუკის Чишпес икали) – ჭერმის ხევი – ჭერმის ციხე.

ამ გზაზე მანქანითაც შეიძლება გავლა. ახალი გზა, რომელიც წელს დაიწყეს ადის ლუპატანძიანთ უბნიდანაც და ოქრომჭედელიანთ უბნიდანაც.

კახეთის ხალხის აღწერის XVIII საუკ. I მეოთხედის დავთარში ჩამოთვლილია კაკაბეთს მცხოვრები გვარები ყმა-გლეხებისა: „არის კაკაბეთს ბატონის ალავერდელის ყმა: ნაცვალი პაპუა აზნაურაშვილი, გიორგი ამისი ძმა აზნაურაშვილი, ამის ყმა ჯილაურის შვილი ქიტა, გულალარის შვილი საგუა, დავითუნა ქემხა, ბეჟანა ამის ბიძაშვილი, მემშვილდის შვილი გიორგი, შერმაზან ამის განაყოფი, ბაცუნცელას შვილი თანდილა, გოგიტას შვილი შერმაზან, ნიკოლას შვილი დათუნა, ქავთარა ობლის შვილი, მისი განაყოფი თევდორე, ტატია ობლის შვილი, ქიტია ქემხის განაყოფი, ღვინაშვილი პატარკაცი, იალანაშვილი ზაქარია, თევდორე მენახირის შვილი, საღირის შვილი. პეტრე, რამაზას შვილი რამაზა, ყაზარას შვილი რამაზა, ხაჭიას შვილი ბერი, კვეზერული თამაზა, ბერიძე, შიო მეფრის შვილი, ბიშპას შვილი, ფიდონას შვილი თევდორა, მჭედელი თევდორას შვილი, შალვა ურგებაძე, კუპატაძე მოურავის ნაცვალი, ოთარ ქვლივიძე აზნაურაშვილი, ამის ყმა ბაქია, ქემხა შიო, გამოხარდი ჟამიერიშვილი, ჯვარისას შვილი თამაზა, ჯვარისას შვილი პაპუა, აზნაურაშვილი ბერუკა, ბასილა მღებრის შვილი, კიდემ დიდი ბასილა, მაზია, გიორგი ობლის შვილი, ზალას შვილი გიორგი, ბაზიერი გიორგი, პატარა ხუცას შვილი გიორგი, ბიბილური, ბეკიას შვილი დემეტრე, ნანუას შვილი აფთარა, იორდანე, ხეკალია ნასყიდა, კახია ქემხის განაყოფი, ქიტესა დიღმელის შვილი, გიორგი კუპატაძე, ივანე კუ-



პატაძე, პირდამწერის შვილი სუხია, ჯანუას შვილი ბერუკა, კოზმანას შვილი ბერუკა, გიო წოდორელი, ალულის შვილი როსტია, თაგვიას შვილი ივანე, მჭედელი დემეტრე, საგინაშვილი მამუკა, ქოჩორას შვილი ზალა, მახარას შვილი სეხნია, ქამასპი სულიკას შვილი, ზაზა ნაცვლის შვილი აზნაურაშვილი, მექვევრის შვილი ზურაბა, ბიძინა, შიო ოფოფშიკა შვილი, იასე ნაცვლის ლწული აზნაურაშვილი, მახარას შვილი ამის ყმა ბერუკა, პატა ყანგირას შვილი, მათიას შვილი ნადირა, ყარმაზას შვილი დემეტრე, პატა ჭიკაძე, ბერუკა ჭიკაძე, ფარვანას შვილი, ნოდაძე, ბუჟიას შვილი ობოლი, სულიკასშვილი ნასყიდა, ხუცისშვილი გიორგი, ავაქას შვილი იასე, ეშმაკურას შვილი ივანე, მაქუას შვილი ბერი, ბაბანიკ დათუნა, ძამუკა, შიო გოგანელას შვილი, მოუსაოქრე მამუკა, მერი მაქუას შვილი კიდემ, ქეხმა ბერი, პოლიზა, დალაქი, შიო მეგოდრე, კვერაშვილი ხაბაზი, სისველას შვილი, შიო ჭიკაძე, იმარინდოშვილი ობოლი, ბეალუასშვილი ობოლი, მაისურაძე ობოლი, სვიმონაშვილი ობოლი, ჯილაურის შვილი ობოლი, გოგინა ბოგანო, ოქრომჭედლის შვილი ობოლი, ნანუას შვილი ობოლი, ბეგარას შვილი ობოლი.<sup>49</sup>

ამათგან დღევანდელ კაკაბეთში ვხვდებით: ნაცვლიშვილს, ჯილაურს, გულაღიაშვილს, ქავთარაშვილს, ზალაშვილს, ბაზიერიშვილს, ბეგიაშვილს, ნანუაშვილს, კოზმანაშვილს, ალულაშვილს, საგინაშვილს, მექვევრიშვილს, ჭიკაძეს, სვიმონაშვილს, ოქრომჭედლიშვილს.

ისტორიულ დოკუმენტებში კაკაბეთი იხსენიება XVII საუკუნეში (1631, 1675, 1693) და XVIII საუკ. 1631 წელს ერეკლე ბატონიშვილმა უბოძა ლევან ავალიშვილს კაკაბეთი დემურჩი ასალის საბალახესთან ერთად. (ჰდ – 14525).

1675 წელს მეფე ერეკლე I ალავერდის წმ. გიორგის სწირავს (ამიტომაცაა აღწერის დავთარში ამდენი ყმა ალავერდისა) ბოქაულთ უხუცესი გორქასპი ზაალიშვილი მისის ყმითა და მამულით „ნაპირისალაგს კაკაბეთი, შიგნით კახეთში იკარო, კონდოლი, კისისხევი, რისაც ყმისა და მამულის მქონებელი იყოს, აგრეთვე გავაზს ერთი კვამლი კაცი ყარჩილაშვილი გიორგი სულ მისის მამულით. კიდევ მამასა და პაპას ან ენთრელში ან გაღმა მხარში მამული და ალაგები ჰქონებოდესთ, ის ნაოხრები... მათითა სახნავითა და უხნავითა... თქვენთვის შემოგვიწირავს, (სცსა, ფ. 1448, № 599).

<sup>49</sup> ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წ. I, თბილისი, 1967, გვ. 14

1693 წელს კახეთის ბატონმა და ყარაბაღის ბეგლარებმა აბაზყულიხანმა უბოძა თუშთა მოურავს მამუკა ჩოლოყაშვილს, სახლთ-უხუცესს დურმიშხანსა და მათ შვილებს კაკაბეთი ისე, როგორც გორჯასპისა და დათუნა ერისთეისშვილს ჰქონდა (მდ – 6719).

1700 წელს კაკაბეთის მოურავი იყო ბეჟან ბაინდურაშვილი. აქვე ცხურობდა შერმაზან ბეჟანიშვილი (სოც. დოკ. , I, № 525).

1704-1714 წწ. ულუფის წიგნში ნიკოლოზ ალავერდელისა დოდოს მონასტრისადმი ნათქვამია: „ქ. ჩვენ, ალავერდელმან ნიკოლოზ... გაგიჩინეთ თქვენ, დოდოს წინამძღვარს ზაქარიას და ერთობლით კრებულთ: კაკაბეთიდან კოდი პურიათი, და კონდლიდან უწინ ხუთი საპალნე ღვინო გაგიჩინეთ და ახლა იქიდან შვიდი საპალნე უნდა მოგცეთ... „ (ქართ. სამ. ძეგლ. ნ. III, გვ. 696.)

1740 წელს მეფე თეიმურაზი წყალობის წიგნს აძლევს მარტყოფისა მოურავს ჩერქეზიშვილ ქაიხოსროს, რომ კაკაბეთი ძველთან ჩერქეზიშვილის სამკვიდრო მამული იყო. კაკაბეთზე გაობენ ჩოლოყაშვილი გივიდა ჩერქეზიშვილი ქაიხოსრო. მეფე მათ შეარიგებს (სცსა, ფ. 1448, №507).

1774 წლის მსაჯულთ განაჩენი ქვლივიძეებზე „ამ ქვლივიძის სვიმონისა და გოგიას მამა ოთარ მეფე ვახტანგის ქეფობაში კახეთს ჩასულა და კაკაბეთს დასახლებულა...“ (სცსა, ფ. 1448., № 867).

1782 წელს ერეკლე მეორე უბოძებს კაკაბურ მღვდელს ეფთვიძეს სავენარე ადგილს, ბრანება ეგზავნება კაკაბეთის მოურავს ქანასლანს (ეტყობა ჩერქეზიშვილს) (სცსა, 1448, № 402).

ამ დოკუმენტებიდან მრავალი საინტერესო ფაქტი დგინდება:

გარე კახეთის „ნაპირის ალაგიც“ ეწოდება, ალაზან გაღმა გამოიყოფა „ენისელი“ ფა „გაღმა მხარი“, კაკაბეთი ძველთაგან ჩერქეზიშვილთა სამკვიდრო ყოფილა, კაკაბეთი დიდხანს (1675 წლიდან თითქმის ასი წელი) ალავერდისა იყო და სხვ. გასარკვევია „ნაპირის ალაგი“ მული გარკახეთია, თუ მისი რაიმე ნაწილი.

ქვემო ყანდაურა ძველი საბაზრო ცენტრია. გარე კახეტში მხოლოდ ორი „იარმურკა“ ყოფილა: საგარეჯო და ქვემო ყანდაურა. ამჟამად ქვემო ყანდაურის ადგილი ბადიაურმა დაიკავა. თვით ბალაური ახალი სოფელია, რომელიც შეიქმნა კახეთის რკინიგზის გაყვანის შემდეგ. რკინიგზის სადგური და ბაზარი ბადიაურში ემსახურება ზემო და ქვემო ყანდაურების, აგრეთვე იორ-მულანლოს ხუთი სოფლის თათრული მოსახლეობის საჭიროებებს. ბადიაურის სადგურის გარშემო თანდათან შეიქმნა ახალი დასახლება, რომელსაც ძირითადად ავსებდა ორივე ყანდაურიდან ჩამოსახლებული მოსახლეობა.

თვით ქვემო ყანდაურაც ადრე ზემო ყანდაურიდან ჩამოსახლებულმა მოსახლეობამ შექმნა. მეგზურთა თქმით, ქვემო ყანდაურელებს მკვდარი წინათ ზემო ყანდაურაში მოჰქონდათ, რადგან იქიდან იყვნენ წარმოშობით და იქ ემარხა მათი მამა-პაპა. ეს ორი სოფელი ერთიანი იყო, სადაც 500-600 კომლი იქნებოდაო.

ქვემო ყანდაურის „იარმუკამ“ სომხური მოსახლეობაც მიიზიდა და ამჟამად სოფელში შეხვდებით ნასომხარ მოსახლეობაც. მაინც, მეგზურთა თქმით, ქართველი მეტი იყო, ნასომხარი ნაკლებიო. მათივე თქმით ადრე კიდევ ერთი სოფელი ყოფილა ბადიაურის დაბლა, სამხრეთით, ნიახურას ველზე, მთა საყარაულოდან აღმოსავლეთით 200-300 მეტრში. ამ ადგილ ახლა ბლანტე ჰქვია, აქ ნასოფლარია და ბალჩებიო.

ქვემო ყანდაურას აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ემიჯნება ზემო ყანდაურა, ხომო ჩრდილო-დასავლეთიდან კაკაბეთის განაპირა უბანი ვერხვიანი. ქვემო ყანდაურის სამხრეთით მდებარეობს რკინიგზის სადგური და სოფელი ბადიაური, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით მაღალი გორა თელეთი.

ქვემო ყანდაურას აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ემიჯნება ზემო ყანდაურა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთიდან კაკაბეთის განაპირა უბანი ვერხვიანი. ქვემო ყანდაურის სამხრეთით მდებარეობს რკინიგზის სადგური და სოფელი ბადიაური, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით მაღალი გორა თელეთი.

ქვემო ყანდაურას ძირთადი გვარები იყო: ჯავახიშვილი, აბესაძე, გიქორაშვილი, გაიმარჯაშვილი, შენგელიძე, ხატისაშვილი, ტანკაშვილი, ჩოკოშვილი, არაქელოვი. აქაური აზნაურები იყვნენ ელიზბარაშვილები.

ქვემო ყანდაურის ტოპონიმია: შავ ტყე, პაპანთ წყარო, ბეჟანანთ წყარო, გიანტ წყარო, ტანკანთ მიწის ლელე, კალატოზიანთ წყარო, ვერხვიანის რიყე, გადასახედი, თელეთის გორა.

მეურნეობა: მესაქონლეობა სჭარბობდა მიწათმოქმედებას. ცხვარი საზაფხულო ლეკის მთაში დაუდიოდათ, საზამთროდ იორს გაღმა: ღრმა ლელე, სამალავი, ნიახურა. ეს უკანასკნელი იყო იორს გამოღმა, ქეშალოს გადმოღმა, საყარაულოს მთიდან აღმოსავლეთით. სახნავში მთავარი იყო მარცვლეული: ხორბალი, სიმინდი დიდ ველზე ივრისაკენ ძირითადად სახნავი მიწები იყო მარცვლეულისათვის ვენახები მხოლოდ სოფლის გარშემო, ახალი მიწებში იყო.

ქვემო ყანდაურაში სამი ეკლესიაა, ამათგან ორი სოფელში დგას, სასაფლაოს ყველანმინდა და ტურისუბნის ყველანმინდა, ხოლო მესამე-თელეთის წმ. გიორგი, სოფელსა და კახეთის გზატკეცილს შორის ამართულ მაღალ გორას ეძახიან.

სასაფლაოს ყველანაშინდა მოზრდილი დარბაზული ეკლესიაა-ნაგებია რიყის ქვით. აგური ნახმარია მხოლოდ კარისა და სარკმლის თაღებად. კარი და საკურთხევლის ნიშნები შეისრულია, აფსიდა განთერი. კარი დასავლეთიდან აქვს, სარკმლები ოთხივე მხრივ. ეკლესიის ზომებია: სიგრძე - 9 მ., სიგანე - 5 მ. სიმაღლე - 7 მ. ეკლესია გვიანიშუასაუკუნეების მიწურულისაა. მის გარშემო მოზრდილი სასაფლაოა, მოქმედი.

ტურის უბნის ყველანაშინდა საშუალო ზომის ეკლესიაა. ნაგებია რიყის ქვით - დასავლეთი მხარე მთლიანად მორღვეული აქვს. კარი სამხრეთიდან ექნებოდა, დასავლეთიდან არ ვიცით. აფსიდა ნახევარწრიულია. საკურთხევლის ქვა კედელთან მიდგმულია. საკურთხეველში ორი ნიშია. ზომები: სიგრძე - 7 მ., სიგანე - 4 მ., სიმაღლე გაურკვეველია. ეს უფრო ადრეული ეკლესია ჩანს, ვიდრე პირველი, დაახლ. გვიანიშუასაუკუნეებისა.

თელეთის წმ. გიორგი მაღალ გორაზე დგას, საიდანაც კარგად მოჩანს მული ივრის ხეობა აღმოსავლეთით - კაჭრეთის მხარე, სამხრეთით - ჩაილურ - მანავი. ეკლესია აქ ძველი იქნებოდა, მაგრამ ამჟამად მისი აგების დროის განსაზღვრა, მიახლოებით მაინც, შეუძლებელია. იგი „შეუკეთებიათ“ ვიღაც მკითხავის თაოსნობით, რამაც სრულიად დაამახინჯა ძველი (საერთოდ ეს მკითხავები თითქმის ყველა სოფელში ღუპავენ ძეგლებს). ეკლესია შელესილია შიგნით და გარეთ, წყობა აღარ ჩანს და გადახურულია ბეტონიეს ორფერად სასურავით. ძველი ნაგებობიდან შემორჩენილია მხოლოდ ნახევარწრიული აფსიდა და აღმოსავლეთ სარკმლის წარბი შირიმის ქვისა. აქ დღეობა-თელეთობა იციან 8 ივნისს, აღდგომის მეექვსე ხუთშაბათს.

ამ გორაზე მდგარ ტრიგონომეტრიულ სამფეხაზე ჩამოკიდებულია ორი ზარი: ერთი ქართულია (გაბზარული), მეორე კი რუსული (მთელი). ქართულ ზარს მხედრული წარწერა აქვს: „ქ. შემოვნირე მე კვილაური გიორგიმ და ფიცხელაურის შვილი (?) პახმატის მჯუარი წ ს გიორგის ეკლესიას ყმ (ობ) ისა მეოხედ“. ეს ზარი რამდენიმე წლის წინ მოუპარავთ ხევსურეთში (ვნახე კაცი რომელმაც ეს „გმირობა“ ჩაიდინა იქ ცხვარში ყოფნის დროს). ახლახან გამოქვეყნებულ წერილში ქართული ზარების შესახებ ვ. ცისკარიშვილს ეს ზარი არა აქვს ნახსენები. გადავეცი ფოტოსურათიც და წარწერის ტექსტიც.

ზემო ყანდაურაში ძველად 360 კომლი ყოფილა. ეს სოფელი ორგანიზებულად ჩამოსახლეს დაბლა ბალაურში, ისევე როგორც ჭერემი. ამჟამად 10 - დე კომლია დარჩა. ხალხს ნაწილი სიამოვნებით ჩამოსახლდა, რადგან ვენახებს დაუახლოვდა და გზასაც. ასე გაუკაცრიელდა ეს მშვენიერი სამოსახლო, რომელსაც ჰაერიც, წყალიც, მთაც, ტყეც კარგი აქვს და სახნავი ფართობე-

ბიც საკმარისი. სულ 5 კმით არის დაშორებული ზემო ყანდაურა კახეთის მთავარ გზატკეცილს და ცივ-გომბორის სამხრეთ – დასვლეთ კალთებზე გაშლილ მშვენიერ სავარგულებს ფლობს. გზის გაკეთებას სოფლის გზასთან ჩამოყვანა არჩიეს და სასურსათო პრობლემაც შექმნის მთელ ქვეყანაში. ამჟამად, ჭერემის მსგავსად, მუშავდება ამ სოფლის ხელახალი განაშენიანების პროექტი თანამედროვე მოთხოვნების დონეზე და აქური მოსახლეობაც, რომელიც თბილისში, საგარეჯოში, ბადიაურში და სხვაგან არის ჩამოსახლებული, უკან დაბრუნების სურვილს აცხადებს.

ზემო ყანდაურას აღმოსავლეთიდან ემიჯნება შიბლიანი. მიჯნა ამ სოფლებს შორის ფაქტიურად არის მიჯნა ორ მცირე ქართულ ქვეყანას შორის: დასავლეთით საჩერქეზოა, აღმოსავლეთითკი საანდრონიკო, მაგრამ ამჟამად ეს ისტორიულ – გეოგრაფიული მიჯნა დარღვეულია და შიბლიანი საგარეჯოს რაიონს ეკუთვნის. ჩვენ მაინც ზემო ყანდაურით ვათავებთ, რადგან არ გვინდა დავარღვიოთ ისტორიულ გეოგრაფიული სურათი. სხვათა შორის, ყანდაურა დოკუმენტებში ყანდაურიდან იწოდება.

მოსახლეობა: ძველად, ქვემოდ ჩასახლებამდე ზემო ყანდაურის ძირითად გვარებს წარმოადგენდნენ ჯავახიშვილი (50), ათაბეგაშვილი (20), როსტომაშვილი (15), ტაველაშვილი (12), ჩალათაშვილი (12), ოსგელდოვი (10), ხატისაშვილი (10), ელიზბარაშვილი (10), გიქორაშვილი (8) და სხვ. როგორც ვხედავთ სოფლის ძველი მოსახლეობის ნახევარი თუ მოიგონეს, რომელიც ახსოვთ. ეს 360 კომლი უფრო ძველი პერიოდისა იქნება.

ზემო ყანდაურის მოსახლეობის უმეტესობა ქართული იყო, მათ შორის იყვნენ აგრეთვე სომხებიც და ნასომხარებიც, როგორც მოწმობს ზოგიერთი გვარი და ეკლესიათა დასახელება: წმ. გიორგი (სოფლის სამხრეთ განაპირას, ქართული), სუფსარქისი (სოფლის ჩრდ. I კმ-ზე, სომხური), სომხის საყდარი (შუა სოფელში, სომხური), ყველანმინდა (სოფლიდან ჩრდ. 0,5 კმ – ზე, ქართული). ორი ქართული და ორი სომხური ეკლესიაა, ამათგან ერთ ქართულს (ყველანმინდა) და ერთ სომხურს (სუფსარქისი) ორივე რჯულის მოსახლეობა ხმარობდა. ამათში ნასომხარი ქართველობა უნდა ვიგულისხმოთ და გამოდის, რომ სოფლის მცხოვრებთა დაახლ. ნახევარი ნასომხარი ქართველობა უნდა ვიგულისხმოთ და გამოდის, რომ სოფლის მცხოვრებთა დაახლ. ნახევარი ნასომხარი ან სომეხი იყო. ჩვენი მთხრობელი ქარუმა გიორგის ძე ჯავახიშვილი, რომელიც პატრიოტობს თავის სოფელს და აქ დარჩენილთა მესვეურია, დაბეჯითებით ამტკიცებს რომ ქართველობა გაცილებით სჭარბობდა სომხურ მოსახლეობას.

ზემო ყანდაურის მეურნეობა: მესაქონლეობა სჭარბობდა მინათმოქმედებას. მსხვილფეხა საქონელი მეტი იყო, ვიდრე ცხვარი.

აქაური ცხვარი ზაფხულში თრიალეთში მიდიოდა, ზამთარში კი ივრის პირზე რჩებოდა: ნათულარში, ფურცლებში, დიდ ბინებში. ქიზიყის ტრასა თრიალეთისაკენ ბადიაურზე გადიოდა, ადგილ ნაომრებში (ყორულში).

ძირითადი საქმიანობა იყო მეჭურჭლეობა. აქაური კერამიკა განთქმული იყო მთელ გარეკახეთში. თიხა ადგილობრივი იყო და ოსტატებს დამზადებული ჭურჭელი მოჰქონდათ „იარმურკაზე“ ქვემო ყანდაურაში შესაძლოა, ქვემო ყანდაურის „იარმურკას“ სულაც დასაბამი ზემო ყანდაურელთა კერამიკამ მისცა.

ზემო ყანდაურიდან გზები გადიოდა ჭერემში. სხვათაშორის, საინტერესოა, რომ ხუთვერსიან რუკაზე ზემოყანდაურიდან ჭერებში ორი გზა გადადის და საერთოდ არაა აღნიშნული გაცილებით მოკლე გზები ჩაილურიდან და კაკაბეთიდან, განსაკუთრებით ჩაილურის ხევზე და შემდეგ კოპალეზე ჭერემში გადასასვლელი უმოკლესი გზა. როგორც ჩანს, ისინი მაინც საცალფეხო ბილიკებია და მხოლოდ ცხენიანი მგზავრებისათვის გამოსადეგი, ზემო ყანდაურიდან კი საჭაპანო ტრანსპორტი დადიოდა და სწორედ მისი გზებზე ე.ი. საურმე გზებია დატანილი რუკაზე.

ერთ-ერთი გზა ასე მიდიოდა: ობოლანთ ხევი – კლდის თავი – ნასხლარი – თხილის ახო – ვეძა; მეორე გზა კი ასე: გიანტ წყარო – სესკელანთ ახო – ნაქოხრები – თხილის ახო – ვეძა. თხილის ახოში გზები ერთდება და ვეძას გავლით ჩადის ჭერემში. ახლა აქედანაც აპირებენ ჭერემისკენ გზის გაყვანას. პერსპექტივაში მისი ყველაზე მოკლე ტრასა ასეთი იქნებოდა: ზემო ყანდაურა – გიანტ წყარო – ნაქოხრები – თხილი – ჭერემი.

ზემო ყანდაურის ტოპონიმიკა: შავტყე, ნალობიარი (სად.), კაჭახის სერი (სად.), ლილოანთ წყარო, ანჩას წყარო, დიდი წყალი (ხევი), წანწკარის ხევი, სუფსარქისი (სად.), გიანტ წყარო (სად.), ჰოგრეს წყარო (სად.), პავლეს წყარო (სად.), ქართველანთ წყარო, თხილი (სად.), კორკლეს წყარო, ქაჩალას წყარო, ბერა (სად.), კალატოზანთ წყალი (სად.), გამყრელიძიანთ მიწები, პანტიანთ ველი, დიდი სერი, თავთანიანი, იელიანი, შავთვალას წყარო, სალორეები, კარალის ხევი, დიდი ნასახლარი (ნასოფ.), პატარა ნასახლარი (ნასოფ.). ეს ნასახლარები ახლა ქიმიტის მიწებშია, თხილის საყდრიდან დაახლ. 1 კმ-ზე. ყურადღებას იქცევს წყაროთა სიმრავლე, ეს გამონვეული უნდა იყოს გზების სიხშირითა და ინტენსიური ხმარებით უკვე დიდი ხნიდან.

ყველანმინდა უაფსიდო ეკლესიაა, მისი ზომებია 7 X 5 მ, ნაგებია რიყის ქვისა და ვენის ქვის ნარევი წყობით. კუთხეებში ჩატანებული აქვს წარწერიანი საფლავის ქვები: დასავლეთის ფასადზე „ქ. საფლავი მხევლისა ასულისა იოსებ მღვდლისა

თამარისა... 1788“, სამხრეთ კედელთან – “ქ. ესე საფლავი ხატოსაშვილი იობისა არის... ქეს ფბ“ (1814) – ეს ქვები ეკლესიის შეკეთებისას ჩაუტანებიათ შიგ, XIX საუკუნის შუა ხანებში. თვით ეკლესია XVIII საუკუნისა უნდა იყოს.

სომხის საყდარი დიდი ზომის ეკლესიაა, ნაგებია აგურისა და რიყის ქვის ნარევი წყობით. აფსიდა განიერი აქვს, თალი ჩატკეუ-ლია, კედლები 0,5 მეტრის სისქისა. ჩრდილო კედელში, შიგნიდან, ჩატანებული აქვს სომხური სამშენებლო წარწერა 1895 წლისა.

სუფსარქისიცი დიდი ზომის ეკლესიაა, რიყის ქვით ნაგები. სამხრეთ ფასადზე ორ ენოვან (ქართულ-სომხური) წარწერა: „წელსა 1884 აღშენდა ესე სუფსარქისი ეკლესია საკუთრივ სიმონ პეტრუსოვის ფულით და გამრჯობითა“.

წმ. გიორგი დგას სოფლის სამხრეთით, სერზე, დღევანდელ სასაფლაოზე. ესაა ყველაზე დიდი ეკლესია ზემო ყანდაურაში, ნაგებია რიყის ქვისა და აგურის მორიგი წყობით. აფსიდა განიერი აქვს, იგი ფასადზე გარეთ არის გამოწეული. ეკლესიის ზომებია: სიგრძე – 12 მ., სიგანე – 7 მ., სიმაღლე – 7 მ. ესეც გვიანი ხანის ეკლესიაა, მაგრამ უფრო ძველი ვიდრე აქაური სომხური ეკლესიები – ყველაწმინდა შესაძლოა ოდნავ მასზე ადრეული იყოს. ამ ეკლესიას გორის გვარსაც ეძახიან. ეკლესიასთან საფლავის ქვაა „სამხარაძე სიმონა ვარ და ჩემი მეუღლე ხოროშანი, ჩყკზ“ (1827).

ზემო ყანდაურით თავდება ფაქტიურად მანავის ციხის ქვეყანა, მისი აღმოსავლეთით მომიჯნავე სოფელი შიბლიანი, მართალია დღეს საგარეჯოს რაიონს ეკუთვნის, მაგრამ არსებითად უკვე, სხვა ქვეყნისაა, დღ. გურჯაანის რაიონის კაჭრეთის ზონისა, რომელსაც ჩვენ ჯიმიტის ქვეყანა ვუწოდეთ ან საანდრომიკო და წინა წლებში შევისწავლეთ. გვიან შუა საუკუნეების სათავადო ქვეყნებიც ასე იყოფოდა: მანავის ქვეყანა საჩერქეზიშვილო იყო, ცენტრით თოხლიაურში, მას დასავლეთიდან ემეზობლებოდნენ საგარეჯო ქვეყნის სოფლები, ხოლო აღმოსავლეთიდან საანდრონიკო ცენტრით ქოდალოში.

ამ საზღვრის კარგი მოწმობაა იოანე ბაგრატიონის ქართლ-კახეთის აღწერაში ჩამოთვლილი სოფლები გარე-კახეთისა, რომელსაც იგი ყანდაურით ათავებს და დაასკვნის „ამას შეუდგების საენდრონიკო ადგილნიო.“<sup>50</sup>

თენგიზ თოდრია

1982 წელი

<sup>50</sup> იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, “ტოპონიმთა”, III გვ. 355